

ქალები წაჩსულიდან

WOMEN FROM THE PAST



United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization
გერმანული
კულტურის
მემკვიდრეობის
და
სამართლის
ორგანიზაცია

Georgian National Commission for UNESCO
საქართველოს ეროვნული კომისია უსკო-სთვის



მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION



United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization

გაერთიანებული
ერების განათლების,
მეცნიერების და
კულტურის ორგანიზაცია

Georgian National Commission for UNESCO
საქართველოს იუნესკოს სპეციალური კომისია



მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

სარედაქციო საბჭო:

ჟემეზან მსხილაძე, თამარ ხორბალაძე, თამარ კინწურაშვილი

თარგმანი:

ჟემეზან მსხილაძე

მკვლევარი:

სოფო გოგაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია, IBDESIGN

Editorial board:

KETI MSKHILADZE, TAMAR KHORBALADZE, TAMAR KINTSURASHVILI

Translation:

KETI MSKHILADZE

Researcher:

SOPHO GOGADZE

Designed by

BESIK DANELIA, IBDESIGN

გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ეროვნული არქივის, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახელობის მუზეუმის, ჟურნალ „საარქივო მოამბის“ ფოტოები.

The photos of the National Library of Georgia, the National Archives of Georgia, the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, the Museum of Dimitri Kipiani in Kvishketi, Archive Messenger magazine are used in the publication.

WWW.MDFGEORGIA.GE

WWW.GENDERMEDIATOR.GE

დაიბეჭდა Calamus Graphics Studio-ში.
Printed in the Calamus Graphics Studio.

ISBN 978-9941-0-6347-3

ქალები წაჩსულოდნ

WOMEN FROM THE PAST

შესავალი

ისევე, როგორც ყოველი ადამიანი, საზოგადოებაც იმისდა მიხედვით ფასდება, თუ რამდენად ღირსეულად პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელთაც დრო და გარემო მის წინაშე აყენებს. ცარიტული რუსეთისა და საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრება საქართველოში არაერთხელ მდგარა დიდი საფრთხეების, მათ შორის ფიზიკური განადგურების, საფრთხის წინაშეც. ასეთ დროს სწორედ სულით ძლიერი, განათლებული და ცივილიზებულ სამყაროზე ორიენტირებული პიროვნებები იღებდნენ საკუთარ თავზე საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ სიმძიმეს და მათ შორის იყვნენ საქართველოში მცხოვრები ქალები.

მიუხედავად მათი სოციალური, ეთნიკური თუ სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, ბევრმა მათგანმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს, როგორც ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილის, უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის დღემდე მოტანაში. ხშირად მათი საქმიანობა არათუ მხარდაჭერის, არამედ ქილიკისა და ღია განკიცხვის საგანიც ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ისინი ქმნიდნენ შესანიშნავ პროზას და პოეზიას, ფერწერულ ტილოებს, გამოდიოდნენ თეატრალურ სცენაზე, იყვნენ მეცნიერები, განმანათლებლები. საქართველოში მოღვაწე ქალები იყვნენ პროგრესული პოლიტიკური იდეებისა და ფილოსოფიური მიმდინარეობების პოპულარიზატორები და ქველმოქმედები.

პროექტის „ქალები წარსულიდან – მაგალითი მომავლისათვის“ მიზანი სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ქალთა შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირება და ისტორიული მაგალითების საფუძველზე, გენდერული თანასწორობის ღირებულების დამკვიდრება, ასევე ამ პროცესში მედიის განსაკუთრებული როლის წარმოჩენაა. XIX-XX საუკუნის ქართული მედია ამ თვალსაზრისით ღირებულ წყაროს წარმოადგენს. აღმანახში შესულია იმ ქალთა ისტორიებიც, რომელთა მოღვაწეობაში, საქართველოს გარკვეული ადგილი ეკავა.

გამოცემა, რომელიც გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის UNESCO-სა და საქართველოს იუნესკოს ეროვნული კომისიის მხარდაჭერით გამოვიდა, საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, გაეცნოს, როგორ აშუქებდნენ ქართული გაზეთები ქალთა აქტივობებს, რას წერდნენ თავად ქალები საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე, ასევე მოისმინოს ის უნიკალური აუდიო ჩანაწერები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული.

დარწმუნებულები ვართ, რომ მომავალშიც არაერთი თაობა ინტერესით მიუბრუნდება მემკვიდრეობას, რომელიც ქალებმა შექმნეს, რადგან მათი მოღვაწეობა არ არის მხოლოდ წარსულის კუთვნილება, მათი ნააზრევნი და გაკეთებული საქმეები აქტუალური და თანადროულია დღესაც.

მედიის განვითარების ფონდი

INTRODUCTION

A society, just like any person, is appreciated by the level of dignity with which it reacts to the challenges posed by the time and environment in which it lives. In the conditions of Tsarist Russia and Soviet totalitarianism, the Georgian society repeatedly faced great threats, including the threat of being annihilated. It was exactly spiritually strong, educated and western-oriented persons that assumed the entire burden of public life at such times and women living in Georgia were among such persons.

Owing to invaluable contributions made by many of these women, regardless of their social standing, ethnic origin or religious belief, Georgia has survived to date as an inseparable part of Western civilization and the country of ancient culture. Instead of being supported, these women often became an object of derision and open condemnation. Nevertheless, they were the ones who created excellent pieces of prose, poetry and painting, performed on various stages, were engaged in scientific and education activities. Women working in Georgia promoted progressive political ideas and schools of thought and conducted charity activity.

The aim of the project, “Women of the Past – Example for the Future,” is to better inform society about female public figures of various epochs and based on historical examples, to promote the gender equality and highlight a special role of media in this process. In this regard, the Georgian media of the 19th and 20th centuries represent a valuable source of information. Almanack includes stories of those women whose activities were connected with Georgia.

The edition which was published with the financial support of the United Nations Educational, Scientific and Cultural Organization, UNESCO, and Georgian National Commission for UNESCO, provides the society with the opportunity to learn how the Georgian press covered activities of women and what women themselves wrote about pressing issues of their times; also to hear those unique audio recordings which are kept in Georgia’s national archive.

We believe that future generations will also show interest towards the legacy created by these women, because their activities do not belong to the past alone; their thoughts and deeds are topical today too.

MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ბაბო ავალისვილი-ხერხეულიძე, მსახიობი
BABO AVALISHVILI-KHERKHEULIDZE, Actress

08

10

აზიანი – ნატალია დონდაროვა, დრამატურგი
AZIANI – NATALIA DONDAROVA, Playwright

ეთელ ანაკინი-სნოუდენი, საზოგადო მოღვაწე
ETHEL ANNAKIN-SNOWDEN, Public Figure

12

14

სოფიო არგუტინსკაია-დოლგორუკოვა, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე
SOPHIO ARGUTINSKAIA-DOLGORUKOVA, Teacher, Public Figure

ანასტასია ბაგრათიონი-დავითაშვილი (მარაბელი), საზოგადო მოღვაწე
ANASTASIA BAGRATIONI-DAVITASHVILI (MACHABELI), PUBLIC FIGURE

16

17

თეკლე ბატონიშვილი (ბაგრათიონი), პოეტი
THECLA BATONISHVILI (BAGRATIONI), Poet

ნატო გაბუნია-ცაგარელი, მსახიობი
NATO GABUNIA-TSAGARELI, Actress

18

20

განდეგლი – დომინიკა ერისთავი, მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი
GANDEGILI – DOMINIK ERISTAVI, Writer, Translator, Journalist

მარიამ გარიკული-თათეიშვილი, მსახიობი, მწერალი
MARIAM GARIKULI-TATEISHVILI, Actress, Writer

22

24

ანეტა გიგბედაშვილი-კაპანაძე, პოეტი, საზოგადო მოღვაწე
ANETA GIGIBEDASHVILI-KAPANADZE, Poet, Public Figure

ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე, საზოგადო მოღვაწე
OLGA GURAMISHVILI-CHAVCHAVADZE, Public Figure

27

28

მარიამ დადიანი-ანჩაბაძე, საზოგადო მოღვაწე
MARIAM DADIANI-ANCHABADZE, Public Figure

სალომე დადიანი-მიურათი, საზოგადო მოღვაწე
SALOME DADIANI-MURAT, Public Figure

30

32

ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე, მწერალი
BARBARE ERISTAVI-JORJADZE, Writer

ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე
EKATERINE TARKHNISHVILI-GABASHVILI, Writer, Public Figure

34

37

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე
ANASTASIA TUMANISHILI-TSERETELI, Writer, Public Figure

მარიამ ივანიშვილი-დემურია, საზოგადო მოღვაწე
MARIAM IVANISHVILI-DEMURIA, Public Figure

40

42

მარო მაყაშვილი, სტუდენტი
MARO MAKASHVILI, Student

სოფი მენდერი, პიანისტი, კომპოზიტორი
SOPHIE MENTER, Pianist and Composer

44

46	ეკატერინე (კეკე) მესხი-მელიქიშვილი, საზოგადო მოღვაწე EKATERINE (KEKE) MELIKISHVILI-MESKHI, Public Figure	
	კატო მიქელაძე, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე KATO MIKELADZE, Journalist, Public Figure	48
52	სოფიო მიქელაძე, საზოგადო მოღვაწე SOPHIO MIKELADZE, Public Figure	
	ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, საზოგადო მოღვაწე ELISABED NAKASHIDZE-BOLKVADZE, Public Figure	53
56	პელაგია ნაცვლიშვილი, ექიმი, საზოგადო მოღვაწე PELAGIA NATSVLISHVILI, Doctor, Public Figure	
	ეკატერინე ნიკოლაძე, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე EKATERINE NIKOLADZE, Pedagogue, Public Figure	58
60	მინადორა ორჯონიკიძე-თოროშელიძე, საზოგადო მოღვაწე MINADORA ORJONIKIDZE-TOROSHELIDZE, Public Figure	
	მაკო საპაროვა-აბაშიძე, მსახიობი MAKO SAPAROVA-ABASHIDZE, Actress	62
64	კარლა სერენა, მოგზაური CARLA SERENA, Traveler	
	ნინო ტატიშვილი-ყიფიანი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე NINO TATISHVILI-KIPIANI, Publicist, Public Figure	66
69	ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძე, საზოგადო მოღვაწე ELEONORA TER-PARSEGOVA-MAKHVILADZE, Public Figure	
	მარჯორი უორდროპი, მწერალი, მთარგმნელი MARJORY WARDROP, Writer, Translator	70
72	ეკატერინე ფორაქიშვილი-სარაჯიშვილი, მეცენატი, საზოგადო მოღვაწე EKATERINE PORAKISHVILI-SARAJISHVILI, Philanthropist, Public Figure	
	ნინო (ჰიპო) კიკოძე-შარაშიძე, პედაგოგი NINO (ZHIPO) KIKODZE-SHARASHIDZE, Pedagogue	73
74	ანნა გოგობერიძე-მუსხელიშვილი, საზოგადო მოღვაწე ANNA GOGOBERIDZE-MUSKHELISHVILI, Public figure	
	ბარბარე ყიფიანი, ფსიქო-ფიზიოლოგი, საზოგადო მოღვაწე BARBARE KIPIANI, Psycho-physiologist, Public Figure	76
78	ელენე ყიფიანი-ლორთქიპანიძე, მთარგმნელი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე ELENE KIPIANI-LORTKIPANIDZE, Translator, Actress, Public Figure	
	ნინო (ნინუცა) ყიფიანი, იურისტი, საზოგადო მოღვაწე NINO (NINUTSA) KIPIANI, Lawyer, Public Figure	80
82	ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე, საზოგადო მოღვაწე CHRISTINE (CHITO) SHARASHIDZE, Public Figure	
	მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, საზოგადო მოღვაწე MARIAM JAMBAKUR-ORBELIANI, Public Figure	83



ბაბო ავალიშვილი- ხერხეულიძე

BABO AVALISHVILI-
KHERKHEULIDZE

1851-1900

მსახიობი
ACTRESS

ბაბო ავალიშვილი თბილისის განახლებულ თეატრში (1879) ტრაგიკული და დრამატული როლების პირველი შემსრულებელი ქალი იყო. თამაშობდა შემდეგ მთავარ როლებში: მარტა (გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგი“), ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), მარინე (გუნიას „და-ძმა“), მარგარიტა (დიუმას „მარგარიტა გოტიე“), ოფელია (შექსპირის „ჰამლეტი“), ამალია (შილერის „ყარალები“) და სხვა.

ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. იყო „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ საზედამხედველო კომიტეტის წევრი.

Babo Avalishvili was the first woman who performed tragic and dramatic roles in the renewed Georgian theatre in Tbilisi (1879). She played Martha (in Giorgi Eristavi's Kvarkvare Atabeg), Ketevan (Davit Eristavi's Homeland), Marine (Valerian Gunia's Sister and Brother), Marguerite (The Lady of the Camellias by Alexandre Dumas, fils), Ophelia (William Shakespeare's Hamlet), Amalia (Friedrich von Schiller's The Robbers), others.

Babo Avalishvili was engaged in charity activity and was a member of supervisory committee of the Association of Georgian Women.

8. წერეთელი. გაზეთი „კვალი“ #51, 12 დეკემბერი, 1893

„რაკი ერთხელ დაიძრა საზოგადოებაში ქართული სახიობის სურვილი, გავიხედეთ და 1868 და 1869 წელს მოგვესმა თავადის ბარბარე ხერხეულიძის ასულის გამოსვლა სცენაზე... და რომ კიდევ უფრო აღეძრა საზოგადოებაში თანაგრძნობა ქართულ სახიობისადმი, თავადი ბარბარე ხერხეულიძე წარმოდგენებს შემდეგ მართავდა თეატრის შემოსავლიდან საზოგადო დროს გასატარებელ საღამოებს. ამითი მას ჰსურდა ქართული საზოგადოება და ოჯახები ერთმანეთთან დაეახლოვებინა და მეტი თანაგრძნობა გამოეწვია ქართულ მსახიობისადმი“...

G. TSERETELI. THE NEWSPAPER KVALI. ISSUE #51, 12 DECEMBER, 1893

“As the desire for a Georgian theatre aroused among society, we saw the performance of Countess Barbare Kherkheulidze on the stage in 1868 and 1869... To further incite the sympathy towards the Georgian theatre among society, after performances Barbare Kherkheulidze herself organized entertainment events in the evenings from the proceeds of the theatre. She thus wanted to bring the Georgian society and families close to each other and to incite more sympathy towards theatre among them.”

გაზეთი „ივერია“ #7, 11 იანვარი, 1900

„პირველ ხანს ქალების როლს ყმაწვილკაცები ასრულებდნენ... შემდეგ ქართველი ხელოსანი ქალები გამოუჩნდნენ მაშველად ჩვენის პოეტის კნ. ნინო ორბელიანის შემწეობით. ბოლოს იქამდისაც მივიდა საქმე, რომ წარჩინებულ ოჯახებამდისაც გაიკვალა გზა და მათი მფარველობა თანაგრძნობა მოიპოვა. ამ ოჯახებში დაიდო რეპეტიციების ბინა და იმათისავე დახმარებით დაიწყო ჩვენის ოჯახის ქალების სცენაზედ გამოყვანის ქადაგება... ყველაზე პირველად თავადის ასულმა ბაბო ხერხეულიძისამ (აწ. კნ. ავალიშვილისამ) გაბედა სცენაზედ გამოსვლა, იმას მოჰყვა ელენე, დიმიტრი ყიფიანის ასული. ამათ ქ-ნნი ანტონოვსკისა, (ბროძელის ასული), მარიამ ყიფიანისა, ბარბარე კორინთელი, თ. ას. ვაჩნაძისა, ელისაბედ ყაზბეგისა, ვარლამოვისა, დაკიშვიჩისა, ბოლოს მარიამ საფაროვისა, ნატალია გაბუნია და სხვ.“

THE NEWSPAPER IVERIA. ISSUE #7. 11 JANUARY, 1900

“First, males played the female roles... Some time later, Georgian actresses emerged owing to efforts of Countess Nino Orbeliani. Then, this endeavor reached noble families and gained assistance and sympathy from them. Rehearsals were conducted in these families and they advocated for women’s performance on the stage... The first ever woman who dared to step onto the stage was countess Babo Kherkheulidze (now countess Avalishvili); she was then followed by Elene Kipiani, Ms. Antonovskaya, Marian Kipiani, Barbare Korinteli, Ms. Vachnadze, Elisabed Kazbegi, Ms. Varlamova, Ms. Dakishevich and finally, by Mariam Saparova, Natalia Gabunia and others.”



აზიანი - ნატალია დონდაროვა AZIANI - NATALIA DONDAROVA

1878-1943

დრამატურგი
PLAYWRIGHT

ნატალია აზიანი (დონდაროვა) 1878 წლის 4 იანვარს ქალაქ გორში დაიბადა. პირველი პიესა „ინჟილერი ან დოხტური“, რომელმაც „ივერიის“ რედაქტორის, ილია ჭავჭავაძის მოწონება დაიმსახურა, მან 1897 წელს დაწერა. თავის მხრივ, ილიამ ნაწარმოები ქართულ დრამატულ საზოგადოებას გადასცა, რომელმაც იგი სცენაზე 1898 წელს დადგა. ნატალია აზიანი ასევე ავტორია შემდეგი პიესებისა – „ფული და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“, „ხან ისე და ხან ასე“, „გაი კალმისაგან“, „პოლიტიკური დურაჩკა“, „სამშობლოს ბურჯნი“, „ცოდვა“ და „დემერტიკა“. მის კალამს არაერთი სატირული ფელეტონი და მოთხრობა ეკუთვნის.

Natalia Aziani (Dondarova) was born on 4 January 1878 in the city of Gori. The first play, *Engineer or Doctor*, which Natalia Aziani wrote in 1897, gained the praise from Ilia Chavchavadze, the editor of *Iveria* newspaper. For his part, Ilia Chavchavadze gave the literary work to the Georgian Society of Drama which staged it in 1898. Natalia Aziani is also the author of the following plays: *Money and Quality*, *Wrecked Hopes*, *This Way or Another*, *Woe from Pen*, *Political Fool*, *Pillars of Homeland*, *Sin*, and *Fugitive*. She wrote a number of satirical articles and short stories too.

გაზეთი „ივერია“ #8, 13 იანვარი, 1898

„ეს პიესა [„ინჟილერი ან დოხტური“] ეკუთვნის ერის ახალგაზრდა სომეხ-ქალს და საკმაოდ ნიჭიერად არის დაწერილი თუ მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ ეს პიესა პირველი ნაბიჯია ამ ახალგაზრდა ქალისა სალიტერატურო ასპარეზზე. ჩვენის აზრით, ორიგინალ პიესათა შორის ამ წელს ამისთანა პიესა არც ერთი არ წარმოუდგენიათ“...

THE NEWSPAPER *IVERIA*. ISSUE #8. 13 JANUARY, 1898

“This play belongs to one young Armenian lady and the writing shows quite a talent taking into account that this is the first step of this young lady on the literary arena. In our opinion, among original plays offered this year none has proved to be a play of such a talent”

გაზეთი „ივერია“ #12, 18 იანვარი, 1898

„ჩვენ არა ვართ ჩვეულებრივი და განებავებული ქართულ სცენაზე ცხოვრებად დახასიათებულ ადამიანების ხილვით; უფრო ხშირად ჩვენ ვხედავთ კარიკატურებს... ერთი ადამიანი, კერძო კაცი არ შეადგენს არც მასალას, არც ინტერესს საზოგადოებისას და ლიტერატურისას. ნიჭი-ერია იგი ავტორი, რომელიც ათასფეროვანს ცხოვრებაში იპოვის საზოგადო მოვლენას, ტიპს... ქ-ნი აზიანი იმითი არის შესანიშნავი, რომ შექმნა ლიტერატურაში ახალი ტიპები. ცხოვრებამ დიდი ხანია შექმნა იგინი, მხოლოდ ლიტერატურაში მათის დახასიათების პატივი ეკუთვნის ქ-ს აზიანს და აი მისი ნორჩის კალმის უძველესი ნიჭერებაც!..“

THE NEWSPAPER IVERIA. ISSUE #12. 18 JANUARY, 1898

“We are not accustomed to or spoilt by seeing people described with such truth on the stage; instead, we more often see caricatures. “One private person does not constitute either a material for literature or an interest of society. An author who manages to find a general phenomenon or type in this diverse life is talented indeed... Ms. Aziani is remarkable for creating new types in literature. The life has created these types for quite a long time now whereas the honor to describe them in literature belongs to Ms. Aziani and this description shows the true talent of her young pen!..”

აზიანი. „ინტერვიუ ქალბატონ დემოკრატიასთან“. გაზეთი „საქართველო“ #173, 23 დეკემბერი, 1920

AZIANI. “INTERVIEW WITH MADAM DEMOCRACY”. THE NEWSPAPER SAKARTVELO, ISSUE 173, 23 DECEMBER, 1920

– „რატო დგებარ შენ ამ ნესტიან, ბნელ სარდაფში, როცა იქ, ქალაქის საუკეთესო ნაწილში, შენი კანონიერი, ჯვარდაწერილი პატრონები, კომისარ-მინისტრები რვა რვა ოთახში არიან გამოჭიმულნი?!..“

“– Why are you staying in this damp, dark cellar when your legal spouses, masters, commissars and ministers live in eight-room apartments in the best part of the city?!

მაშ არ იცოდი, რომ მეორე ქმარიც მღალატობს? მზითვის გულისათვის ჯვარი დაიწერა ჩემზე და ახლოს აღარ გამკარებია... ეგეც ბურჟუაზიას ეარშიყება...“

“– Did you not know that the second husband betrayed me too. He married me because of my dowry and has not even come near to me since then.... He is also flirting with bourgeoisie...“

– მაშ, რაც ჩამომართვეს, რაც მე დამაკლეს, შენთან არ მოუტანიათ, შენ კი არ გაგინაწილეს?! – ვკითხე მე აღშფოთებულმა...“

“– They did not give you, did not share with you what I was deprived and confiscated of?! – I asked in indignation.

– უბედურობა ის არი, რომ მესამეთ მიპირებენ გათხოვებას? რა ვიცი, ვილაც ბოლშევიკი გამოჩენილა, ახლა ის მუარშიყება, დიდ ბედნიერებას მიპირდება, მაგრამ რა ვქნა, როგორ გავბედო?...“

“The main problem is that they are going to make me get married for the third time. They say a Bolshevik is courting me now, promising immense happiness. But I do not know what to do, should I dare again?

– აღარ გათხოვდე, შე უბედურო, იკმარე მაგდენი ქმრები! – შევძახე მე სიბრალულოთ და ნაღვლიანათ დავბრუნდი სახლში“.

“– Do not marry again, you poor soul! Enough with these husbands! – I exclaimed with pity and returned home distressed.”



ეთელ
ანაკინი-სნოუდენი
ETHEL
ANNAKIN-SNOWDEN

1881-1951

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

ეთელ ანაკინი სნოუდენი (ვიკონტესა სნოუდენი) ბრიტანელი სოციალისტი პოლიტიკოსი და ფემინისტი იყო. საშუალო კლასის წარმომადგენელი, რადიკალი პასტორის ზეგავლენით, ქრისტიან-სოციალისტი გახდა და თავდაპირველად, ლივერპულის ღარიბ უბნებში ალკოჰოლის ზომიერ მოხმარებას ან მოხმარებისგან სრულ თავშეკავებას ქადაგებდა. იგი ჯერ ფაბიანელთა საზოგადოებას მიეძმრო, შემდეგ დამოუკიდებელ ლეიბორისტულ პარტიას. შემოსავლის წყაროს ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში ლექციების კითხვა წარმოადგენდა. პირველ მსოფლიო ომამდე, სნოუდენი ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭების კამპანიის ერთ-ერთი აქტიური ლიდერი იყო. შემდეგ მან ქალთა სამშვიდობო კამპანია წამოიწყო, რომელიც ომის წინააღმდეგ ილაშქრებდა და სამშვიდობო მოლაპარაკებების მოწოდებებით გამოდიოდა. საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ, იგი ამ ქვეყნის სისტემის მკაცრი კრიტიკოსი გახდა, რამაც ის ბრიტანელ მემარცხენეებს შორის არაპოპულარული გახადა.

ანაკინი ცოლად ლეიბორისტული პარტიის ცნობილ პოლიტიკოსს და მომავალ ფინანსთა მინისტრს, ფილიპ სნოუდენს, გაჰყვა. 1920-იან წლებში იგი BBC-ის სამეურვეო საბჭოს წევრად და სამეფო ოპერის დირექტორად დაინიშნა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, კვლავ ჩაერთო ალკოჰოლის ზომიერი მოხმარების კამპანიაში და ჟურნალისტიკას მიუბრუნდა.

ეთელ სნოუდენი 1920-იან წლებში საქართველოს რამსეი მაკდონალდსა და ტომ შოუსთან ერთად ეწვია, საკუთარი შთაბეჭდილებები კი გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ ფურცლებზე ასახა.

Ethel Annakin Snowden (Viscountess Snowden) was a British socialist and feminist politician. From a middle-class background, she became a Christian Socialist through a radical preacher and initially promoted temperance and teetotalism in the slums of Liverpool. She aligned to the Fabian Society and later the Independent Labour Party, earning an income by lecturing in Britain and abroad. Snowden was one of the leading campaigners for women's suffrage before the First World War, then founding the Women's Peace Crusade to oppose the war and call for a negotiated peace. After a visit to the Soviet Union she developed a strong criticism of its system, which made her unpopular when relayed to the left-wing in Britain.

Annakin married the prominent Labour Party politician and future Chancellor of the Exchequer, Philip Snowden. In the 1920s she was appointed as a Governor of the BBC and as a Director of the Royal Opera House. After husband's death, she resumed temperance campaigning as well as journalism.

Annakin Snowden, who accompanied Mr. Ramsay MacDonald and Mr. Tom Shaw on their visit to Georgia in the 1920s, shared her impressions about visit with the *Manchester Guardian*.

გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“,
12 ოქტომბერი, 1920.
ქალბატონი სნოუდენის
[ეთელ ანაკინის] შთაბეჭდილებები

„საქართველოს გამოვლილი აქვს ომები თურქებთან, სომხებთან და ბოლშევიკებთან. ფასები კვლავ ძალიან მაღალია და გაცვლითი კურსი მათთვის სახარბიელო არ არის. თუმცა ხალხი იმედით აღსავსე და მიზანმიმართულია. მათ შექმნეს ისეთი რამ, რაც ყველაზე სრულყოფილი სოციალიზმია ევროპაში. მე იქ ვნახე საკუთრებაჩამორმეული არისტოკრატია, რომელიც ახალ პირობებს ეგუება; შევხვდი ათობით თავადსა და არისტოკრატის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც შემოსავალს მძლოლად ან კლერკად მუშაობით ან სხვა სამუშაოს შესრულებით შოულობენ და ისინი ამას ამართლებენ. იგივე მიდგომა აქვთ საკუთრებადაკარგულ თავადებს, რომლებსაც შევხვდი. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებსაც არ მოსწონთ ცვლილებები, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი საცხოვრებლად სხვაგან წავიდნენ“, თქვა ქალბატონმა სნოუდენმა.

„ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება ქართველებსა და რუსებს შორის გარეგნულმა სხვაობამ მოახდინა. რუსეთში საყოველთაო გაჭირვების ცქერა აუტანელი იყო. ქართველები ფიზიკურად უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე რუსები. ისინი კარგად იკვებებიან და კარგად აცვიათ და, რაც მთავარია, ნამდვილად ბედნიერები ჩანდნენ. მათ სახეებზე შიში არ ეტყობოდათ. სამხედრო წყობის გამო დემონსტრაციები არ ყოფილა.

ის ფაქტი, რომ ბოლშევიკები ამ ხალხში არ არიან გაბატონებული, როგორც ეს აზერბაიჯანელებშია, და ისინი პრაქტიკულადაც და თეორიულადაც ეწინააღმდეგებიან ბოლშევიზმს, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობას უადვილებთ, რაც, მათი უხვი მარაგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს იმას, რომ ისინი კარგად იკვებებიან.“

THE NEWSPAPER MANCHESTER GUARDIAN
OCTOBER 12, 1920.
MRS. SNOWDEN'S IMPRESSIONS

“Georgia,” said Mrs. Snowden “has had experiences of warfare with Turks, Armenians, and Bolsheviks. Prices are still very high, and the exchange is heavily against her. But the people are full of hope and determination. They have set up what is the most perfect Socialism in Europe, and from what I could see the dispossessed aristocracy, are acquiescing in the new conditions. I met princes and nobles by the score who are now earning their living as chauffeurs or clerks or in other employments, and, so far from complaining about the Government, they justified it. This, too, was the attitude adopted by a dispossessed princess whom I met. Of course, there are others who resent the change, but apparently they have gone to live elsewhere.

“I was immensely struck by the difference between the appearance of the people in Georgia and in Russia. The constant sight of misery in Russia was intolerable. The Georgians were in a physical condition infinitely superior to the Russians. They looked well fed and well clothed, and, above all, genuinely happy. There was no terror in their faces. There were no demonstrations arranged by military order.

“The fact that these people are not, like the people of Azerbaijan, dominated by the Bolsheviks, but are opposed to Bolshevism in practice and in theory, makes it easier for them to trade with other countries, and this, with their more ample supplies, accounts for their well-fed appearance.”



სოფიო არგუთინსკაია- დოლგორუკოვა SOPHIO ARGUTINSKAIA- DOLGORUKOVA

1860-1954

პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე
TEACHER, PUBLIC FIGURE

1880 წელს თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი დაამთავრა და იმ დროს ცნობილ ს. ბაბაიანის საბავშვო ბაღში რუსული ენის პედაგოგად დაიწყო მუშაობა, ხოლო 1882 წელს საბავშვო ბიბლიოთეკა გახსნა, რომელიც ერთ-ერთ პირველ კულტურულ ცენტრად იქცა.

1886 წელს თბილისში პანსიონი და საბავშვო ბაღი, ხოლო 1905 წელს თავის მამულში, სოფელ სანაიში გლეხთა შვილებისთვის უფასო სასწავლებელი გახსნა.

იყო „კავკასიის ფრებელის საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი, ასევე „ფრებელის საზოგადოების ქალთა უმაღლესი პედაგოგიური კურსების“ გახსნის ინიციატორი, რომელიც სკოლამდელი დაწესებულებებისათვის აღმზრდელებს 1921 წლამდე არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის ამზადებდა.

სოფიო არგუთინსკაია ცნობილი სომეხი კომპოზიტორის, არამ ხაჩატურიანის ბაღის პედაგოგი იყო.

In 1880 Sophio Argutinskaia-Dolgorukova graduated from the Noble Women Institute and undertook a job of a teacher of Russian language in the then famous kindergarten of S. Babaiani. In 1882 she opened a children's library which became one of the first cultural centers in which various events were conducted.

In 1886, Sophio Argutinskaia-Dolgorukova returned to Tbilisi and applied to the trustee of Caucasus educational district for a permit to open a boarding school and kindergarten. In 1905, she opened a free school for children of peasants in her own estate in the village of Sanai.

Sophio Argutinskaia-Dolgorukova was one of the founders of the Caucasus Froebel Society and a member of its board; she also spearheaded the opening of Froebel Society's Higher Pedagogical Courses for Women which trained pre-school teachers not only for Georgia but also the entire region until 1921.

Sophio Argutinskaia-Dolgorukova was a kindergarten teacher of an famous Armenian composer, Aram Khachaturian.

გაზეთი „ივერია“ #25, 1 თებერვალი, 1891

„ამ დღეებში ტფილისის ქალაქის საბჭოს მხარეთა თხოვნა კნ. არღუთინსკი-დოლგორუკისამ, რომელსაც, როგორც მკითხველთ უწყიან, ტფილისში აქვს გამართული „იაფი წიგნთ-საცავი და სამკითხველო“, სადაც, მრავალ სხვა-და-სხვა წიგნს გარდა, მოიპოვება რუსული, ქართული და სომხური ჟურნალ-გაზეთები. ეს წიგნთ-საცავი უწინ საბავშვო იყო და კნიაჟნა არღუთინსკიმ მთავრობის ნება-დართვით ეხლანდელ წიგნთ-საცავად გადააკეთა. წიგნების კითხვისათვის ამ წიგნთ-საცავში ახდევინებდნენ ერთ აბაზს თვეში, ხოლო ჟურნალ-გაზეთებისათვის 2 კაპ. ამიტომაც არის, რომ ამ წიგნთ-საცავის წევრთა უმრავლესობას შეადგენს ღარიბი და ხელ-მოკლე ხალხი, რომელიც გირაოს შეტანისაგან თავისუფალია... წიგნთ-საცავის პატრონმა, რომელსაც ამ საქმეში არავითარი სხვა ამრი არა აქვს, გარდა საზოგადო სიკეთისა, მიჰმართა ქალაქის საბჭოს და სთხოვა, წიგნთ-საცავის და სამკითხველოსათვის დამითმეთ ერთ-ერთი ქალაქის საკუთარ მაღაზიათაგანი შემდეგის პირობით: 1) ყოველ ხარჯს წიგნთ-საცავის შენახვისას, გარდა სადგურის ხარჯისა, თითონ მე ვიკისრებ; 2) დანიშნულ დროს წარვუდგენ საბჭოს შემოსავალ-გასავლის ანგარიშს და აგრეთვე ანგარიშს იმისას, თუ ვინ და რამდენი დადის წიგნთ-საცავში ხელობისა, წლოვანებისა და ეროვნების აღნიშვნით; 3) თუ საბჭო ისურვებს, წიგნთ-საცავს დაერქმევა „ქალაქის სახალხო წიგნთ-საკითხავი“; 4) ყველა რუსული, ქართული და სომხური წიგნი 7,000 ცალამდე ზოგიერთების გამოკლებით ჩემი სიკვდილის შემდეგ გახდება ქალაქის საკუთრება.

ცხადია, რომ უკეთესს დროსა და პირობას „სახალხო წიგნთ-საცავის“ დაარსებისათვის ქალაქის საბჭო ვერ ღარ იშოვის. ამიტომაც, იმედია, ახალი საბჭო შეიწყნარებს კნიაჟნა არღუთინსკის თხოვნას“. („Ноб. Огос.“)

THE NEWSPAPER *IVERIA*. ISSUES #25. 1 FEBRUARY, 1891

“Just recently, the city council of Tbilisi was approached by Sophio Argutinskaia-Dolgorukova who, as readers know perfectly well, runs a cheap library and a reading hall which, apart from various books, keeps Russian, Georgian and Armenian newspapers and magazines. This library was earlier designed for children and countess Argutinskaia, upon the consent of the government, transformed it into the library as it is at present. This library charged 20 kopeks for reading books and two kopeks for reading press per month. That’s why the majority of members of this library are poor and indigent people who are exempt from delivering collateral... The owner of this library, who has no other aim in this business but to provide public good, applied to the city council with a request to give her one of shops owned by the council for the library and reading hall on the conditions that: 1) she will assume all costs, save the cost of station, for maintaining the library; 2) she will submit income statement to the council in due time and also a report on the identity and number of visitors of the book storage, indicating their vocations, age and nationality; 3) if the council would like so, the library will be called Popular City Library; 4) All Russian, Georgian and Armenian books in the amount of 7,000 units, except several ones, will become the property of the city after her death.

“It is clear that the city council will not find any better time and terms for the establishment of Popular Library. Hopefully, the new council will take countess Argutinskaia’s request into account.”

ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-დავითაშვილი (მაჩაბელი)

ANASTASIA (TASO)
BAGRATIONI-DAVITASHVILI
(MACHABELI)

1869-1917

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების თავმჯდომარე, ხელს უწყობდა ქართული თეატრის განვითარებას.

დაქორწინებული იყო მწერალ, მთარგმნელ, პუბლიცისტ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ წევრ ივანე მაჩაბელზე.

Anastasia Bagrationi-Davitashvili was a chair of Tbilisi unit of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians. She contributed to the development of Georgian theatre.

Anastasia Bagrationi-Davitashvili was married to Ivane Machabeli, a Georgian writer, translator, publicist and active member of the national-liberation movement.

გაზეთი „საქართველო“ #196,
6 სექტემბერი, 1917

„ან. მაჩაბლის გარდაცვალების გამო ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭომ თავის სხდომაზე 4 აგვისტოს 1917 წ. განიხილა აწ განსვენებულ ანასტასია ალექსანდრეს ასულის მაჩაბლის დიდი ღვაწლი ქართულ თეატრისადმი და მისი დაუღალავი ზრუნვა ქართველ მსახიობის ნივთიერ და სულიერ გაუმჯობესებისათვის და დაადგინა: პირველ პენსიას, რომელსაც მსახიობთა კავშირი დაუნიშნავს რომელიმე მსახიობს, დაერქვას ანასტასია ალექსანდრეს ასულის მაჩაბლის სახელობის პენსია, ხოლო გვირგვინის ნაცვლად 25 მანეთი გადაეცეს ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგეობას.“

THE NEWSPAPER SAKARTVELO.
ISSUE #196, 6 SEPTEMBER, 1917

“Because of death of Anastasia Machabeli, the council of the professional union of Georgian actors, at its meeting on 4 August 1917, discussed the great contribution of the late Anastasia Machabeli to the development of Georgian theatre and her tireless work for material and spiritual improvement of Georgian actors and resolved: to name the first pension, which will be granted to an actor of the actors' union, after Anastasia Machabeli whilst instead of having a wreath amde, to give 25 rubles to the administration of soup kitchen at the Georgian gymnasium.”

თეკლე ბატონიშვილი (ბაგრატიონი)

THECLA BATONISHVILI
(BAGRATIONI)

პოეტი
POET

1776-1846



ქართველი პოეტი, ერეკლე II-ის ასული, ვახტანგ ორბელიანზე იყო დაქორწინებული. თეკლე ბატონიშვილი პოეტების – ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების დედა იყო. 1832 შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ქ. კალუგაში გადაასახლეს.

Thecla Batonishvili, a Georgian poet and a daughter of King Erekle II, was married to Vakhtang Orbeliani. She was mother of Georgian poets – Vakhtang and Aleksandre Orbeliani. In 1832, Thecla Batonishvili was exiled to Kaluga for participating in the conspiracy aimed at restoring an independent Georgian monarchy.

ბ. წერეთელი. გაზეთი „კვალი“ #5, 25 იანვარი, 1897

„თეკლე ბატონიშვილი იყო ირაკლი მეფის სულ უმცროსი შვილი, კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურიან ორბელიანის დიდი დედა...“

სახელოვანი მამა თურმე, როგორც ვაჟს ისე ზდიდა თავის სატრფო ქალს. თეკლეს პატარაობიდანვე უყვარდა ცხენზე ჯდომა და საომარი იარაღი. რვა წლისა ყოფილა, რომ თოფის სროლა უსწავლია...

1830 წელს თეკლე ბატონიშვილი გარეული იყო პოლიტიკურ შეთქმულებაში და, როგორც დიდი გავლენის მქონე პირი, მთავრობამ დროებით გადაასახლა კალუღაში...

თეკლე ბატონიშვილი მეტათ გულ-მოწყალე და ღარიბების შემწე იყო. იმის ხარჯზე ბევრ საწყალ ოჯახში იგზავნებოდა ულუფები. ყველანი იმის ხელის შემჩერენი იყვნენ. მაგრამ ამასთანავე, როცა უსამართლობას შენიშნავდა, ძლიერ ფიცხი და რიხიანიც იყო“.

G. TSERETELI. THE NEWSPAPER KVALI.
ISSUE #5, 25 JANUARY 1897

“Thecla Batonishvili was the youngest daughter of King Erekle, grandmother of Mariam Jambakurian-Orbeliani... She was the king’s favorite daughter, who raised her as a boy. Thecla was fond of horse riding and could handle weapons from early childhood. She was eight years old when she learned shooting.

“In 1830, Thecla Batonishvili was involved in planning a coup and the government sent her, as a very influential person, to a temporary exile in Kaluga.

“Thecla Batonishvili was a very generous person and assisted the poor. Many indigent families received food from her. Everyone pinned hopes on her charity. But at the same time, she was very hot tempered and could become even furious if she spotted any injustice.”



ნატო გაბუნია-ცაგარელი NATO GABUNIA-TSAGARELI

1859-1910

მსახიობი
ACTRESS

ნ. გაბუნია-ცაგარელის ავტობიოგრაფია. საქართველოს მოამბე #5, 29 ნოემბერი, 1909

„...ერთხელ დავწერე ლექსები და გამოუგზავნე თბილისში დასაბეჭდად ანტონ ფურცელაძეს, გადაეკითხა და რაკი უვარგისად დაენახა, უკანვე გამოეგზავნა და მწერდა, მიზეზი დაუბეჭდაობისა ის არის, რომ ცენზორმა არ გაუშვაო, მეც თავ-გამოდებული ყველას შევჩიოდი, ჩემი ლექსები ცენზორს არ გაუშვია დასაბეჭდად, საწინააღმდეგოდ მიუღია მეთქი. თექვსმეტი წლისა ვიქნებოდი, რომ სცენაზედ გამომიყვანეს, საქველ-მოქმედო წარმოდგენა გამართეს ღრმად პატივ-ცემულ თ. ელიზბარ ერისთავის სახლში ქ. გორში... ამის შემდეგ შემხვდა ანტონ ფურცელაძე კიდევ გორში და მითხრა: პოეტობას თავი დაანებეო, — სწორედ სასცენო ქალი ხარო... მაგრამ მამაჩემი დიდ უარს აცხადებდა... მაშინ გადავწყვიტე გამოვპარულიყავ და შევასრულე კიდევ, წამოვყე ბაალ მაჩაბელს თბილისში. დაარსდა დასი 1879 წელში...

ყოველ წელიწადს ბენეფისის დროს მე გულდამშვიდებული ვიყავი, რადგან ვიცოდი ჩემი ბენეფისისთვის ასიკოს მომზადებული ექნებოდა ან პიესა ან თხზულება რამე...

მამაჩემი, როგორც ძველი კაცი, ნადიანბეგარი, თეატრს არ სწყალობდა და არც შემრიგებია, ვინემ ჯგარი არ დავიწერე...

თბილისში რამდენიმე სომხის ოჯახშიაც მქონდა დაახლოება. სომხობა უფრო, თუ მეტი არა, არანაკლებ ქართველებზედ დადიოდა ქართულ თეატრში. ყოველთვის ბენეფისის დროს მხურვალე მონაწილეობასაც იღებდნენ. პირველ ბენეფისში სომხის დრამატიულმა საზოგადოებამ ძვირფასი ლენტით ძვირფასი თაიგული მომართვა. პატივცემული დრამატურგი სუნდუკიანცი თავის პიესების რეპეტიციებზედ ხშირად ესწრებოდა. მე და საფაროვის ქალს, ორივეს ერთად ხელს მოგვხვევდა და გვეტყოდა ხოლმე: „ჩემი პიესების სულები თქვენა ხართ“.

ბევრი რამ კარგი და თანაც მწარე გამომივლია სცენაზედ. ჩემთვის ყველაფერს თეატრი, შეადგენდა, ეხლაც ესეა... შეიძლება მე სცენისთვის ჩალად აღარ ვღირდე, მაგრამ იგი კი ჩემთვის ყველაფერია. ჩემი ოჯახი, ჩემი ასიკო, ჩემი სალოცავი, ჩემი სულის დგმა და სხვა, და სხვა... მაღალი ღმერთი ერთია, რომელიც ღრმად მრწამს, როგორც ღმერთი, მაგრამ მრწამს, რომ ძირსაც არიან ღმერთები, რომელნიც ხალხის გულში ძვრებიან, იმათ ნაღველს იგებენ და თვითვე მკურნალებად უჩნდებიან. აი, მე აქ, ძირსაც მყვანან ღმერთები, რომელნიც მისუსტებულს, დატანჯულს, უძლურს, ძალას მძლევენ სიცოცხლისას“.

AUTOBIOGRAPHY OF NATO GABUNIA-TSAGARELI.
THE NEWSPAPER *SAKARTVELOS MOAMBE*, ISSUE #5,
29 NOVEMBER, 1909

“Once I wrote poems and sent them to Anton Purtseladze in Tbilisi, hoping that they will be published. Having read them Anton Purtseladze did not deem the poems worth publishing. He sent them back with a letter in which he put the blame of not publishing the poems on a censor. I also believed that and complained to everyone that my poems were denied for publication by a censor. I was about 16 years old when I was taken on the stage at a charity performance conducted at respected T. Elizbar Eristavi’s house in Gori.... After that I met Anton Purtseladze in Gori, who told me: ‘drop writing poetry, you are born for the stage...’, but my father was very much against that.... Therefore, I decided to run away from home and I went to Tbilisi with Zaal Machabeli. The theatre crew was established in 1879... Every year, during a benefit performance, I felt calm because I knew that Asiko would have some play or literary work ready for my benefit performance...

“My father, as a man of old traditions, was not fond of theatre and did not forgive me until I got married...

“In Tbilisi I befriended several Armenian families too. Armenians were if not more, at least, no less of theater goers than Georgians. They always actively attended benefit performances. During the first benefit performance the Armenian drama society presented me with a gorgeous bunch of flowers tied with a beautiful ribbon. A respected playwright, Sundukian, also often attended rehearsals of his plays. He used to hug us both me and Saparova and say: ‘you are the souls of my plays’.

“I had many good times on the stage and bad times too. Theatre was everything for me and still remains to be such... Perhaps I am not worth of the stage but the stage means everything to me. My family, my Asiko, my praying house and so on and so forth... The god is one who I deeply trust as the god but I also believe that there are gods on the earth too, who penetrate hearts of humans, understand their sorrow and undertake to cure it. Here, on the earth, I have my gods who give me – the weakened, tortured feeble person – the power to live.”



განდეგილი - დომინიკა ერისთავი GANDEGILI - DOMINIKA ERISTAVI

1864-1929

მწერალი, მთარგმნელი,
ჟურნალისტი
WRITER, TRANSLATOR,
JOURNALIST

1864 წლის 28 ოქტომბერს ვანის რაიონის სოფელ სალომინაოში დაიბადა.

მისი პირველი ლექსი „ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო“ ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიაში“ 1893 წელს გამოაქვეყნა და როგორც ქართული ენის კარგი მცოდნე, თანამშრომლადაც მიიწვია. დომინიკა ერისთავი პირველი კორექტორი ქალი იყო. იგი საქართველოში ქალთა პირველი ორგანიზაციის – „ქართველ ქალთა საზოგადოების“ – ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელია. თანამშრომლობდა არაერთ პერიოდულ გამოცემასთან („ივერია“, „კვალი“, „სახალხო ფურცელი“ და სხვა), 1904 წელს კი ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორად დაინიშნა.

მოთხრობა „მარინეს“ გამოქვეყნების (1897) შემდეგ ნიჭიერ ბელეტრისტად აღიარეს. ლექსებისა და მოთხრობების კრებული 1910 წელს, ხოლო ლექსების – 1918 წელს გამოაქვეყნა. განდეგილი მთარგმნელობითი საქმიანობითაც იყო დაკავებული. თარგმნა ჰაინეს, მარკიზ სონიეს, კუპრინის, ტურგენევის, გორკის და სხვათა ნაწარმოებები. წარდგენილი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატად (გაზეთი „საქართველო“, #152, 14 ივლისი, 1917 წ.).

Gandegili, Dominika Eristavi was born in the village of Salominao, Vani district, on 28 October 1864.

Her first poem “On Reburial of Baratashvili” was published by Ilia Chavchavadze in the newspaper Iveria in 1893 and he also employed her in the newspaper for her perfect knowledge of Georgian language. Dominika Eristavi was the first female proofreader. Dominika Eristavi was one of the spearheads and founders of the first women’s organizations in Georgia – The Society of Georgian Women. She cooperated with a number of periodical editions (newspapers Iveria, Kvali, Sakhalkho Purtseli, et cetera). In 1904, Dominika Eristavi was appointed the editor of the *Nobati* magazine.

After publishing a short story “Marine”, Dominika Eristavi was recognized as a gifted writer. She published a collection of poems and short stories in 1910, and a collection of poems in 1918. Gandegili was also engaged in translation activity. She translated literary works of Heinrich Heine, Aleksandr Kuprin, Ivan Turgenev, Maxim Gorky and others. She was nominated as a candidate of Tbilisi voters of Georgia’s National-Democratic Party (the newspaper *Sakartvelo*, issue #152, 14 July, 1917).

განდეგილი. „ჩემი პროტესტი“. გაზეთი „საქართველო“ #84,
16 აპრილი, 1916

„კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლობის კრებამ საჭიროდ არ სცნო
გამგეობის შვიდს წევრსა და სამს კანდიდატში ერთი ქალი მაინც მოჰყოლოდა...

ქართველ ქალებს საქმიანობის არც ერთ დარგში მამაკაცებზე მეტი თუ არა
ნაკლები უნარი არ გამოუჩენიათ, მაგრამ კულტურულ საზოგადოებათა კავში-
რის კრებამ ვერ გამოიჩინა კულტუროსნობა და ღირსეული ადგილი ვერ მი-
უჩინა ქართველს ქალს, რომელსაც ჩვენი წინაპრები უფრო მაღლა აყენებდ-
ნენ. მეოცე საუკუნის ქართველი მამაკაცი სირცხვილის აღმურმა უნდა დასწვას
მეთორმეტე საუკუნის მამაკაცის ხსენების დროს, თუ თანამედროვე ქართველს
მამაკაცს სირცხვილის ნატამალი-ღა შერჩენია.

ჩვენ მოწყალებას არა ვთხოვთ არავის, მხოლოდ ახსოვდეთ, რომ ქართველი
ქალები უპროტესტოთ ვერ შეხვდებიან მამაკაცთა ასეთს ქედმაღლობას, რო-
მელიც ბევრს გვაძლევს და არაფრის უფლებას კი არ გვაძლევს.

უუფლებო მოვალეობის ხანა წარსულს ეკუთვნის“.

GANDEGILI. "MY PROTEST". THE NEWSPAPER *SAKARTVELO*, ISSUE #84, 16 APRIL, 1916

"A representative meeting of cultural societies did not deem it necessary to have even a
single woman among its seven members and three candidates of the board.

"Georgian women have never failed to reveal if not higher at least equal capabilities with
men in any field, but the meeting of cultural societies does not prove to be cultural enough
to allocate a dignified place to a Georgian woman whom our ancestors appreciated much
more than our contemporaries. The 20th century men must be put to shame by recalling the
12th century men if contemporary Georgian men still have a feeling of shame.

"We do not ask anyone for favor, but let them bear in mind that we, Georgian women,
cannot put up with such arrogance of men who make us responsible for many tasks, but
do not give right for anything. The time of responsibilities without rights has long been left
in the past."



მარიამ გარიკული- თათიშვილი

MARIAM GARIKULI-
TATEISHVILI

1883-1960

მსახიობი, მწერალი
ACTRESS, WRITER

თეატრალურ მოღვაწეობას მარიამ გარიკული თბილისსა და ქუთაისში ეწეოდა. ფსევდონიმი გარიკული თეატრიდან წასვლის შემდეგ შეარჩია, როცა ლიტერატურულ საქმიანობას შეუდგა.

1912 წელს „საქართველოს მოამბეში“ მოთხრობა „სარდაფი“ გამოაქვეყნა. თანამშრომლობდა საბავშვო გამოცემებთან. მისი მეშუარული ნაწარმოები „განვლილი გზა“ მწერლის ცხოვრებას, ასევე სხვადასხვა ლიტერატურულ პორტრეტს ასახავს.

Mariam Garikuli conducted her activity as an actress in Tbilisi and Kutaisi. After leaving the theatre, she adopted the penname, Garikuli, when she undertook the literary activity.

In 1912, Mariam Garikuli published a short story “Cellar” in Sakartvelos Moambe. She cooperated with children’s editions. Her autobiographical work, “Passed Road” describes the life of the writer and also provides various literary portraits.

მარიამ გარიკული. „ქალებო, შიშვერთდეთი!“
გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ #1, 5 აპრილი, 1917

„მოგიწოდებთ ქალებო ქალთა საკითხის გარშემო, ვისაც დაჰკოდი გული თვისის უუფლებობით, არა მარტო პარლამენტის სკამზე დაუჯდომლობით! არამედ უფრო ახლოს გეტყვით: ვისაც დაჰკოდი გული თქვენივე ოჯახში, ქმარისაგან, მამისაგან, ძმისაგან. ვისაც თვის საკუთარ ნაწილ-გულევ ნაამაგარ ოჯახში არ ჰქონია თანასწორი ხმა, თავისუფალი კუნტული გადმოგელგარა ცრემლი, თვის საკუთარ, დედაკაცის უბედურებით სავსე ხვედრის ჭირ-ვარამზე, მოგიწოდებთ ყველას შეერთდეთ ქალთა სწორუფლებიანობის დროშას...

ვინ ამბობს მამაკაცებიდან გამოყოფას საერთო საზოგადო საქმეში? ამაზონების ხანა დიდი ხანია წავიდა და მას მხოლოდ ზღაპრად ვიგონებთ. მაგრამ ამ საერთო ინტერესებთან ერთად სანამ კანონისა და სამართლის წინაშე მათგან განსხვავებული ვართ ჩვენი კერძო ინტერესებიც განსხვავებულია მათი კერძო ინტერესებისაგან.

თვალს ნუ აგვიხვევს მათი სიტყვიერი დაპირებანი და ის გარემოება, რომ დღეს სახელმწიფოს საჭიროებისათვის ქალები ჩაგვაბეს რაღაც უმნიშვნელო საქმეში. მოვა დრო, როდესაც მათ ჩვენი დახმარება არ დასჭირდებათ, რომ ისევ დედაკაცების საქმეთ ერთად ერთი მზარეულობა აღიარონ.

გახსოვდეთ, რომ ისტორიული უკუღმართობის გავლენით დღევანდელი მამაკაცი იმდენათ ეგოისტია, რომ ის თავისი ნებით იშვიათათ თანასწორ ამხანაგათ ჩაგვთვლის, ქალებო გახსოვდეთ, რომ მარტო კუჭის საკითხი არა კმარა, საჭიროა სულიერი ცხოვრებაც, და უკანასკნელს კი ყველა ერთნაირად მოკლებული ვართ ბურჟუაც და თუ მუშა ქალებიც. აი ჩვენი საერთო საგანი! და დეე ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენის სურვილმა შეგვაერთოს ჩვენ განურჩევლათ კლასთა და მიმართულებისა“.

MARIAM GARIKULI. "WOMEN UNITE!"

THE NEWSPAPER *VOICE OF GEORGIAN WOMAN*, ISSUE #1; 5 APRIL, 1917

"I call on women, who are concerned about their rightless condition, to unite around the issue of women. I call on those who are concerned not only about the lack of women in the parliament but about their rightless state in their families because of their husbands, fathers, brothers. I call on those who lack equal voice in their families they have served with devotion; who do not have even their private corner to shed tears about their own miserable fate; I call on all of them to unite under the flag of women's equality.

"Who says that we must act separately from men in the common public cause? The epoch of the Amazons has long ended and they are only recalled in fairytales. But apart from these common interests, until we are not viewed as equal to the law and justice our private interests will remain different from their private interests too.

"Let's not be deceived by their oral promises and the fact that today we, women, have been involved in some insignificant activity for the state need. The time will come when they will no longer need our assistance and will again acknowledge the cooking in the kitchen as the women's activity.

"Keep in mind that shifts and changes of history made a contemporary man so egotistic that he will hardly recognize a woman as an equal comrade. Women, do not forget that being well fed is not sufficient, there is a spiritual life too which we all – be it a female worker or a female bourgeois – equally lack. This is our common cause! Let the desire to regain human personality unite us regardless of the class we belong to and the direction we favor."



ანეტა გიგიბედაშვილი-
კაპანაძე
ANETA GIGIBEDASHVILI-
KAPANADZE

1880-1945

პოეტი, საზოგადო მოღვაწე
POET, PUBLIC FIGURE

ანეტა გიგიბედაშვილი-კაპანაძე 1880 წელს, სოფელ ზემო ხადაკში, სოფლის მწერლის ოჯახში დაიბადა. სოფლის სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გორის პროგიმნაზიაში განაგრძო, თუმცა მძიმე ოჯახური პირობების გამო, მისი დასრულება ვერ შესძლო. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, იძულებული შეიქმნა, თექვსმეტი წლის ასაკში, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში პეტრე გრუზინსკის მოურავ იოსებ კაპანაძეზე გათხოვილიყო.

ანეტა კაპანაძე აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან („ნაკადული“, „თანამედროვე აზრი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ბრძოლა“, „კლდე“ და სხვ.). 1902 წელს მან ლექსების პირველი წიგნი გამოსცა.

მონაწილეობას იღებდა 1905 წლის რევოლუციაში.

მენშევიკურმა მთავრობამ იგი რამდენჯერმე დააპატიმრა.

იყო ქალთა უფლებების დამცველი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი. მისი ინიციატივით, სოფელ ახალქალაქში დაარსდა სკოლა და საბავშვო ბიბლიოთეკა, ასევე სახალხო თეატრი. იგი ხშირად წარმოდგენებში თავადაც მონაწილეობდა.

1911 წელს ანეტა კაპანაძე საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრად დაუსწრებლად აირჩიეს. აღნიშნული საზოგადოებისათვის ის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ნივთებს აგროვებდა. ასევე ფოლკლორისტულ საკითხებზეც მუშაობდა. ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს სოფელ-სოფელ აგროვებდა და შემდეგ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა.

1921 წელს იგი საქართველოს უპარტიო ქალთა პირველი ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

ანეტა კაპანაძისა. „როგორ სდევნიდნენ წინათ ქალს და როგორ სდევნიან დღესაც“. გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ #9, 8 ივნისი, 1917

„რუსეთის იმპერიაში ამ ცხრა-ათი წლის წინათ ქალი, ქალის ვექილათ რომ წარსდგა მსაჯულთა წინ, სასამართლო დაჭურეს, ქალს დამცველობის უფლება არა აქვს-ო; კავკასიაში ერთ პოეტის იუბილეზე განურჩევლათ ეროვნებისა გლეხების მიერ გამოგზავნილ ქალს მისივე ერის ინტელიგენტი კაცები უკრ-ძალავდნენ იუბილიართან მისვლას, ქალის საპატიო პირად ამორჩევა მამა კაცების შეურაცყოფათ მიიღეს. რკინის გზებზე უარყოფდნენ ქალების სამსახურს, ქალს ცუდლუტობა არშიყობის მეტი რა ძალუძსო...

რასაკვირველია ეს გონიერების დამამხობელი სიბეცე წარსულ ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ დღესაც ნაკლებ სულის კვეთებას არ განიცდის ქალი, როდესაც ცხოვრების ღერძის ბრუნვა ძირ-ფესვიანათ გადატ-რიალდა; დამონავებული ძლიერს ამოუყენა მხარში, გლეხი თავადს გაუთანასწორა...

აი რა ფრიად მწუხარებით აღსანიშნავია მასთან განსაცვიფრებელი, რომ ახალმა სიოს ძალუმმა ქროლ-ვამ ჯერ ვერ წარიტაცა მამაკაცის ძარღვებში გამჭდარი დედაკაცისადმი მონობის შთაბეჭდილება. მაგრამ დრო გაივლის, გონზე მოსული მამაკაცი ქალის პიროვნების წინ მოიხრის ქედს.

მაშინ ახალი ადამიანი, ახალ ცხოვრებას, ახალ მრავალუამიერს უგალობებს და ჟამსა დასასრულ სიცოცხ-ლისას, ნეტარების ღიმით განისვენებს ახალ სამარის ნათლოვან ჯურღმულთა შინა“.

Aneta Gigibedashvili – Kapanadze was born into a family of a village writer in the Zemo Khandaki village in 1880. After graduating from a village school she continued her studies at the gymnasium in Gori though due to grave conditions in the family, she was unable to finish it. After the death of her parents, Aneta Gigibedashvili, at the age of 16, had no other option but to marry Ioseb Kapanadze, an administrative officer of Petre Gruzinski in the village of Akhalkalaki, Kaspi district.

Aneta Kapanadze actively cooperated with various newspapers and magazines (Nakaduli, Tanamedrove Azri, Temi, Teatri da Tskhovreba, Brdzola, Klde, et cetera). In 1902, she published her first book of poetry works.

Aneta Gigibedashvili – Kapanadze participated in the revolution of 1905.

The Menshevik government arrested her several times.

Aneta Gigibedashvili – Kapanadze was a defender of women's rights, an active member of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians. On her initiative, a school and a children's library, also, a theater were established in the village of Akhalkalaki. She often participated herself in performances.

In 1911, Aneta Kapanadze was elected an honorary member of Georgia's historical and ethnographic society. She collected historic and ethnographic items for this society and also worked on the issues of folklore. She collected works of folklore to further publish them in newspapers and magazines.

In 1921, Aneta Kapanadze was elected as a delegate of the first forum of non-party women.

ANETA KAPANADZE. "HOW EARLIER WOMEN WERE PERSECUTED AND ARE STILL PERSECUTED TODAY".
THE NEWSPAPER *THE VOICE OF GEORGIAN WOMEN*,
ISSUE #9, 8 JUNE, 1917

"Some nine or ten years ago, when a female defense lawyer appeared before the jury in a court of the Russian Empire, the court was closed on the premise that a female had no right to defend. In the Caucasus, on the jubilee of one poet, a woman, who was sent by peasants of various ethnicities to that event, was prohibited to approach the poet by the male intelligentsia of the ethnicity similar to that of the woman, because men viewed as offending the selection of a woman as a delegate. Railways denied women employment, saying women were good for nothing but flirting and coquetry.

"Of course, this destructive short-sightedness belongs to the past, but today when the axis of life has radically changed, a suppressed person was put next to a powerful, a peasant became equal to a noble, women feel the same zeal.

"It is very unfortunate that a new strong wind has yet failed to blow away the impression about women's slavish nature, something which is deeply rooted in men. But the time will pass and men having come to their senses will bow their heads in front of women.

"Then a new person will welcome the new life, sing a new song of longevity and at the end of his life will rest in peace in the new grave with a beatific smile on his faces."

ოლღა გურამიშვილი- ჭავჭავაძე

OLGA GURAMISHVILI-
CHAVCHAVADZE

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

1842-1927



ილია ჭავჭავაძის მეუღლე, ოლღა გურამიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩაბმული: გაწევრიანებული იყო ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, 1895-1906 წლებში თავმჯდომარეობდა ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას, ხელმძღვანელობდა ქართველ ქალთა ჭრა – კერვის სკოლას, დახმარებას უწევდა ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას. 1908 წელს მისი აქტიური მონაწილეობით, საგურამოს ილიასეულ სახლში სკოლა გაიხსნა.

მან თხოვნით მიმართა მთავრობას, სიკვდილით არ დაესაჯათ მისი მეუღლის მკვლელები, რადგან თავად ილია ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო.

Olga Guramishvili, the wife of Ilia Chavchavadze, was engaged in public activity: she was a member of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians and of Historical and Ethnographic Society of Georgia; from 1895 to 1906 was a chair of Georgian Women's Charity Association; led a school of sewing for Georgian women; assisted the association of nobility of Tbilisi governorate helping poor students. In 1908, with her active participation, a school was opened in Ilia Chavchavadze's estate in Saguramo.

Olga Guramishvili appealed to the government not to execute the murderers of her husband because Ilia Chavchavadze was himself against death penalty.



მარიამ დადიანი-
ანჩაბაძე

MARIAM DADIANI-
ANCHABADZE

1870-1959

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

მარიამ დადიანი 1870 წლის 18 დეკემბერს, სოფელ სვირში დაიბადა. დედის ადრე გარდაცვალების გამო, მარიამის და მისი ძმის – შალვა დადიანის აღზრდით მამა – ნიკო დადიანი იყო დაკავებული, რომელმაც შვილებს საშუალო განათლება ოჯახშივე მისცა.

მარიამი ცნობილ აფხაზ საზოგადო მოღვაწე თარაშ (ტარას) ანჩაბაძეზე დაქორწინდა. იგი აქტიურად ჩაერთო სოხუმის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. მარიამ ანჩაბაძის ინიციატივით, 1903 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილება ჩამოყალიბდა, რომლის გამგეობასაც წლების მანძილზე იგი უცვლელად თავმჯდომარეობდა. საზოგადოებამ 1910 წელს სოხუმში ქართული სკოლა დაარსა. სწორედ მარიამ ანჩაბაძის დაუღალავი მცდელობის და შრომის შედეგია, რომ მან 1900 წლიდან რუსებს სამოქალაქო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება შემოაღებინა.

მარიამის ხელშეწყობით, სოხუმში ადგილობრივი ძალებით წარმოდგენები და საღამოები იმართებოდა, ხოლო თბილისისა და ქუთაისის სათეატრო დასებთან თანამშრომლობით, პერიოდულად ქართული სპექტაკლები იდგმებოდა. ღონისძიებებიდან შემოსული თანხა საზოგადოებრივ აქტივობებს ხმარდებოდა.

Mariam Dadiani was born in the village of Sviri on 18 December 1870. Because of early death of her mother, Mariam and her brother, Shalva Dadiani, were brought up by their father Niko Dadiani who gave secondary education to his children at home.

Mariam Dadiani married a renowned Abkhaz public figure, Tarash (Taras) Anchabadze. She actively engaged in cultural and educational activity of Sokhumi. Upon the initiative of Mariam Anchabadze, a unit of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians was established in Sokhumi in 1903. She chaired the board of this unit for years. The Society founded a Georgian school in Sokhumi in 1910. Owing to Mariam Anchabadze's tireless efforts and work, Russians introduced the teaching of Georgian language in civic educational institutions since 1900.

With the assistance of Mariam Anchabadze, performances were organized in Sokhumi whilst in cooperation with the theatre companies of Tbilisi and Kutaisi, Georgian plays were periodically staged. Revenue was used for charity activities.

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ #27,
19 თებერვალი, 1917

სიძველე თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ
მ. თბილისში საკათალიკოსო კრებაზე
15 სექტემბერს, 1917

„უზენაესის განგებისგან ჩვენს სარწმუნოებაში
უდიდესი დანიშნულება აქვს ქალს.

ღვთის მშობელი ქალი იყო. ხოლო, როდესაც
პატარა იყო ეს ქალი, მისმა მშობლებმა ტაძრად
მიიყვანეს და იქ კი ეს პატარა მარიამი მღვდელ-
მთავარმა შეიყვანა წმინდათა-წმინდაში, სადაც
გარდა სასულიერო პირებისა იმ დროში თვით
მამა კაცსაც აღკრძალული ჰქონდათ შესვლა.

...დღეს კი თვით ეხლანდელი რევოლუციაც, რომ
არ მომხდარიყო და სხვათა შორის მას ქალთა
გათანასწოების ლოზუნგიც არ გამოეტანა, სჯუ-
ლი ქრისტესი გვაწავლიდა ამას. ამისათვის ქა-
ლები უსათუოდ მოვითხოვთ სარწმუნოების საქ-
მეში, სასულიერო უწყებაში სათანადო ადგილის
დატერას და მე პირადად როგორც სოხუმელ
ქართველ ქალთა საზოგადოების თავმჯდომე-
რე უსათუოდ ვიცავ გათანასწოების პრინციპს
და მოვითხოვ, რომ სასულიერო უწყებაში ქა-
ლებს მიენიჭოს არამც თუ მარტო მედავითნეობა
არამედ მიეცეთ უფლება ეკლესიაში ქადაგე-
ბისა და საზოგადოთ სამისიონერო მოვალეობათ
აღსრულებისა, მხოლოდ, როგორც მორწმუნე
ქალს ტრადიციით შეუძლებლად მიმაჩნია ქალი
ეკურთხოს მღვდლად, ან ხელდასხმული იქმნეს
მღვდელმთავრად და საზოგადოთ აღსრულოს
ღვთის მსახურება, რადგან დღევანდელი ჩვენი
რწმენის მიხედვით მღვდელი და მღვდელმთა-
ვარი არიან ქრისტესა და მოციქულების მაგიერ-
ნი და მამაკაცთ უფრო შეჭვერით მათი მოადგი-
ლეობა“.

SPEECH MADE BY MARIAM ANCHABADZE AT
THE CHURCH ASSEMBLY IN TBILISI ON
15 SEPTEMBER, 1917

THE NEWSPAPER *VOICE OF GEORGIAN WOMAN*;
ISSUE #27, 19 OCTOBER, 1917

“By the will of almighty women have great mission
in our religion....

“A woman gave birth to the god. When this woman
was very young, her parents took her to a temple and
a bishop took this young Mary into that holy place
where, except religious servants, even men were
prohibited to enter....

“Even if the current revolution has not happened and
has not brought, among other things, the slogan of
equality of women, the belief of Christ teaches this
equality. To this end, we, women, necessarily de-
mand that we be given an adequate place in the re-
ligious affairs, in the spiritual entity; I personally, as
a chair of association of Georgian women of Sokhu-
mi, defend the principle of equality and demand that
women be allowed not only as psalm readers but
also be granted the right to preach in churches and
in general, perform missionary responsibilities. The
only thing which I, as a religious woman by tradition,
deem impossible is women being ordained as priests
or consecrated as bishops and in general, performing
religious services because according to our current
belief, priests and bishops are replacements of Christ
and apostles and it is more suitable for men to be
these replacements.”



სალომე დადიანი-მიურატი SALOME DADIANI-MURAT

1848-1913

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილი სალომე ზუგდიდში დაიბადა. რუსეთის იმპერიის მიერ სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, 1875 წელს სალომეს დედა, ეკატერინე, რომელიც ოთხი წლის მანძილზე მართავდა სამთავროს, ოჯახთან ერთად ჯერ სანკტ-პეტერბურგში, შემდეგ კი საცხოვრებლად საფრანგეთსა და გერმანიაში გადავიდა.

1868 წელს სალომე პარიზში შარლ ლუი ნაპოლეონ აშილ მიურატზე დაქორწინდა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ-ჯერსიში იყო დაბადებული. საქორწინო ცერემონიალს, რომელიც ტიუილრის სასახლის ეკლესიაში გაიმართა, საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III და დედოფალი ეჟენი დე მონტიჟო ესწრებოდნენ.

1870 წელს აშილი და სალომე სამეგრელოში დაბრუნდნენ და ზუგდიდში, დადიანების საცხოვრებელი კომპლექსის ერთ-ერთ ლამაზ ხის სასახლეში დასახლდნენ. აშილმა სოფლის მეურნეობას, კერძოდ სამეგრელოში ვაზის ფრანგული ჯიშების შემოტანას და ადგილობრივი ოჯალეშის კულტივირებას მიჰყო ხელი. სალომე საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1913 წელს სალომე პარიზში გადასახლდა, სადაც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

A daughter of Davit Dadiani and Ekaterine Chavchavadze, Salome Dadiani was born in Zugdidi. After the abolition of principality of Samegrelo, in 1875, Salome's mother Ekaterine, who had been ruling the principality for four years, left it with her family to reside first in St. Petersburg and then in France and Germany.

In 1868, in Paris, Salome married Prince Charles Louis Napoléon Achille Murat who was born in New Jersey in the United States. A wedding ceremony, which was held at the church in Tuilleries Palace, was attended by French Emperor Napoleon III and his Queen Eugenie de Montijo.

In 1870, Achille and Salome returned to Samegrelo and settled in a beautiful wooden palace on the grounds of the Dadiani's residences complex in Zugdidi. Achille got engaged in agricultural activity, namely introduced several types of imported French wine grapes to Samegrelo and began the systematic cultivation of local ojaleshi grape. Salome conducted charity activities.

After the death of her husband, Salome moved to Paris, where she died after a long illness in 1913.

გაზეთი „დროება“ #7, 11 იანვარი, 1884

„ზუგდიდანა გვწერენ: როგორც „დროებაში“ იყო ნათქვამი, აქაურმა მთავრის ასულმა სალომემ აღუთქვა ზუგდიდს საქალებო სკოლის გახსნა, შესწირა სახლის ასაშენებელი ფული და ყოველ წლობით ორას-ორასი მანეთი ოცი გლეხ-კაცის ქალის უფასოდ გასაზრდელად; ეს სკოლა ჯერ კიდევ არ არის გამართული, თუმცა ყოველისფერი მზაა და მთავრის ასულმა დროებით სახლიც დააქირავებინა აშენებამდის. ეხლა კი იმედი გვეძლევა, რომ ზოგიერთა პირთა დახმარებით სკოლა ამ ერთ თვეში გაიხსნება. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რომ მეგრელებში სწავლის სურვილი ძალიან არის გავრცელებული“.

THE NEWSPAPER *DROEBA*, ISSUE #7, 11 JANUARY, 1884

“We were informed from Zugdidi that as *Droebe* wrote, the countess Salome promised to open a school for women in Zugdidi; she contributed money for the construction of the building and paid 200 rubles annually. This school, intended for educating 20 daughters of peasants for free, has not started operation yet, but everything is ready and the countess even temporarily rented a house until the building is built. Now, we are given hope that with the help of several persons, the school will open within a month's time. This piece of news is even more pleasant considering that the desire to obtain education is very much spread among Mengrelians.”



ბარბარე ერისთავი- ჯორჯაძე

BARBARE ERISTAVI- JORJADZE

1833-1895

მწერალი
WRITER

ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.
გაზეთი „კვალი“ #17, 16 აპრილი, 1895

„ბარბარე ჯორჯაძისა იყო შინაურათ ოჯახში აღზრდილი, მაგრამ მისი მსჯელობა გააკვირვებდა ბევრს. მაშინდელ ევროპულ სწავლით შეჭურვილს პირებს. ამ ორი წლის წინათ მე მომივიდა მისგან კერძო წერილი საზოგადო ქართველი ქალების აღზრდაზე და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს დაწერილია შინაურათ აღზრდილი მოხუცი ქალისა.“

AN. TUMANISHVILI-TSERETELI.
THE NEWSPAPER *KVALI*, ISSUE #17,
16 APRIL, 1895

“Even though countess Barbare Jorjadze obtained education in her family, her reasoning would surprise many contemporary persons with European education. Before her death, Barbare Jorjadze sent me a letter concerning the upbringing of Georgian women in general and it was hard to believe that this letter was written by an old lady who got education at home alone.”

ბარბარე ერისთავი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ქალთა მდგომარეობასა და მათ უფლებებზე ალაპარაკდა. ქალთა თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია 1893 წელს „კვალი“ გამოქვეყნებული მისი წერილი „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“.

ლიტერატურული მოღვაწეობა ბარბარე ჯორჯაძემ 1858 წლიდან ჟურნალ „ცისკარში“ ლექსების გამოქვეყნებით დაიწყო და საზოგადოებრივი კრიტიკის მიუხედავად, აქტიური სამწერლო მოღვაწეობა განაგრძო. თანამშრომლობდა „ივერიასთან“, „კვალთან“, „დროებასთან“ და „ჯეჯილთან“. 1861 წელს ქართული ენის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით წამოჭრილი პოლემიკისას, ილია ჭავჭავაძესთან დისკუსიაში ჩაერთო.

ბარბარე ჯორჯაძის პიესა „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ წლების განმავლობაში სხვადასხვა სცენაზე იდგმებოდა, ხოლო მისი „სრული სამზარეულო“, რომელიც 1874 წელს ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა და ქართული და ევროპული კულინარიის რეცეპტებს მოიცავს, დღესაც აქტუალურია.

Barbare Eristavi-Jorjadze was one of those pioneers who started to speak about the conditions and rights of women. Her letter worth noting with regard to the issue of women's equality, titled “Coupe of Words for the Attention of Young Men,” was published in *the Kvali* in 1893.

Barbare Jorjadze started her literary activity in 1858, by publishing her poems in the *Tsiskari* magazine. Despite public criticism of her works, she continued her literary activity. Barbare Jorjadze cooperated with editions *Iveria*, *Kvali*, *Droeba* and *Jejili*. In 1861, when the issue of modernization of the Georgian language became a subject of hot discussions, she engaged in debates with Ilia Chavchavadze.

Barbare Jorjadze's play, “What I looked for and What I found,” was performed on various stages during many years. Her book, “Complete Cuisine,” which was printed in Ekvtimé Kheladze's printing house in 1874 and comprised of Georgian and European culinary recipes, is popular to date.

ბარბარე ჯორჯაძისა. „ორიოდე სიძვევა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ“,
გაზეთი „კვალი“ #16, 18 აპრილი, 1893

„პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის. ყოველი ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდნენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ...

ამოდენი საუკუნოების განმავლობაში ამ გვარად მომდინარეობდა ქალების ვითარება და ყურადღება არავისა ჰქონდა მიქცეული, მხოლოდ კაცთა გამოხსნისათვის განხორციელებულმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ბრძანა: „არა არს გარჩევა არცა მამა-კაცთა და არცა დედა-კაცთაო“. მაგრამ რა წრესაც კი პირველად დაადგა კაცი, იმ წრის გადაცილება სჯულის გარდამავლობად მიაჩნდა. საბრალო ქალებს იმ დაჩაგრვით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედა ენაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა და საქმიანობა, ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არ ქალი, როდესაც კაცები მამულის დასაცველად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი?..

დღეს კი სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი დრო განათლებისა და აყვავებისა; ახლა მაინც ჩვენმა კაცებმაც დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდევ კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედა-კაცებს სამარის მეტი ვეღარა გაგვასწორებს-რა და ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან თუ კი საქმეს უშველიან რასმე.“

BARBARE JORJADZE. "COUPE OF WORDS FOR THE ATTENTION OF YOUNG MEN",
THE NEWSPAPER KVALI, ISSUE #16, 18 APRIL, 1893

"From the very first man, every male was and is engaged in criticizing women; they attributed every vice to women and spared no efforts to offend and humiliate them.

"This was how it went on for many centuries and no one paid attention to the conditions of women save our Lord Jesus Christ who materialized only for the aim to save the mankind and who said: "there is neither male nor female." But alas! Having chosen a path once, the men believed that deviating from it was against their belief.

"But that oppression of poor women still failed to dull their talent or the ability to reason: although lacking education, they still could clearly formulate their opinions, discuss matters in their native language and conduct activities. Who else but women were engaged in promoting education and spreading literacy when men were relying on weapons to defend their homeland?

"Today, the new times of education and revival have already arrived from other countries to Georgia too. It is high time for men to reject their arrogance and jealousy, to provide their sisters with equal learning opportunities and show directions in order to enable younger, modern women to act and be accountable for their acts, because we, older women, are hopeless in this regard. And women of the new generation will not fear any activity or job and will make their contributions to any cause."



ეკატერინე თარხნიშვილი- გაბაშვილი

EKATERINE
TARKHNISHVILI-
GABASHVILI

1851-1938

მწერალი, საზოგადო მოღვაწე
WRITER, PUBLIC FIGURE

ეკატერინე გაბაშვილი ქ. გორში 1851 წ. 28 ივნისს დაიბადა. მამა, რევაზ თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) სასამართლოს მდივანი, შემდეგში ვექილი იყო. იგი ლიბერალურ თავადაზნაურობას მიეკუთვნებოდა.

1859 წელს ეკატერინე თბილისში ჯერ გერმანულ სკოლაში მიაბარეს, შემდეგ მადამ ფავრის ცნობილ პანსიონში გადაიყვანეს. 1868 წელს ეკ. გაბაშვილი დაბრუნდა გორში, სადაც პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას. აქვე დაწერა მოთხრობა „სოფლის მასწავლებელი“.

ალექსანდრე გაბაშვილზე დაქორწინების შემდეგ თბილისში გადავიდა და აქტიურ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას შეუდგა. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, ხელმძღვანელობდა ქალთა პროფესიულ სკოლას. სოციალურად შეჭირვებულ გოგონებს პროფესიულ მომზადებასთან ერთად ზოგადი განათლების მიღების მხრივაც ეხმარებოდა.

იყო ტფილისის ქალთა საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან ერთად ჟურნალ „ჯეჯილის“ დამაარსებელი და აქტიური თანამშრომელი.

Ekaterine Gabashvili was born in Gori on 28 June 1851. Her father, Revaz Tarkhnishvili, (Tarkhan-Mouravi) was a court secretary and then a defense lawyer. He belonged to the liberal nobility.

In 1859, Ekaterine Gabashvili was taken first to German school in Tbilisi and then to a famous Madam Favre's boarding school. In 1868, Ekaterine Gabashvili returned to Gori and conducted a pedagogical activity. She taught reading and writing to poor children for free. In Gori she wrote her short story "A Village Teacher."

After marrying Aleksandre Gabashvili she moved to Tbilisi and engaged in active literary and public activity. She was a board member of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians; led a vocational educational institution for women; assisted poor female students in obtaining general education along with professional training.

Ekaterine Gabashvili was a founding member of the women's society of Tbilisi; a co-founder of Jejili magazine along with Anastasia Tumanishvili-Tsereteli and an active employee of the magazine.

„ყოველს ერს, ყოველ განათლებულ ხალხს, ხალხს ბედნიერსა და თავისუფალს, ჰყავს მთელი რაზმები ქველ-მოქმედთა ქალთა, რომელნიც ხელს უპყრობენ დაუძღურებულებს, გზა-დაბნეულებს გზას უჩვენებენ, უვიცს ცოდნას ასწავებენ, ბრმათ თვალთ უხელენ და, თუ არ სავსებით, შეძლებისა დავგარად მაინც ასრულებენ უდიდესის ქველ-მოქმედის – ქრისტეს მცნებას: „მშიერ ვიყავ და გამაძღე, მწყუროდა და მას-ვით, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ, სნეული ვიყავ და მომხედეთ“ და სხვა...

ერთ მუჭა გერმანელთ, თავიანთ ქველ-მოქმედთა ქალთა მეოხებით, ტფილისში აქვთ თავშესაფარი მოხუცთა დედაკაცთა და კაცთათვის, აქვთ სამუშაო სახლი, სადაც გაჭირვებულს აძლევენ სამუშაოს, აქვთ რამდენიმე სკოლა, აქვთ ტანისამოსების საწყობები ზამთარში ტიტველთა შესამოსად, საპყართა სამკურნალო! ამგვარივე დაწესებულება მოეპოვებათ ებრაელთ, ფრანგებს, სომხებს...

ჩვენ, ჩვენ რაღა გვაბადია? ნუ თუ ყოველგან და ყოველთვის სხვის ბოგანოები უნდა ვიყვნეთ, სხვას ხელში უნდა შევყურებდეთ?..

ნუღარას ვიტყვით იმ საცოდავ, განათლებას მოკლებულ ყმაწვილ ქალიშვილებისას, რომელნიც ასობითა და ორასობით დაეძებენ რაიმე საქმეს და ვერც გზა გაუგიათ და ვერც კვალი ამ უდაბურ ქალაქში და ბევრჯერ სასოება-წარკვეთილნი, რომ პატიოსანის შრომით ლუკმა იშოვონ, ქირავდებიან, ისყიდებიან...

ჩვენის დიდ-კაცობისა და შემძლე საზოგადოების წარმომადგენელნი მანდილოსანნი მთელს თავისს დროს, მთელს თავისს მახვილ-გონიერებას, მთელს თავისს აუარებელს შეძლებას ცუდლუტობასა, პრანჭვა-გრეხვასა, ბანქოს თამაშსა, გრძნობათა ლელვას ანდომებენ და ამ ცარიელის, უსაგნო და უნა-ყოფო ცხოვრებით არავის, თვით თავიანთ თავსაც და გულსაც, არავითარს კმაყოფილებას არ აძლევენ.

ის არა სჯობიან, სხვა ხალხების წარჩინებულ მანდილოსნებს მიჰბაძონ და ერთი მეასედი თავისი შემოსავლისა შესწირონ საქველ-მოქმედო საქმეს, ერთი მეასედი დრო მოახმარონ მაშვრალთ, ამათის წყლულის დაამებას! განა გაძღომა მშიერისა, გამოზრდა ობლისა, გზის ჩვენება გზა-დაბნეულისა, ხელ-აპყრობა საპყარისა საუკეთესო საზრდო არ იქნება დაცარიელებულის გულისა, იმ გამოფიტულის სულისა, რომელსაც უეჭველია ჰგრძნობს ყოველ ჩვენის უსაქმურის და უშინაარსო, უდედა-აზრო მანდილოსნებისა.

- 1) ჩვენთვის საჭიროა მოსწავლეთა დამხმარებელ ქალთა საზოგადოება სათავად-აზნაურო სკოლასთან.
- 2) საჭიროა დამხმარებელ ქალთა საზოგადოება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის“.
- 3) საჭიროა ქალთა სამუშაო სახელოსნოსთვის.
- 4) დრამატიული საზოგადოებისთვის და კიდევ ბევრ სხვა საქმისათვის...

დროა ხელი ხელს მივცეთ, დროა ხმა ხმას მივაწოდოთ და საერთო ძალით გავაკეთოთ რამე, გამოვფიხილდეთ, იდეალი დავსახოთ მისდა მისაღწევად კრებული შეგადგინოთ, მხოლოდ იდეალით აღჭურვილ ხალხს აქვს გონება გაბრწყინვალეებული, სული განფაქიზებული, გული გაღმობიერებული.

მაშ ხელი, ქალნო! ჩავებნეთ საერთო ფერხულში, სავალდებულოდ გავხადოთ წელიწადში რამდენიმე დღე, მხოლოდ რამდენიმე დღე საზოგადო სამსახურს დავუთმოთ, კარგსა და ავს ვუჭირისუფლოთ, ნელა, ნელა, თითო ნაბიჯით, მაგრამ მუდგრადა და შეუფერხებლად ვებრძლოთ გარემოებას და... ხვედრი, ჩვენი სვე ჩვენვე გავიტანოთ“.

EKATERINE GABASHVILI. "TO OUR WOMEN".
THE NEWSPAPER *IVERIA*, ISSUE #100; 15 MAY, 1898

"Each nation, each educated, happy and free people have armies of women engaged in charity activities, who assist the feeble, point the path to disoriented, provide knowledge to ignorant, open eyes to blind and if not completely, at least, as much as possible perform the teaching of the greatest philanthropist – Christ: I was hungry and you fed me, I was thirsty and you gave me drink, I was alien and you gave me shelter, I was naked and you dressed me, I was ill and you cured me, et cetera.

"A bunch of Germans, owing to the charity of their women, operate a house for elderly in Tbilisi. They also operate a working house to provide jobs to indigent; have several schools; storages of clothes to provide the poor in cold winter; a treating facility for diseased poor! Such entities are also operated by Jews, French, Armenians.

"What about us? What do we own? Should we always be beggars of others everywhere, pin hopes on others' assistance?

"Let alone those poor young females who lacking education, seek jobs in great amounts and feel themselves disoriented in this ambiguous city, and often feeling despair in searching the living through honest labor, get to be hired, sold.

"Female representatives of our nobility and affluent society spent all their time, all their wits and their entire capabilities on coquetry, entertainment, playing cards, and this empty, vain and unproductive life of theirs is no satisfaction to anyone, even to their own minds and hearts.

"Is it not better for them follow the example of noble women of other nations and to contribute one hundredth of their income to charity, spend one hundredth of their time on the care for the poor! Will feeding hungry, rearing an orphan, pointing the way to disoriented, taking care of the feeble not be the nourishment for their empty hearts, their hollow souls of which these our idle, reasonless and mindless woman are definitely aware.

- 1) We need a women's association at the school for nobility to assist the students.
- 2) We need to establish a women's association at the Society for the Spreading of Literacy Among Georgians.
- 3) There is a need for female jobs at workshops.
- 4) There is a need of a drama society and many other jobs.

"It is high time to speak out and do something in joint effort in order to awaken, to identify the ideal and set a society to pursue this ideal. Only those people who are equipped with ideal have enlightened minds, delicate souls and generous hearts.

"So, women! Let us engage in the striving for a common cause; make obligatory to spend just several days a year on performing public service, taking care of good and bad, gradually, step by step but resolutely and steadily fight against poverty and shape our destiny ourselves."

ანასტასია თუმანიშვილი- წერეთელი

ANASTASIA
TUMANISHVILI-
TSERETELI

მწერალი, საზოგადო მოღვაწე
WRITER, PUBLIC FIGURE

1849-1932

ევროპულ განათლების სისტემას შვეიცარიასა და საფრანგეთში გაეცნო. თარგმნა არაერთი პუბლიკაცია, რომელიც ბავშვთა აღზრდის, პედაგოგიკისა და ბიბლიოთეკების საკითხებს უკავშირდებოდა.

1872 წელს მისი თაოსნობით დაარსდა ქალთა წრე, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანას და ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა.

1884 წელს მისი ხელშეწყობით, სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისთვის სოფელ ხელთუბანში სკოლა გაიხსნა, 1886 წელს კი დაარსა „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“. საზოგადოებამ მოხუც პედაგოგ ქალთათვის თავშესაფარი და ქალთა დაწყებითი სასწავლებელი ააშენა. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი.

1890 წელს მისი თაოსნობით, დაარსდა და მისი რედაქტორობით საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოდიოდა. 1893-1904 წლებში მეუღლესთან, გიორგი წერეთელთან ერთად გაზეთ „კვალის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო. 1908 წელს დააფუძნა საზოგადოება „განათლება“, რომლის სკოლამ პირველად ქართულ ენაზე სწავლების სისტემაზე სრულად გადასვლა შეძლო.



Anastasia Tumanishvili-Tsereteli got acquainted with the European system of education in Switzerland and France; translated a number of publications concerning issues of child upbringing, pedagogic and library sciences.

In 1872, she spearheaded a women's circle which pursued the aim of promoting women on the public arena and was engaged in translating activity.

In 1884, with the assistance of Anastasia Tumanishvili-Tsereteli, a school was opened for socially vulnerable families in the village of Kheltubani. In 1886, she founded a Society of Women Teachers. The Society built a shelter for elderly female teachers and a primary educational institution for women. She was an active member of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians.

In 1890, under the leadership of Anastasia Tumanishvili-Tsereteli, a children's magazine, *Jejili*, was founded and she was the editor-in-chief of this magazine. In 1891, together with her husband, famous Georgian writer, Giorgi Tsereteli she edited and published the newspaper *Kvali* over the period between 1893 and 1904.

In 1908, Anastasia Tumanishvili-Tsereteli founded the association Ganatleba (Education). A school of this association was the first one which succeeded to fully switch to the education system in the Georgian language.

ანასტასია თუმანიშვილი.

„ნ.-პ. გამაგრც. საზ. საგანგებო კრების შესახებ“.

გაზეთი „დროება“ #7, 10 იანვარი, 1909

„...ყველამ კარგად ვიცით, რომ სკოლების დაარსება ჩვენში ძალიან ძნელია და წერა-კითხვის გავრცელება უფრო სახალხო წიგნების მიწოდებით შეიძლება. ამისათვის უსათუოდ საჭიროა, ჩვენის აზრით, იყოს ცალკე სექცია და თვით ამ სექციას უნდა ჰქონდეს სამი მიზანი: 1. პოპულარულ წიგნების არჩევა და მომზადება; 2. ჩვენი ლიტერატურის გაცნობა სახალხოდ და 3. მსოფლიო ლიტერატურის გადაცემა. ამ სექციას, სრული უფლება უნდა ჰქონდეთ მოითხოვონ, რომ მის მიერ შემუშავებული და არჩეული მასალა არ დააბრკოლოს გამოსაცემად არც გამგეობამ უფულობით და არც ადმინისტრაციამ გამოუცემლობით... სექციებს ამ მხრით სრული უფლება უნდა ჰქონდეთ — თვით მასწავლებლის წარდგენისა — გამგეობამ მხოლოდ უნდა დაამტკიცოს. კარგი იქნება თუ სასკოლო სექცია ყურადღებას მიაქცევს მოძრავ-სკოლებსაც“.

ANASTASIA TUMANISHILI-TSERETELI. “ABOUT THE SPECIAL MEETING OF THE SOCIETY FOR SPREADING OF LITERACY...”
THE NEWSPAPER *DROEBA* #7, 10 JANUARY, 1909

“We all know perfectly well that it is very difficult to found schools here and the literacy may be spread through the delivery of popular books. To this end, we think, it is necessary to have a separate section and this very section must have three aims: 1. the selection and production of popular books; 2. the promotion of our literature; and 3. the spread of world literature. This section must be fully authorized to demand that the publication of the material, which it draws up and selects, not be impeded either by the board because of lack of money or by the administration because of refusing to print it... In this regard, the sections must be fully authorized to present teachers whilst the board must only approve them. It would be good if the school section pays attention to mobile schools too.”

3. თბილისი [ვარლამ ბურჯანაძე]. გაზეთი „ამირანი“ #121, 30 ივლისი, 1908

„თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხსენებული ჟურნალი დაარსდა რუსეთში და კერძოდ საქართველოში გამეფებულ საშინელ რეაქციის ხანებში, როდესაც გამარუსებელი პოლიტიკა გულს უღრღნიდა სკოლას და სწავლა-აღზრდის დიად საქმეს აცლიდა უმთავრეს საფუძველს – სამშობლო ენას, ჟურ. „ჯეჯილის“ დამაარსებელ ხელმძღვანელს დიდ გმირობად უნდა ჩაეთვალოს სწორედ ასეთ საშინელ პირობებში სახალხო განათლების ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოსვლა და სამშობლო ენაზე საბავშვო ჟურნალის გამოცემის საშუალებით ბნელ რეაქციასთან და გამარუსებელ პოლიტიკასთან ბრძოლა; მით უმეტეს, რომ ამ დიდ საქმეს ჟურნალის ხელმძღვანელი, დამაარსებელი და რედაქტორი ანასტასია წერეთლისა ემსახურება სრული 30 წელიწადი...“

V. OBCELI [VARLAM BURJANADZE]. THE NEWSPAPER AMIRANI #38, 13 OCTOBER, 1909

“Bearing in mind that the mentioned magazine [Jejili] was established at the times when terrible reaction dominated Russia and in particular, Georgia, when the politics of Russification was gnawing the heart of school and undermining the main pillar of the generous task of education – the native language, the stepping onto the public arena and the fight against the dark reaction and the Russification politics through founding and heading the *Jejili* magazine must be viewed as a great heroic act; especially, taking into account that Anastasia Tumanishili-Tsereteli, the head, founder and editor of the magazine, as served this great cause for 30 years now.”

ანასტასია წერეთლისა. „ჩემი გულის ამონაჰვეწმისი“. გაზეთი „საქართველო“ #126, 20 ოქტომბერი, 1920

„კულტურულ მუშაობას, სადაც ქალებს უპირატესობა მიენიჭება, სამზღვარ გარეთ როგორც სოციალისტებთან შორის, ისე სხვა მმართველობა დიდად აფასებს. ჩვენში კი სასაცილო გახდა. მაგრამ ვერ გამიგია ნუთუ საქართველოს არა ჰყავს ისეთი ქალები, რომელნიც თავიანთი კალმით, თავიანთი მწერლობით ებრძოდნენ მონობას და ცდილობდნენ საქართველოს ბედნიერებაზე. ზოგი მათგანი გაზეთ-ჟურნალებში თავგანწირვით ემსახურებოდნენ, რომ ჩაენერგათ მომავალ თაობისთვის ბორკილის დამსხვრევა...“

უნდა გახსოვდეთ, რომ არა სოციალისტ ქალებსაც ნაკლები ღვაწლი არ მიუძღვით საქართველოს წინაშე, რომ მათაც თავისუფლების საძირკველში ჩადებული აქვთ აგური, რომლის მნიშვნელობას დღევანდელი მმართველნიც ვერ ჰყოფენ“...

ANASTASIA TSERETELI. NEWSPAPER SAKARTVELO #126, 20 OCTOBER, 1920

“A cultural activity in which women are given preference is very much appreciated abroad among both socialist and other administrations. Here, however, it has become a matter of ridicule. I cannot understand, had Georgia not have such women who with their pen, their writings, have fought against the slavery and strived for the happiness of Georgia? Some of them served with devotion through newspapers and magazines, in order to instill into the future generation the passion for breaking the chains of slavery.”

“You must remember that socialist women have also served Georgia, they have also contributed to the freedom of the country, the importance of whom the current administration fails to appreciate”.



მარიამ ივანიშვილი- დემურია

MARIAM
IVANISHVILI-
DEMURIA

1860-1910

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

მარიამ ივანიშვილი 1860 წელს გორში დაიბადა. სწავლობდა გორის სამამრო სასწავლებელში. დაამთავრა თბილისის საბებიო სასწავლებელი, რის შემდეგაც ზუგდიდში, საჩხერესა და ოზურგეთში მუშაობდა. 1893 წელს ახალგაზრდა იურისტ, ვასილ დემურიამ დაქორწინდა და საცხოვრებლად თბილისში გადავიდა.

ის აქტიურად ჩაერთო საგანმანათლებლო, სამწერლო, ჟურნალისტურ საქმიანობაში, ხელს უწყობდა სახალხო თეატრის განვითარებას. მისი თაოსნობით შეიქმნა „ავჭალის აუდიტორია“, რომელიც მიიჩნევა პირველ სახალხო თეატრად, სადაც გატვირთვულებს თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრების საშუალება ეძლეოდათ.

1906-1910 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „ნაკადულს“, რომლის ირგვლივ არაერთი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შემოიკრიბა.

პოლემიკას არტემ ახნაზაროვთან, რომელიც ქალთა გადაგვარების შესახებ „ჩიორას“ ფსევდონომით წერდა, გამეტ „ივერიაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციით – „ჩიორას და ქალების პასუხად“ – გამოეხმაურა.

Mariam Ivanishvili was born in Gori in 1860. She studied at the educational facility of the Gori district. She graduated from midwifery educational institution in Tbilisi and then worked in Zugdidi, Sachkhere and Ozurgeti. In 1893, she married a young lawyer, Vasil Demuria and moved to live to Tbilisi.

She was involved in educational, literary, journalistic activities and assisted the development of public theatre. She spearheaded the establishment of „Avchala Audience,“ which is considered the first public theater where the poor were allowed to attend performances.

From 1906 to 1910, Mariam Ivanishvili – Demuria was the editor-in-chief of the *Nakaduli* magazine and managed to gather many famous writers and public figures around it.

Mariam Ivanishvili – Demuria responded to Artem Akhnazarov, who, under the penname of Chiora, wrote about the degradation of women, with a letter published in the Iveria newspaper, titled „In Response to Chiora and Women.“

მარიამ დემურია. „ჩიორას და ქალების პასუხად“.
გაზეთი „ივერია“ #233, 3 ნოემბერი, 1894

„ქართველი ქალები მტკიცე ხასიათითა და გრძნობით უნდა აღვიჭურვ-
ნეთ და ვისაც რა აზრი გვაქვს ქართულ, საზოგადო საქმის გასაუმჯობე-
სებლათ იმ აზრს ვემსახუროთ, მტკიცედ დავიცვათ და არ დავემონოთ
საზოგადოდ შედგენილს შემცდარს აზრებს“.

MARIAM DEMURIA. “IN RESPONSE TO CHIORA AND WOMEN”.
THE *IVERIA* NEWSPAPER, ISSUE #233, 3 NOVEMBER, 1894

“We, Georgian women, must exercise strong will and reason and anyone
of us who have ideas for improving our Georgian, public cause shall serve
and firmly defend these ideas and do not become slaves of wrong public
opinions.”



მარო მაყაშვილი

MARO MAKASHVILI

1902-1921

სტუდენტი
STUDENT

დაიბადა პოეტ კოტე მაყაშვილისა და ცნობილი მწერლის, ეკატერინე გაბაშვილის შვილის – თამარის ოჯახში.

1921 წელს, როდესაც თბილისს რუსეთის მე-11 არმია მოადგა და ქართველი ახალგაზრდები კოჯორ-ტაბახმელასკენ საბჭოთა ჯართან დასაპირისპირებლად დაიძრნენ, 19 წლის სტუდენტი მარიამი წითელ ჯვარში მოწყალების დად ჩაეწერა და კოჯრისკენ მიმავალ სანიტარულ რაზმს შეუერთდა. ორ დღეში კი ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა. ქართველ იუნკერებთან ერთად, მარო მაყაშვილი თბილისში, ყოფილი სამხედრო ტაძრის ეზოში, რუსთაველის გამზირზე მდებარე ამჟამინდელი საქართველოს პარლამენტის ტერიტორიაზე დაკრძალეს.

Maro Makashvili was born into the family of famous poet, Kote Makashvili, and Tamar Gabashvili, a daughter of famous writer, Ekaterine Gabashvili.

In 1921, when Russia's 11th Red Army advanced on Tbilisi and Georgian youth left for Kojori and Tabakhmela to fight against the Soviet army, the 19-year-old student Maro Makashvili joined the Red Cross as a nurse and went with the Georgian regiment heading for Kojori. After two days she was mortally wounded by a splinter of a bomb. She was buried along with military school students in the yard of former military cathedral, on the territory of current building of parliament on the Rustaveli Avenue in Tbilisi.

თიციან ტაბიძე. გაზეთი „საქართველო“ #42, 23 თებერვალი, 1921

„ბევრი მებრძოლი მხედარი იმსხვერპლა ამ ბრძოლამ, ბევრს კიდევ იმსხვერპლებს, მაგრამ ასეთი უცაბედი სიკვდილი უფრო მტანჯველია მაინც, თითქო სიწმინდემ აკურთხა პირველი უმანკო სისხლით ქართული ფრონტი და ისიც მარიამისა; სამშობლოს სიყვარულით კიდევ ბევრ ლანდს გააჩენს ჟანა დარკისა და კიდევ მეტ სასწაულს პატრიოტიზმისას...

მაგრამ ერთია მაინც დაიმედება.

როგორც პარიზი უძახოდა ერთხელ მიუნე სულის, რომელმაც დაჰკარგა ორივე შვილი – მთელი საფრანგეთი შენთან არისო.

– ასე იტყვის გარემოცული ტფილისიც“.

TITSIAN TABIDZE. THE NEWSPAPER *SAKARTVELO*, ISSUE #42, 23 FEBRUARY, 1921

“This battle killed many fighters and will take lives of many in future, but such an instant death is even more distressing – as if the Georgian front was sanctified with the first innocent blood and that blood was of Maro Makashvili. Her love to homeland will inspire many women of Joan of Arc type for braver patriotic deeds.

“But one thing gives hope. As Paris once turned to Mounet-Sully, who lost two children, to say that the whole France grieved along with him, so will the entire Tbilisi do.”



სოფი მენტერი

SOPHIE MENTER

1846-1918

პიანისტი, კომპოზიტორი
PIANIST, COMPOSER

Sophie Menter was a German pianist and composer who became the favorite student of Franz List. Because of her electrifying playing style she was considered one of the greatest piano virtuosos of her time.

Sophie Menter was born in Munich, the daughter of cellist Josef Menter and singer Wilhelmine Menter (née Diebold). She studied piano with a German pianist and music teacher, and one of the founders of the Stuttgart Music School Siegmund Lebert and later with Friedrich Niest.

Her first concert appearances took her to Stuttgart, Frankfurt and Switzerland. She became a pupil of Liszt in 1869. She was married to cellist David Popper. In 1881 she first appeared in England and was awarded honorary membership of the Royal Philharmonic Society two years later.

გერმანელი პიანისტი და კომპოზიტორი, ფრანც ლისტის ფავორიტი სტუდენტი იყო. იგი შესრულების ენერგიული სტილის გამო, იმ დროის უდიდეს ვირტუოზად ითვლებოდა.

დაიბადა მიუნხენში, ჩელისტი იოსეფ მენტერისა და მომღერალ ვილჰელმინე მენტერის ოჯახში. ფორტეპიანოზე დაკვრა მან ცნობილ გერმანელ პიანისტთან და პედაგოგთან, შტუტგარდის მუსიკალური სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებელთან ზიგმუნდ ლებერტთან და მოგვიანებით ფრედერიკ ნიდსთან შეისწავლა.

პირველი საკონცერტო გამოსვლები შტუტგარდში, ფრანკფურტსა და შვეიცარიაში ჰქონდა. ლისტის მოსწავლე 1869 წელს გახდა. დაქორწინდა ჩელისტ დევიდ პოპერზე. 1881 წელს პირველად ჩავიდა ინგლისში, სადაც ორი წლის შემდეგ სამეფო ფილარმონიის საზოგადოების საპატიო წევრობა უბოძეს.

სოფიო მენტერის კონცერტი 18 მარტს. გაზეთი „დროება“ #63, 21 მარტი, 1884

„კვირას, თბილისის საზაფხულო თეატრში იყო გამართული კონცერტი ევროპაში გამოჩენილი პიანისტკის სოფ. მენტერისა. ეს განსაცვიფრებელი დამკვრელი აღზრდილია გამოჩენილის პიანისტის და კომპოზიტორის ლისტის ხელმძღვანელობით. არტისტკის დახელონება, თითების გავარჯიშება და განსაცვიფრებელი ძალა და სისწორე დაკვრაში კაცს აოცებს, აშტერებს და დავიწყებაში შეჰყავს. გადასვლა ძლიერის ხმებიდან, რომლებშიც გამძვინვარებულის ბუნების ტექა-ქუხილი მოისმის, ნაზს იდუმალებით და სიტკბოებით სავსე ხმებზე, იქამდის კაცის გონების, გამტაცებელია, რომ გამგონი აშკარად გრძნობს თავის თავზე მისს ძალას. კაცს აგონებს, რომ ეს ხმები სადღაც გაუგონია, ოდესმე მათ აუღელვებიათ მისი გული, ჰგრძნობს, რომ ისინი პირ-და-პირ ბუნების ცხოვრებიდან არიან ამოღებულნი.

ყველაზედ უმეტესად სანაქებო პიანისტკამ დაატკბო მსმენელთა ყური, უკვდავი კომპოზიტორის ლისტის თხზულებებით, მსმენელთა აღტაცებით მიიღეს არტისტკა მენტერი და აღტაცებითვე გააცილეს.

სამწუხაროდ, ამ საღამოს ქართველობა ძალიან ცოტა დაესწრო და ისეთს არტისტკას, როგორიც ეს პიანისტკა არის, ძნელად შეხვდებიან, და ღირსეული ნიჭი კი ჩვენგან უყურადღებოდ არ უნდა რჩებოდეს“.

SOPHIE MENTER'S CONCERT ON 18 MARCH. THE NEWSPAPER *DROEBA*, ISSUE #63, 21 MARCH, 1884

“On Sunday, a famous European pianist, Sophie Menter, conducted a concert in the summer theatre of Tbilisi. This amazing player was trained by the famous pianist and composer Liszt. Her artistic prowess, swiftness of fingers, amazing power and accuracy in playing, astonished the listeners. Passages of strong music, which sounded like hail and thunderstorm, changed into passages of sweet, mysterious sounds, and listeners felt the power and influence of that music upon themselves. These sounds reminded listeners of the sounds they have heard somewhere; they made their heart race and feel that this music was derived directly from the life of nature.

“The brilliant pianist enchanted listeners with her performance of pieces of music of famous composer Liszt. The audience greeted Sophie Menter with ovations and bid farewell to her with ovations too.

“Unfortunately, that concert was attended by few Georgians. A pianist of such a talent can rarely be seen and we must not leave such talent without attention.”



ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი-მესხი

EKATERINE (KEKE)
MELIKISHVILI-MESKHI

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი-მესხი ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქართველ ქალთაგან, ვინც უმაღლესი განათლება შვეიცარიაში მიიღო. ევროპაში განათლების მიღებაში დახმარება მას ძმამ, ცნობილმა ქიმიკოსმა და თბილისის უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა – პეტრე მელიქიშვილმა, ასევე ნიკო ნიკოლაძემ გაუწიეს.

შვეიცარიაში კეკე გახდა საზოგადოება „უღელის“ წევრი, რომელიც ციურიხში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა დაარსეს. ორგანიზაციაში კეკესთან ერთად სხვა ქართველი ქალებიც იყვნენ გაერთიანებულები: კატო და ოლიმპიადა ნიკოლაძეები, ოღლა გურამიშვილი (ნიკო ნიკოლაძის მეუღლე), პელაგია ნაცვლიშვილი, ბოგუმილა ზემიანსკაია.

კეკე ოდესის უნივერსიტეტში ქალთა უმაღლესი კურსების გახსნის ინიციატორი და მისი პირველი დეკანი გახდა. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლიტერატორ ქალთა წრის წევრი, ხელმძღვანელობდა საოჯახო სტამბას, იყო გამომცემლობა „სხივის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, საზოგადოება „განათლების“ დამაარსებელი.

Ekaterine (Keke) Melikishvili – Meskhi was among those first Georgian women who obtained higher education in Switzerland. Her brother, a famous chemist and the first rector of Tbilisi University, Petre Melikishvili, as well as Niko Nikoladze, assisted in sending her to Europe for education.

In Switzerland Keke Melikishvili joined the association Ugheli established by Georgian students in Zurich. Along with Keke Melikishvili, the association included other Georgia women too: Kato and Olimpiada Nikoladze, Olga Guramishvili, Pelagia Natsvlishvili, Bogumila Zeminskaya.

Keke Melikishvili initiated the opening of higher educational courses for women in Odessa University and was its first dean. She was a member of a circle of women writers of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians; led a family printing house; was one of the founders of the publishing house Skhivi and the founder of the association Ganatleba (Education).

„ჯეჰილი“-ს 20 წელი. გაზეთი „მომავალი“ #38,
13 ოქტომბერი, 1909

„ქართველ ქალთა სამწერლო ასპარეზი ჯერეთ არავის გაეგონა. აქ
ხსენებულ პირველ ყოფილ მანდილოსანთ ბოლოს მალე მოჰყვენ სხვა
ქალებიც, რომელთაც ზოგმა სცენაზედაც იწყეს თამამად გამოსვლა და
ზოგმა მწერლობაც დაიწყეს. ასეთნი იყვნენ ეკატერინე გრიგოლის
ასული მესხისა, ასული მელიქიშვილისა, ძმა ამ ქალისა სტეფანე მელი-
ქიშვილი იყო გამომცემელი 1866 წ. გაზეთ „დროების“ და პატრონი 1865
წ. თფილისში შესანიშნავი ქართულის სტამბისა. ეკატერინე მესხისამ
დიდათ იშრომა „დროება“-ში და სხვა გამომცემებშიც“.

TWENTY YEARS OF JEJILI. THE NEWSPAPER MOMAVALI, ISSUE #38,
13 OCTOBER, 1901

“No one has ever heard about Georgian women writers. The first ladies, men-
tioned above, were shortly followed by other women some of whom started
to play on the stage whilst others to write literary works. Among them was
Ekaterine Meskhi, a daughter of Melikishvili. A brother of this lady, Stepane
Melikishvili, was the publisher of the newspaper Droeba in 1866 and in 1865,
the owner of the Georgian printing house in Tbilisi. Ekaterine Meskhi worked
a lot in Droeba and other editions too...”



კატო მიქელაძე KATO MIKELADZE 1872-1942

ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე
JOURNALIST, PUBLIC FIGURE

კატო მიქელაძემ განათლება ევროპაში მიიღო. დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას პარიზში გაეცნო და 1916 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თანამოაზრეებთან ერთად ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა დაიწყო. მისი თაოსნობით, 1917-1918 წლებში რეგიონალური ქსელი „ქალთა ლიგა“ ჩამოყალიბდა. გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“.

2013 წლის 29 ნოემბრიდან, ქალთა უფლებების დამცველთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „ქალთა ფონდმა საქართველოში“ კატო მიქელაძის სახელობის ყოველწლიური პრემია დააწესა, რათა საზი გაესვას იმ მემკვიდრეობას, რომელიც ქართველ ფემინისტ ქალებს და უფლებადამცველებს გააჩნიათ. 2013 წლის პრემიის მფლობელი „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ დამფუძნებელი ეკა აღდგომელაშვილი გახდა.

Kato Mikeladze obtained education in Europe. She graduated from the faculty of social and political sciences in the University of Brussels.

She familiarized herself with the European experience of women's movement in Paris and after returning to Georgia in 1916, started to fight for women's rights along with like-minded fellows. She spearheaded the establishment of the regional network "Women's League" in 1917-1918. She was a publisher and editor of the newspaper *Voice of Georgian Woman*.

Since 29 November 2013, Kato Mikeladze Award has been established by the Women's Fund in Georgia to honor women's rights activists and to celebrate International Women Human Rights Defenders Day. Ekaterine Aghdgomelashvili, the founder and director of Women's Initiatives Supporting Group, became the award winner in 2013.

რიონელი ქალი (კატო მიჰელაძე).

„მამაკაცების სულმოკლეობა და დედაკაცების კონსერვატიზმი“.
გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ #29, 6 ნოემბერი, 1917

„დღევანდელს მამაკაცთა სოციალისტების უმრავლესობას, რომ კითხვით, თუ რა აზრით უყურებენ ისენი ქალთა სწორუფლიანობას, ასეთს პასუხს მიიღებთ: „ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს მისი, რომ ქალები სწორუფლიანი იყვნენ ჩვენთან, მხოლოდ გვაშინებს ის მოფიქრება, რომ თავიანთ უფლებით ქალები რეაქციას გააძლიერებენ, რადგან ბუნებრივად, თუ ისტორიულად ისენი კონსერვატორები არიანო...“

ეხლანდელს ბოლშევიკების საქციელს, რომ ვაკვირდები, რომლებიც თავიანთ აუინებულს სურვილებს ვერ იჭერენ, ვერც ქვეყნის დამფუძნებლის საშიშროების წინაშე და ვერც გარეშე მტრის შემოსევის დროს, ვფიქრობ, რომ მოვალეობის შეგნებას ზემო აღნიშნული სოციალისტები კონსერვატიზმს უწოდებენ.

და ამ მხრივ თუ გნებავთ, ქალები, მართლაც რომ კონსერვატორები ვართ. ჩვენ გვძულს და გვეზიზღება სისხლის ღვრა, არა მისთვის, რომ მას ვერ შევძლებთ (ჯერ ისეთი არაფერი არ მოუხდენია მამაკაცს, რაც ქალს არ შესძლებოდა), არამედ მისთვის, რომ ჩვენს კაცთმოყვარე ბუნებას ის სძაგს... ასეთი ზნეობრივი ანგარიშით იმის თქმა არავის შეუძლია, რომ ქალები მოკლებული ვიყოთ უმაღლეს იდეალს და მხოლოდ დღიურ ჭირვარამზე ვზრუნავდეთ. მხოლოდ როცა ჩვენ ვისახავთ მიზნათ რთულსა და საზოგადო მნიშვნელოვანს საკითხს, ჩვენ გვსურს მისდა განსახორციელებლათ ნიადაგიც მომზადებული იყოს, და როცა ასეთს დავინახავთ, იქ არც თავის განწირვას დავერიდებით. ...

მაგრამ, რა კონკრეტული შინაარსის უნდა იყოს დღევანდელი სოციალიზმი, როცა ხალხი არც გონებრივად, არც ზნეობრივად და არც შრომის უნარით საამისოთ მომზადებული არ არის. კერძო საკუთრების მარადისობის დამცველნი სოციალიზმს განუხორციელებელ ქიმირათა სთვლიან. ჩვენ შორსა ვართ ასეთი აზრიდან, მაგრამ ამავე დროს შორსა ვართ დღეს დღეობით კომუნის შემოღებიდანაც. და თუ მამაკაცების ერთი ნაწილი, მაინდა მაინც ამას მოითხოვენ, ეს აიხსნება არა მათი რადიკალობით, არამედ მათი სულმოკლეობით. და ამ მხრივ ჩვენ, ქალები ყოველთვის კონსერვატორები დავრჩებით“.

KATO MIKELADZE. "COWARDICE OF MEN AND CONSERVATISM OF WOMEN". THE NEWSPAPER *VOICE OF GEORGIAN WOMAN*, ISSUE #29, 6 NOVEMBER, 1917

"If asked what they think about the equality of women, the majority of today's male socialists will respond: 'we do not have anything against women being on equal footing with us, but we are afraid that with their right, women will strengthen reaction because they are conservatives by nature as well as historically.'

"Watching the behavior of current Bolsheviks, who cannot contain their desires either in the face of threat of country being destructed or at times when the country is invaded by enemies, I think that the above mentioned socialists view the sense of responsibility as conservatism.

"In this regard, we, women, are conservatives indeed. We hate and loath the bloodshed not because we cannot fight (nothing has yet been done by men that cannot be done by women), but because our humane nature hates that... No one can say that we, women, lack highest ideals and are concerned of daily problems alone. However, when we set a complicated issue of general importance as a goal, we want to have the ground prepared to achieve this goal, and when we see such a goal we do not shun sacrificing ourselves for achieving it.

"But what should be a concrete idea of the current socialism when people are not prepared for it either mentally or morally or in terms of labor skills. Defenders of private property view socialism as unrealized chimera. We do not share this attitude but we do not share the idea of establishing a commune either. If a segment of men still insist on that, this can be explained not by their radicalism but by their cowardice. In this regard, we, women, will always remain conservatives."

კატო მიქელაძე.

„ჩემი სიტყვა რომლის წარმოთქმის უფლებაც არ მომცა ბ. აკ. ჩხენკელმა მრთველ ყრილობაზე, 20 ნოემბერს ქ. თბილისში“.

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ #32, 4 დეკემბერი, 1917

„მოქალაქენო, საქართველო ისტორიულად არ იყო ჩვეული ქალთა მონობას... ქართველი ხალხის ცოლქმრობა ამხანაგური ხასიათისა იყო, რისიც გამოხატველია, თუ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება არა, ჩვენი უძველესი დედა-ენა, რომელმაც ასეთს კავშირს სახელად მეუღლეობა უწოდა. ქართველი ქალი არც საზოგადო მოღვაწეობას იყო მოწყვეტილი და იმ დროს, როცა ჩვენი გმირი მამა-პაპანი ფარხმალსა ლესდნენ მტრის მოსაგერიებლად ჩვენი ძველი დედები სამოქალაქო ცხოვრებას ჭირისუფლობდნენ. ავრცელებდნენ სწავლა განათლებას, სარწმუნოებას, ექიმობას, აშენებდნენ მტრისაგან აოხრებულ ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს და სხვა.

არც პოლიტიკურ საქმეებს უდგნენ ქართველი ქალები განზე და თავიანთი უნარით და გონიერით მეცადინეობით, არა ერთხელ შეუერთებიათ დანაწილებული კუთხეები საქართველოსა...“

KATO MIKELADZE.

“MY SPEECH WHICH B. AK. CHKHENKELI DID NOT ALLOW ME TO DELIVER TO THE NATIONAL CONGRESS IN TBILISI ON 20 NOVEMBER”.

THE NEWSPAPER *VOICE OF GEORGIAN WOMEN*, ISSUE #32, 4 DECEMBER, 1917

“Citizens, the slavery of women was not historically customary to Georgia... Spousal relationship of Georgian people was always of friendly nature. This is proved, if not by the contemporary life, by our ancient language which called such a relationship the pulling of a yoke. Public activity was not strange to Georgian women and at the times when our brave fathers were busy sharpening their swords to repel enemy our mothers took care of civil life. They were engaged in spreading literacy and religion, curing diseases, building cathedrals, castles and fortresses that were ruined by enemies, and in many other activities.

“Nor was the political activity strange to Georgian women who, owing to their abilities and reasonable efforts, managed not once to unite disintegrated parts of Georgia.”

სოფიო მიქელაძე SOPHIO MIKELADZE

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

წერილი კულაშიდგან. გაზეთი „ივერია“ #272, 19 დეკემბერი, 1902

„...ს. მიქელაძისამ პირველად შემოიტანა კულაშს აბრეშუმის ცელულიალურული თესლი და გააცნო ადგილობრივ მეაბრეშუმეებს ევროპული თესლის პარკი და რიგიანად აბრეშუმის ჭიის მოვლა. მის შემწეობით ადგილობრივს ნორმალურს სასწავლებელს მუქთად ჰქონდა დათმობილი ვეებერთელა სახლი და ფურცლის ბაღია ჭიების გამოსაკვებად და მუშები და ყოველნაირი მოწყობილობა, რაც სააბრეშუმოში არის საჭირო, თავადის სოფიოს თაოსნობით სოფელში გაშენდა გაუმჯობესებული ფრინველი და ეხლა მარტო კვერცხს ათასობით და ასი ათასობით აგზავნიან უცხოეთის ბაზრებში. მის თაოსნობით აქ დაარსდა სამეურნეო ფრინველთა გამაუმჯობესებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იყო თვითონვე. სოფიო...

კულაშის სასწავლებლის დაარსების დროს თავადი სოფიო თავის ფეხით დადიოდა ნაცნობებში და აგროვებდა ფულებს სასწავლებლისათვის. ბოლოს დროს, როდესაც შეუბრალებელს სიკვდილს ებრძოდა, ადგენინებდა სიას იმ პირთა, რომლებისთვისაც ფული უნდა ეთხოვა ადგილობრივ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ...”

LETTER FROM KULASHI. THE NEWSPAPER *IVERIA*, ISSUE #272, 19 DECEMBER, 1902

“Sophio Mikeladze was the first woman to introduce a seed of cellular silk in Kulashi and made local silk producers familiar with European seed and taught them how to breed silk worm. Thanks to her, a huge house was allocated for free to a local educational facility along with an orchard for feeding silk worms, workers and any type of equipment needed for farming. Under the leadership of countess Sophio Mikeladze, genetically improved poultry farm was established in the village and now hundreds of thousands of eggs are sent to foreign markets. Upon her initiative, a committee for improving the poultry farming was set up which was chaired by Sophio Mikeladze herself.

“At the times of establishing the Kulashi educational institution, the countess Sophio Mikeladze herself visited people to collect money for the education institution. Before her death, she compiled a list of those people whom she intended to ask money to establish a local library.”

ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე ELISABED NAKASHIDZE-BOLKVDADZE



საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

1885-?

ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრების წევრად სოციალ-დემოკრატთა სიით 1919 წელს აირჩიეს. საქართველოს პირველ პარლამენტში იგი შრომის კომისიაში იყო გაწევრიანებული.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ანტი-საბჭოთა მოძრაობაში ჩაერთო, რასაც მისი რამდენჯერმე დაპატიმრება და გადასახლება მოჰყვა. 1936 წელს მას გადასახლებაში ყოფნის ვადა ხუთი წლით გაუხანგრძლივეს. საარქივო მასალების მიხედვით, გაურკვეველია მისი შემდგომი ბედი.

Elisabed Nakashidze-Bolkvadze was elected as a member of National Assembly of the Democratic Republic of Georgia from the Social-Democratic Party list in 1919. She was a member of labor commission in the first parliament of Georgia.

In 1921, after the Sovietization of Georgia, Elisabed Nakashidze-Bolkvadze got involved in the anti-Soviet movement. Because of this activity she was arrested several times and then sent to exile. In 1936, the term of her exile was extended for additional five years. According to archive materials, her further fate is unknown.

მერი ბარბაკაძე. „გადასახლებული ქართველი მენშევიკები“.
ჟურნალი „საბარჟიშო მოამბე“ #11, 2011

„საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 1935 წლიდან დასავლეთ ციმბირში, ქ. კამნეში ჩამოყალიბებული მენშევიკთა არალეგალური ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გადასახლებაში მყოფი პოლიტპატიმარი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკთა) პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ელისაბედ ბოლქვაძე იყო...

ელისაბედის მითითებით მრავალრიცხოვან თავყრილობებს არ ატარებდნენ. — „საზღვარგარეთის ბიუროსგან მივიღეთ მითითება, რომ თავი შევიკავოთ ხალხმრავალი შეკრებებისგან. პარტიული მუშაობის ამგვარი ფორმა ვერ შეგვინახავს კადრებს, პირიქით, მათი გამოაშკარავება ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილია, ამას რეპრესიები და გადასახლება მოჰყვება ბოლშევიკების მხრიდან. ჩვენი საქმიანობა დიდ კონსპირაციას მოითხოვს, რაც ყველამ კარგად უნდა გავითავისოთ და ვისწავლოთ“ (საქართველოს შსს არქივი. (I). ფ. #6 ტ.#3. საარქივო # 28580 ფურც. 82). შეკრებები ელისაბედ ბოლქვაძის სახლშიც იმართებოდა. მსჯელობდნენ მომავალ გეგმებზე, თავისუფლებისაკენ მიმავალ გზებს ეძებდნენ...

1936 წლის 6 აპრილს დასავლეთ ციმბირში არალეგალური მენშევიკური კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის გადასახლებული ელისაბედ ბოლქვაძე თანამოაზრეებთან ერთად კვლავ დააპატიმრეს. ციხის სამორიგეო ოთახში ყოფნისას ელისაბედმა თანამემამულეებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ფრთხილათ იყავით, დაკითხვისას არაფერი წამოგცდეთ მეგობრებზე, როგორც ერთმა, ყველამ განაცხადეთ, რომ უარს ამბობთ ჩვენების მიცემაზე. რაც უნდათ ის უქნიათ, მედგრად დაიცავით ჩვენი იდეები და სანამ ცოცხლები ხართ, ბოლომდე იბრძოლეთ დამოუკიდებელი საქართველოსთვის“.

MERI BARBAKADZE. "THE GEORGIAN MENSHEVICS IN EXILL".
ARCHIVE MESSENGER MAGAZINE, ISSUE #11, 2011

"The materials of the case reveal that since 1935, an exiled political prisoner, a member of the central committee of the Georgian Social-Democratic (Menshevik) Party, Elisabeth Bolkvadze was one of the leaders of an illegal group of Mensheviks established in the Western Siberian city of Kamen...

"Upon the instruction of Elisabeth, large meetings were not conducted. 'We received an instruction from the foreign bureau to refrain from conducting large meetings. Such a form of party activity is not conducive to protecting our cadres; on the contrary, this makes it easy to expose them; this will be followed by repressions from Bolsheviks and our members will be exiled. Our activity requires great conspiracy and we must all understand that well.' (Archive of the Georgian Interior Ministry (I); p. #6 vol. #3. Archive #28580, pg. 82). Meetings were also held in Elisabeth Bolkvadze's house. They discussed future plans and ways of achieving freedom....

"On 6 April 1936, Elisabeth Bolkvadze, who was exiled for Menshevik counter-revolutionary activity to Western Siberia, was arrested again together with her associates. When being in a duty room of the prison, Elisabeth addressed her compatriots with the following speech: 'be cautious of saying anything about your friends when being interrogated; all you must say in one voice that you refuse to provide testimony. No matter what they do, defend our ideas courageously and fight for independent Georgia until you are alive'."

ამონარიდი ელისაბედ ბოლქვაძის დაკითხვის ოქმიდან:
დასავლეთ ციმბირის შინსახკომის სამმართველო. 1936 წლის 2 ივლისი

...1923 წელს იზოლირებული ვიყავი საქართველოსგან. გურიაში არალეგალური პარტიული საქმიანობისთვის დამაპატიმრეს და გამგზავნეს ურალში. ზოგჯერ ჩემი საქმიანობა მიმართული იყო დამოუკიდებელ საქართველოზე გაბატონებული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1925 წელს გადასახლებიდან სახლში, საქართველოში დაბრუნებული, გავწევრიანდი საქართველოს არალეგალური სოციალ-დემოკრატიული (მ) პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ამ დროიდან 1926 წლამდე პარტიის არალეგალურ საქმიანობას ვაგრძელებდი ქ. თბილისში. 1926 წელს ხელახლა დამაპატიმრეს და მომათავსეს ზემო ურალის პოლიტიზოლატორში.

1927 წელს პოლიტიზოლატორი გადასახლებით შემიცვალეს და გამიშვეს გადასახლებაში. ქ. მინუსინსკში. მას შემდეგ მე ვიმყოფები ციმბირში, გადასახლებაში...

დოკუმენტების თანახმად, 1936 წელს ელისაბედ ბოლქვაძეს გადასახლებაში ყოფნის ვადა ეწურებოდა. გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს განსაკუთრებული სათათბიროს დაწვევებით, ხელახალი ბრალდების საფუძველზე, 1936 წელს გადასახლების ვადა ელისაბედ ბოლქვაძეს 5 წლით გაუხანგრძლივეს.

საქმის მასალებიდან არ ირკვევა, ცამეტწლიანი გადასახლებიდან დაბრუნდა თუ არა სამშობლოში ელისაბედ ბოლქვაძე-ნაკაშიძე. გაურკვეველია, რა ბედი ეწია ამ ქალბატონს..."

Excerpt from the protocol of interrogation of Elisabed Bolkvadze:
Western Siberian Department of Interior Ministry. 2 July, 1936

"In 1923 I was isolated from Georgia. I was arrested for illegal party activity in Guria and was sent to Urals. My activity was sometimes directed against the Soviet authorities that dominate Georgia. Having returned to Georgia from the 1925 exile, I joined the central committee of illegal Social-Democratic party of Georgia. From that time until 1926 I continued illegal activity of the party in Tbilisi. In 1926, I was arrested again and placed in the political isolator of the Upper Urals.

"In 1927, the political isolator was changed into exile and I was exiled to the city of Minusinsk. Since then I am in exile in Siberia.

"According to documents, in 1936, the term of exile of Elisabed Bolkvadze was expiring. By the decision of a special council of the united state political department, on the basis of a new accusation, the term of exile of Elisabed Bolkvadze was extended by an additional five years in 1936.

"The case materials do not show whether Elisabed Bolkvadze-Nakashidze returned to her homeland after the 13-year-long exile. The fate of this lady is unknown."

პელაგია ნაცვლიშვილი PELAGIA NATSVLISHVILI

?-1878

ექიმი, საზოგადო მოღვაწე
DOCTOR, PUBLIC FIGURE

დაიბადა თბილისში. იგი იყო პირველი ქართველი ექიმი ქალი და ქართველ ქალთაგან ერთ-ერთი პირველი, ვინც ფეფო ელიოზიშვილთან, კეკე მელიქიშვილთან და მარიამ წერეთელთან ერთად, სასწავლებლად შვეიცარიაში გაემგზავრა. ეს იყო ნიკო ნიკოლაძის მცდელობის შედეგი – თბილისისა და ქუთაისის ქალთა სასწავლებლების საუკეთესო მოსწავლეები განათლების მისაღებად ევროპაში გაემგზავნა.

1871–1878 წლებში ციურიხის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა. აქტიურად იყო ჩართული ქართველ სტუდენტთა საზოგადოება „უღელის“ საქმიანობაში, რომელიც მათ ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სერგი მესხის ხელმძღვანელობით დააარსეს.

პელაგია ნაცვლიშვილმა, რომელიც ევროპაში სასწავლებლად ოჯახთან ერთად იყო ჩასული, უსახსრობის გამო, სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო და ციურიხში ექიმად დაიწყო მუშაობა. მძიმე სენით – ტუბერკულოზით დაავადების გამო, იგი 1878 წლის 31 მაისს გარდაიცვალა. დაკრძალულია ციურიხში.

Pelagia Natsvlishvili was born in Tbilisi. She was the first female doctor and was among the first Georgian women, along with Pepo Eliazishvili, Keke Melikishvili and Mariam Tsereteli, who went to Switzerland to obtain education. This was the result of efforts undertaken by Niko Nikoladze to send best pupils of Tbilisi and Kutaisi educational institutions for women to Europe to continue their education.

From 1871 to 1878, Pelagia Natsvlishvili studied at the faculty of medicine in the University of Zurich. She was actively engaged in the work of the society of Georgian students, Ugheli, which was established under the leadership of Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and Sergi Meskhi.

Pelagia Natsvlishvili, who arrived in Europe to obtain education together with her family, was unable to return to her homeland due to lack of means and undertook a job of doctor in Zurich. She died of tuberculosis on 31 May 1878 and was buried in Zurich.

პელაგია ნაცვლიშვილი. ნიჰროლოგი.

ბაზმითი „დროება“ # 138, 12 მაქათათში, 1878

„მაისის თვრამეტს გარდაიცვალა ციურიხში ყველა მისი ნაცნობის დიდად სამწუხაროდ პელაგია ნაცვლიშვილი. ამ ქალმა ადრე გაიგო ქალების საზიზღარი დამოკიდებული მდგომარეობა და გადაწყვიტა ან თავი დაახწიოს ამ მდგომარეობას და ან თან გადაჰყვეს. ამ აზრით წავიდა ის ამ ექვსი წლის წინათ სამზღვარ გარეთ და ყველა მისი ნაცნობები დაამტკიცებენ, რომ განსაკუთრებული ენერგიით მიჰყო სწავლას ხელი...

ერთხელ ერთმა დაახლოვებულმა ნაცნობმა უთხრა იმას ჩემო, (მიცვალეულს ასე ეძახოდნენ), რა კი აგრე გულით და სულით მოგინდომებია სწავლის შესრულება პატარა ხანს მაგ შენს გულკეთილობას მოუკელი, მატერიალურად სხვებს კი ნუ ეხმარები, შენსავ თავს დაეხმარე. ჯერ შენს მიზანს მისწვდი და მერე გააკეთე რაც კეთილი საქმე გინდოდეს. აი იმან რა უპასუხა ეს იმას ემსგავსება, რომ ვინმემ თქვას ჯერ სხვებს გავქურდავ, გამდიდრდები და მერე გაჭირვებულებს დავეხმარები. არა ჩემო მეგობარო, მე მატერიალური ნაკულებანება არ მაშინებს, იმდენი ყოველთვის მაქვს, რომ კუჭის ცარიელობამ სწავლაში არ დამაპრკოლოს და თუ ყველაგვარ შეძლებას მოკლებული ვარ ეს უფრო გულ-და-გულ მამუშავებს, რომ ჩქარა ჩემი სწავლით მეტი შევიძინო და მეტის გაკეთებას შემიძლოს...”

PELAGIA NATSVLISHVILI. OBITUARY.

THE NEWSPAPER *DROEBA*. ISSUE #138, 12 JULY, 1878

“Pelagia Natsvlishvili, to the distress to all her acquaintances, died in Zurich in May. This woman was among the first to realize appallingly restricted condition of women and decided to either put an end to this or to die in the fight for that cause. With this in mind, she went abroad six years ago and any of her acquaintances will confirm that she undertook the education with special zeal...”

“Once, her close friend gave her a piece of advice: ‘if you are so keen to get education, you should better restrain your generosity and help yourself instead of providing material assistance to others; first achieve your goal and then engage in the generous activity you want to perform.’ In response to this advice Pelagia said: ‘this sounds like someone saying that he/she will first rob others, become rich and then assist the poor. No, my friend, I do not fear lack of money; I always have enough to avoid being prevented by hungry stomach from studying and if I experience shortage of everything, this encourages me to acquire more through my study and become thus capable to do more...’



ეკატერინე
ნიკოლაძე

EKATERINE
NIKOLADZE

1854-1931

პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე
PEDAGOGUE, PUBLIC FIGURE

ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დები – ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები, იმ ქართველ ქალთა რიცხვში იყვნენ, ვინც ევროპაში პირველები წავიდნენ განათლების მისაღებად.

სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, შვეიცარიაში აქტიურად იყო ჩართული ქართველი ახალგაზრდობის მიერ დაარსებული საზოგადოება „უღელის“ საქმიანობაში.

განათლების მიღების შემდეგ ქუთაისში დაბრუნდა, სადაც პედაგოგიურ და საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. პანსიონში, რომელიც გიმნაზიაში შესასვლელად ამზადებდა ბავშვებს, ეკატერინე დასთან, ანასთან ერთად საქმიანობდა, მათ საგანმანათლებლო ღონისძიებებში კი აკაკი წერეთელი აქტიურად იყო ჩაბმული.

ეკატერინეს ინიციატივით, ქუთაისში სახალხო წარმოდგენები იმართებოდა.

Ekaterine and Olimpiada Nikoladze, sisters of a famous political and public figure, Niko Nikoladze, were among those first women who traveled to Europe to obtain education.

In Switzerland, Ekaterine Nikoladze was engaged in the activity of Ugheli, the society established by Georgian youth there.

Having obtained education, Ekaterine Nikoladze returned to Kutaisi where she conducted pedagogic activity and charity. Ekaterine worked in a boarding school, a pre-gymnasium preparation educational institution, together with her sister, Anna, with Akaki Tsereteli actively engaged in educational events of this school.

On the initiative of Ekaterine Nikoladze, popular performances were conducted in Kutaisi.

გაზეთი „კვალი“ #46, 8 ნოემბერი, 1898

„ამ ორი-სამი თვის წინეთ ზოგ ქუთათურ მანდილოსნებს და მათ ხელმძღვანელს ქ-ნ ეკატერინე ნიკოლაძისას დაებადათ კეთილი ამრი სახალხო ასპარეზზე მოღვაწეობისა.

როდესაც ქ-ნ. ეკ. ნიკოლაძის ქალმა ასეთ მოღვაწეობისთვის ქუთათური ქალ-ვაჟნი გამოიწვია, ყველას ეჭვი ებადებოდა ამის განხორციელების შესახებ... ორი-სამი თვის კრებების შემდეგ წასულ კვირას (1 ნოემბერს) უკვე გაიმართა ქუთაისში პირველი სახალხო წარმოდგენა სცენის მოყვარულთაგან“.

THE NEWSPAPER *KVALI*, ISSUE #46, 8 NOVEMBER, 1898

“Some two or three months ago, several women in Kutaisi and their leader Ms. Ekaterine Nikoladze came up with a generous idea of public activity.

“When Ms. Ekaterine Nikoladze invited women and men of Kutaisi to participate in such public activity, everyone doubted that it could be implemented... Last week (on 1 November), however, after meeting during two or three months, the first public performance was conducted for lovers of the stage in Kutaisi.”



მინადორა ორჯონიკიძე- ტოროშელიძე

MINADORA
ORJONIKIDZE-
TOROSHELIDZE

1879-1967

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძემ ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია დაამთავრა, უმაღლესი განათლების მიღება კი 1901 წელს ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო, რა დროსაც ჟენევის სოციალისტური წრეების საქმიანობაში აქტიურად ჩაერთო. ჟენევაში ის მალაქია ტოროშელიძეზე დაქორწინდა.

1905 წელს, თბილისში დაბრუნებისას, მინადორა ტოროშელიძე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილების შემდეგ კი აქტიური „მენშევიკი“ გახდა.

1918 წლიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში ჩაერთო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტზე მისი ხელმოწერაც არის. 1918 წელს — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ხოლო 1919 წელს სოციალ-დემოკრატების სიით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი გახდა. მონაწილეობდა შრომისა და სახალხო ჯანმრთელობის კომისიის მუშაობაში.

1921 წლის თებერვალში, რუსეთის საბჭოთა არმიის თავდასხმის დროს, საქართველოს წითელ ჯვარში მუშაობდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ანტისაბჭოთა მოძრაობაში ჩაერთო. ამერიკული დახმარების ადმინისტრაციაში (American Relief Administration) მუშაობის პარალელურად, დაპატიმრებული სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების ოჯახების დასახმარებლად, ქალთა არალეგალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, რის გამოც 1924 წელს მოსკოვში გაასახლეს. 1925 წელს თვითნებურად დაბრუნდა თბილისში, მაგრამ კვლავ მოსკოვში გაგზავნეს, ხოლო მოგვიანებით თბილისში დაბრუნების უფლება მისცეს.

1936 წელს მინადორა ტოროშელიძეს, ქალაქ კისლოვოდსკში ყოფნისას, ანტი-საბჭოთა საუბრებისა და გადასახლებულ მენშევიკთან გრიგოლ ლორთქიფანიძესთან კავშირის გამო, დასდეს ბრალი და 5 წლით ყაზახეთში გადასახლეს. გადასახლებაში ყოფნის დროს, 1937 წლის 5 ივნისს იგი დააპატიმრეს, ხოლო 1937 წლის 29 ოქტომბერს ე.წ. „ტროიკამ“ მას 8 წლით შრომა-გასწორების კოლონიაში პატიმრობა მიუსაჯა. საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი მისი მეუღლე, მალაქია ტოროშელიძე და შვილები ლევან და გიორგი ტოროშელიძეებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც შინსახკომის „ტროიკებმა“ დახვრეტა მიუსაჯეს.

გადასახლებიდან მინადორა ტოროშელიძე თბილისში 1950 წელს დაბრუნდა, 1956 წელს კი მისი რეაბილიტირება მოხდა. გარდაიცვალა 1967 წლის 19 ოქტომბერს.

ჟურნალი „ეშმაკის მატრახი“ #46,
12 ნოემბერი, 1917

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველი ხალხი დღესაც ფიზიკალთა შეხვედრა საქმეს და გაასკვეცებული ენერგიით დაუჭერს მხარს ჭირსა და ლხინში მასთან მყოფ: სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას და ხმას მისცემს მათ საარჩევნო სიას #3...

კანდიდატი ოცდა მეათე
მინადორა ტოროშელიძე
დამსახურებული პარტიული მუშაკი და საზოგადო
მოღვაწე.“

THE MAGAZINE *ESHMAKIS MATRAKHI*
(DEVIL'S WHIP), ISSUE #46, 12 NOVEMBER, 1917

“We hope that the Georgian people will again exercise caution today and with doubled energy support Social-Democratic Labor Party and vote for their party.

“Candidate No 30
“MINADORA TOREOSHELIDZE
“An experienced member of the party
and respected public figure.”

Minadora Orjonikidze graduated from St. Nino Women's Gymnasium and continued her higher education at the medical faculty of Geneva University in 1901. When being in Switzerland, she got actively engaged in socialist circles of Geneva. She married Malakia Toroshelidze in Geneva.

After returning to Georgia in 1905, Minadora Orjonikidze-Toroshelidze engaged in revolutionary movement. After a split in Social-Democratic Party of Caucasus, she became an active Menshevik.

In 1918, Minadora Orjonikidze-Toroshelidze got involved in the activity of the National Assembly of Georgia. Her signature is affixed to the Act of Independence of the Democratic Republic of Georgia. In 1918, she became a member of parliament of the Democratic Republic of Georgia whilst in 1919, a member of National Assembly of the Democratic Republic of Georgia from Social-Democratic Party. Minadora Orjonikidze-Toroshelidze worked in the Labor and Public Health Commission.

In February 1921, during the invasion of Georgia by the Russian Red Army, Minadora Orjonikidze-Toroshelidze worked in the Red Cross. After the Sovietization of Georgia, she got engaged in anti-Soviet movement. In parallel to her activity in the American Relief Administration, she led an illegal women organization designed to assist families of arrested Social-Democrats and Federalists. For this activity she was sent to Moscow. In 1925, she arbitrarily returned to Tbilisi but was again sent back to Moscow and later was given the right to return to Tbilisi.

In 1963, Minadora Orjonikidze-Toroshelidze was charged with treason because of anti-Soviet talks while being in the city of Kislovodsk and her ties with the exiled Menshevik, Grigol Lortkipanidze, and was sent to exile in Kazakhstan for the term of five years. When being in exile, on 5 June 1937, she was arrested and on 29 October 1937, the so-called Troika sentenced her to eight years in prison. Her husband, Melakia Toroshelidze as well her sons Levan and Giorgi Toroshelidze, were victims of Soviet repressions too; they were sentenced to death by the security service Troika.

Minadora Orjonikidze-Toroshelidze returned from the exile to Georgia in 1950. In 1956, she was rehabilitated. She died on 19 October 1967.



მაკო
საფაროვა-
აბაშიძე

MAKO
SAPAROVA-
ABASHIDZE

1860-1940

მსახიობი
ACTRESS

მაკო საფაროვა-აბაშიძე 1860 წლის 18 თებერვალს თელავში დაიბადა.

სასცენო მოღვაწეობა 1879 წელს ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მიერ განახლებულ ქართულ პროფესიულ თეატრში დაიწყო. აქვე გაიცნო იმავე დასის წევრი ვასო აბაშიძე, რომელსაც მოგვიანებით ცოლად გაჰყვა. მსახიობის პროფესია აირჩია მათმა შვილმა ტასო აბაშიძემაც, რომელიც ცნობილი მსახიობი გახდა.

განსახიერებელი აქვს არაერთი სასცენო სახე, მათ შორის მოლიერის და შექსპირის პიესებიდან.

მაკო საფაროვა რუსულ და ფრანგულ პიესებს ქართულ ენაზე თარგმნიდა.

Mako Saparova-Abashidze was born in Telavi on 18 February 1860.

She started her activity as an actress on the stage of Georgian professional theatre which was renewed by Iliia Chavchavadze and Akaki Tsereteli. In this theatre she met her future husband, a member of the crew, Vaso Abashidze. Their daughter, Taso Abashidze, also chose their parent's profession and became a famous actress.

Mako Saparova performed many roles, including from plays by Moliere and Shakespeare.

Mako Saparova translated Russian and French plays in Georgia.

გაზეთი „ივერია“ #28, 5 თებერვალი, 1886

„ამ წარმოდგენის დაფნის გვირგვინი უეჭველი ეკუთვნის ჩვენის სცენის მნათობს, მაღალ ნიჭიერს არტისტკას მ.მ. საფაროვა-აბაშიძისას, რომელიც პარიჟელის ბიჭს – ჟოზეფის როლს ასრულებდა... მ. საფ. აბაშიძისამ ღირსეულად დასძლია ამ როლის ყოველივე სიძნელე და მთელი სახე დაგვიბატა. ჩვენ ვხედავდით პათიოსნებით აღჭურვილს, ზოგჯერ ცელქს და ზოგჯერ მოღრუბულს, უშიშარს და თავ-განწირვამდე მგრძნობიარე ბიჭს. – საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მ. საფ. აბაშიძისა, ამ როლში შეუდარებელი რამ არის და თავისის ხელოვნურის თამაშობით ყოველს სერიოზულს სცენას დაამშვენებს. ჩვენის აზრით მ. საფ. აბაშიძის უმთავრესი ღირსება და დანარჩენ არტისტებთან უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ფხიზელი ჭკუა აქვს, სწრაფი მოსაზრება, ესტეტიკური გრძნობა და ამასთანავე დაუღალავი მშრომელიც არის. ეგ ხუთი ღირსება აუცილებელია ყოველი ნიჭისთვის“.

THE NEWSPAPER *IVERIA*, ISSUE #28, 5 FEBRUARY, 1886

“The crown of this performance was undoubtedly a shining star of our stage, a very talented actress M. Saparova-Abashidze, who performed a role of a Parisian boy Joseph... M. Saparova-Abashidze perfectly managed to overcome all the difficulties of this role and fully depicted the character. We saw the honest boy who is sometimes naughty and sometimes gloomy, who is brave and extremely sensible. In general, it must be noted that M. Saparova-Abashidze is incomparable in this role and with her masterly performance she can play on any serious stage. In our opinion, the main dignity of M. Saparova-Abashidze and her superiority to other actors is that she is clearheaded and quick-witted, has esthetic sense and at the same time, is tirelessly diligent. These five qualities are necessary for every talent.”



კარლა სერენა CARLA SERENA

1840-1884

მოგზაური
TRAVELER

გაზეთ „დროების“ ცნობით, მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოს ორჯერ ეწვია ევროპაში ცნობილი მოგზაური ქალი კარლა სერენა.

კარლა სერენას ნაშრომი „კავკასიური ესკიზები“, რომელიც 1844 წლით არის დათარიღებული, შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე ჩანახატებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ეთნოგრაფიული, რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ. წიგნში ვხვდებით ახალციხის, ბორჯომის, გორის ლანდშაფტებს, ადამიანთა პორტრეტებსა და მათი ყოველდღიური ყოფის ამსახველ ჩანახატებს.

ქართველი მეცნიერებისთვის ინფორმაციული თვალსაზრისით ღირებული აღმოჩნდა კარლა სერენას ჩანაწერები ბედიის ბარძიმის დაკარგული ფეხის შესახებ, რომელიც მან აფხაზეთში მოგზაურობის შედეგად დატოვა.

კარლა სერენას მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ასახულია მის ნაშრომებში: „მარტო სტეპებში: ჩემი მოგზაურობის ეპიზოდები კალმუკების და ყირგიზების ქვეყანაში“, „ადამიანები და საგნები სპარსეთში“, „ჩემი მოგზაურობა ბალტიის ზღვიდან კასპიის ზღვამდე“.

According to the newspaper Droeba, Carla Serena, well known European traveler visited Georgia twice at the end of 19th century.

Carla Serena's work, "Caucasian Sketches," dated 1844, contains significant information as well as drawings of various regions of Georgia, their ethnographic, religious diversity. The book includes landscapes of Akhaltsikhe, Borjomi, Gori; portraits of people and drawings of their daily life.

Writings of Carla Serena about a lost part of bowl of Bedia Cathedral, which she made after her travel to Abkhazia, proved to be a very valuable piece of information for Georgian scientists.

Carla Serena's travels in various parts of the world are recounted in her works: "Alone in Steppes: Episodes from My Travel to the Country of Kalmyk and Kyrgyz People," "People and Objects in Persia," "My Travel from the Baltic Sea to the Caspian Sea."

გაზეთი „დროება“ #63, 25 მარტი, 1882

„ჩვენს ქვეყანაში ორჯერ მოგზაურობდა გამოჩენილი მოგზაური-ქალი კარლა სერენა. ამ მხნე ქალს, რომელიც ასე თამამად დადიოდა ჩვენი მხრისა და სპარსეთის უდაბურ ადგილებში დაუმზადებია ახლა ვრცელი აღწერა თავის კავკასიაში მოგზაურობისა და სურათებით აბეჭდინებს პარიჟში. ერთს ფრანგულზე გაზეთში ამ კარლა სერენაზე იწერებიან:

„ამ დღეებში მოვიდა კავკასიიდან პარიჟში დაუღალავი მოგზაური ქალი კარლა სერენა და მოიტანა თან მრავალი ფოტოგრაფიული სურათები კავკასიის ბუნებისა და ხალხებისა; ეს სურათები ჩართული იქნება იმის თხზულებაში „კავკასია“, რომლის გამოცემასაც ის უკვე შეუდგა.

„დიდის პატივის-ცემით მიიღეს ეს ქალი ევროპაში: იტალიის კაროლმა იმისთვის დიდი ოქროს მენდალი ჩამოასხმევინა, ლონდონის გეოგრაფიულ საზოგადოებამ სთხოვა იმას წაიკითხოს საზოგადო ლექცია თავის მოგზაურობიდან. იმის ორი საინტერესო თხზულება, ერთი „ბალტიის ზღვიდან კასპიის ზღვამდინ“ და მეორე „ევროპიელი ქალი სპარსეთში“ იტალიურ ენაზე გადათარგმნეს“.

THE NEWSPAPER *DROEBA*, ISSUE #63, 25 MARCH, 1882

“A famous woman traveler, Carla Serena, traveled in our country twice. This active woman, who so bravely traveled through our region and barren places of Persia, has prepared a book extensively describing her travel in the Caucasus with photos, which will be published in Paris. This is what one French newspaper wrote about Carla Serena, a tireless woman traveler, Carla Serena, has recently arrived to Paris from the Caucasus and brought with her numerous photos of the nature and people of Caucasus; these photos will be included in her literary work “Caucasus” which she has already started to publish.

“This woman was received with great honor in Europe: the King of Italy had a large gold medal cast for her. The London Geographic Society asked her to deliver a public lecture about her travels. Her two interesting literary works – “From the Baltic Sea to the Caspian Sea” and “European Woman in Persia” – were translated into Italian.”



ნინო ტატიშვილი-
ყიფიანი

NINO TATISHVILI-
KIPIANI

1867-1937

პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე
PUBLICIST, PUBLIC FIGURE

ნინო ტატიშვილი ბავშვობაში ზაფხულობით ხშირად ჩადიოდა ქვიშხეთში, სადაც ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის ოჯახში მას წერა-კითხვა, ფრანგული ენა და მუსიკა შეასწავლეს. შემდეგში ის დიმიტრი ყიფიანის ვაჟზე, მსახიობ კოტე ყიფიანზე დაქორწინდა.

ზაფხულობით ნინო ქვიშხეთში სცენის მოყვარულებთან ერთად ყიფიანების სახლში რეპეტიციებს მართავდა, აწყობდა წარმოდგენებს გლეხებისთვის, ეხმარებოდა ღარიბ მოწაფეებს, სტუდენტებსა და სოფლის მასწავლებლებს. მისი ინიციატივით, ქვიშხეთში პირველად დაარსდა სკოლა და წიგნთსაცავი-სამკითხველო.

იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. დააფუძნა საზოგადოება „იმედი“, რომლის შემოსავლის წყარო სასაღილო იყო. შემოსული თანხებით საზოგადოება ქართულ თეატრს და სტუდენტებს ეხმარებოდა. მისი ინიციატივით, 1907 წელს ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად, დაარსდა ქალთა კომისია, რომლის მიზანი ახალგაზრდებისთვის უმაღლესი განათლების მიღებაში დახმარების გაწევა იყო. კომისია ჩეხეთის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „მატიცას“ ანალოგიით შეიქმნა.

ნინო ყიფიანის წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. თანამშრომლობდა „ნაკადულთან“. 1914 წელს ეკატერინე გაბაშვილთან, ანასტასია თუმანიშვილთან და განდეგილთან ერთად იმოგზაურა აჭარაში და ქართველი მაჰმადიანი ქალების ყოფას და მათი განათლების აუცილებლობას არაერთი წერილი მიუძღვნა.

ფრანგულიდან თარგმნიდა საბავშვო მოთხრობებს. თარგმნა ცნობილი ისტორიული რომანი „სპარტაკი“ და ი. ფრანკოს მოთხრობა „ნაძირალანი“.

1923 წელს ნინომ ყიფიანების ქვიშხეთის სასახლე მწერალთა კავშირს გადასცა.

Nino Tatishvili often spent summers in Kvishkhethi where she was taught literacy, French language and music at the family of famous public figure, Dimitri Kipiani. Later, she married actor Kote Kipiani, a son of Dimitri Kipiani.

Nino Tatishvili – Kipiani was a member of the board of Society for the Spreading of Literacy Among Georgians. She established the society, Imedi (Hope). The source of income of this association was a canteen and this income was spent on assisting the Georgian theatre and students. To strengthen the Ilia Chavchavadze foundation, she spearheaded the establishment of the women's commission in 1907, which pursued the aim of assisting the Georgian youth to obtain higher education. This commission was set up after the pattern of Matitsa, the Czech society for spreading literacy.

Nino Tatishvili – Kipiani regularly published her letters in the Georgian press. She cooperated with the edition Nakaduli. In 1914, Nino Tatishvili – Kipiani, along with Ekaterine Gabashvili, Anastasia Tumanishvili and Gandegili traveled to Adjara and then dedicated a number of letters to living conditions of Muslim women and the need to educate them.

Nino Tatishvili – Kipiani translated children's stories from French into Georgia. She translated a famous historical novel "Spartacus" and a short story by I. Franko.

In 1923, Nino Tatishvili – Kipiani gave the Kvishkhethi palace to the Union of Writers.

ნინო ყიფიანი. „რა დავაშავეთ?“

გაზეთი „საპარტვილო“ #55, 10 მარტი, 1916

„ჩემს წინ გადაშლილია გაზეთები, სადაც ჩვენი ძვირფასი სტუმრების, აჭარლების პატივსაცემლად გამართული ზეიმი ისეთის ზე-აღმტაცი გრძნობებითაა მოთხრობილი, რომ უნებურად მომეწურა გული შურით და უნებურადვე ამომხდა გულის სიღრმიდან ეს მწარე კითხვა. და განა რა დავაშავეთ ჩვენ, ქალებმა, მათ წინაშე, ვინც თავს იღო ამ ზეიმის მოწყობა, რომ მოგვაკლეს ბედნიერება ისეთი ტკბილი გრძნობების განცდისა?!..

სად და როგორ უნდა გამოიჩინოს ქალმა თავისი ზნეობრივი, თუ გონებრივი ძალა, ნიჭი და უნარი საზოგადო მოქმედებისა?..

კარგად იცით რომ ასპარეზი ანვითარებს ყოველ ბუნებრივ ნიჭსა და ჰქმნის მოღვაწე ადამიანსა. და სად ჰპოვოს ქართველმა ქალმა ეს ასპარეზი?

ჩვენში ბევრჯერ უთქვამთ, რომ ქართველ ქალს არა სჭირდება ემანსიპაციისათვის ბრძოლა, ის ყოველთვის ყოფილა მამაკაცის მხარში ამომდგარი და ეხლაც არისო.

რა ცრუ არის ესეთი შეხედულება! აბა მითხარით ერთი, სად არის ქალი საზოგადო შრომაში გვერდში მდგარი მამაკაცთან? გადაავლეთ თვალი ჩვენს კულტურულ დაწესებულებათ. რიცხვით საკმარისად ბევრია. და ყოველ მათგანში საქმის მმართველად ზოგან 7 და 12 კაცში ჭაჭანება არ არის ქალებისა თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგს გამგეობასთან დროებით დაარსებულ კომისიებს ნივთიერი მხრის საზრუნავად, ე.ი. ისევე ბილეთების გასაყიდათ! და მაშ სად უნდა იყოს მოქმედება ქალისა, მომზადება და წრთვნა მისი ისეთი დიდი როლისათვის მომავალში? პიესაში ხომ ვერ დაიწყებს ციბრუტივით ტრიალსა და ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე კი ამ დაწესებულების კედელთ შორის მუშავდება და სრულდება და ნეტა თუ სჯერა ვისმე, რომ ამ დაწესებულების გამგეობათა იმოდენ მამაკაცებში ისეთი არავინ ურევია, ბევრით რომ ჩამოუვარდება, ბევრი ქალს საქმის სიყვარულსა, ცოდნასა, თუ მუშაობაში! ან რა უყოთ, რომ შედარებით ზოგი მათგანი სუსტიც იყოს? მამაკაცებთან ერთად შრომა საზოგადო საქმეებში ერთგვარი შკოლა მაინც იქნება მისი ეროვნული სულის განმტკიცებისა, ეროვნული მოვალეობის შეგნებისთვის...“

NINO TATISHVILI-KIPIANI. "WHAT HAVE WE DONE WRONG?"
THE NEWSPAPER *SAKARTVELO*, ISSUE #55, 10 MARCH, 1916

"There are newspapers spread in front of me, recounting the festival conducted to honor our dear guests, Adjarians. The recount is so colorful and emotional that it unintentionally filled my heart with jealousy and gave rise to a question deep from my heart: have we, women, done anything wrong to those who organized that festival that they deprived us of an opportunity to attend the festival and experience those emotions too?

"Where and how should women show their moral or mental power, their talent and capacity of conducting public activity?

"You know full well that the public arena help any natural gift develop and any person form into a public figure. But is this arena available for women?

"We can repeatedly hear people saying here that Georgian women do not need to fight for emancipation because they have always been equal to men and remain to be such.

"It is a wrong opinion! Can anyone name me women conducting public activity on equal footing with men? Take a look at our cultural entities. They are many in numbers. One cannot find even a single woman among the management of these entities, comprising of seven or twelve men, save in commissions which are established at the board with women employed to ensure the material side of the activity – to sell tickets! Where should women act? Where should be they trained and educated for performing such a great role? Should they do that in a play on a stage? All our public work is developed and performed within the walls of this entity alone and I think no one would believe that among the numerous men in the boards of this entity there is not a single male who is inferior to women by their knowledge, their ability to care or work?! The conduct of public work along with men would at least be a sort of schooling for women for strengthening their national spirit, realizing their commitment to the nation."

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა- მახვილაძე

ELEONORA
TER-PARSEGOVA-
MAKHVILADZE



საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

1875-1939

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა, რომელიც 1902 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი იყო, პირველად 1908 წელს დააპატიმრეს. დაპატიმრების მიზეზი 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტაციის შემდეგ იმ ჯგუფის წევრობა იყო, რომელმაც 1906 წელს სოხუმში მმართველობა რამდენიმე კვირით აიღო და მეფის ხელისუფლების სტრუქტურები ჩაანაცვლა. ჯგუფმა სახელისუფლებო სტრუქტურების პარალიზება გამოიწვია, ქალაქი დაიკავა და რამდენიმე კვირის განმავლობაში ინარჩუნებდა მმართველობას.

1918 წელს სოციალ-დემოკრატთა სიით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრების წევრად აირჩიეს. გაწევრიანებული იყო ჯანმრთელობისა და შრომის კომისიებში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან ანტი-საბჭოთა მოძრაობაში ჩაერთო. 1925 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცეკას წევრად აირჩიეს. 1926 წელს კი დააპატიმრეს და საქართველოდან გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა.

Eleonora Ter-Parsegova, who was a member of Socialist-Democratic Party of Georgia since 1902, was first arrested in 1908. The reason of arrest was her joining, after the manifestation on 17 October 1905, that group which took the reigns of administration in Sokhumi for several weeks in 1906, thereby replacing the bodies of the Tsarist government. This group paralyzed the public bodies, occupied the city and ran the city during several weeks.

In 1918, Eleonora Ter-Parsegova was elected as a member of the National Assembly of the Democratic Republic of Georgia from the Social-Democratic Party. She worked on the healthcare and labor commissions.

Since 1921, after the Sovietization of Georgia, Eleonora Ter-Parsegova engaged in anti-Soviet movement. In 1925, she was elected as a member of illegal central committee of Social-Democratic Labor Party of Georgia. In 1926, she was arrested and sent to exile. After returning from exile, she conducted a pedagogic activity.

სახალხო კალენდარი, 1920

„საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა:
სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან არჩეულ იქნენ:
...ტერ-პარსეგოვა-მახვილაძისა ელიეონორა მიხეილის ასული...
ტორეშელიძე მინადორა ეფრემის ასული... შარაშიძე ქრისტინე
გიგოს ასული... ბოლქვაძე ელისაბედ (ლიზა) იოსების ასული...“

SAKHALKHO KALENDARI, 1920

“The composition of the Georgian parliament:
“Electees from Social-Democratic Party are:
“Eleonora Ter-Parsegova-Makhviladze... Mi-
nadora Toroshelidze... Christine Sharashidze...
Elisabed (Liza) Bolkvadze....”



მარჯორი
უორდროპი
MARJORY
WARDROP

1869-1909

მწერალი, მთარგმნელი
WRITER, TRANSLATOR

ევროპაში ქართული კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში ინგლისელმა მწერალმა მარჯორი უორდროპმა და მისმა ძმამ, ინგლისელმა დიპლომატმა ოლივერ უორდროპმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

მარჯორის ინტერესი საქართველოს მიმართ ძმის, ოლივერის საქართველოში მოგზაურობის შესახებ გამოცემულმა წიგნმა „საქართველოს სამეფო“ განაპირობა. მან ქართული ენის შესწავლა ინგლისშივე დაიწყო. 1894 წელს კი პირველად ეწვია საქართველოს, სადაც ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა.

ქართული ენა მისთვის მეორე მშობლიური ენა გახდა. თარგმნა და გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები, ცხოვრება წმინდა ნინოსი, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. 10 წლის განმავლობაში თარგმნიდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“.

მარჯორი უორდროპის პირადი ბიბლიოთეკის საფუძველზე, ოქსფორდში მისი სახელობის ქართული ფონდი შეიქმნა.

A British writer Marjory Wardrop and her brother, a British diplomat Oliver Wardrop, significantly contributed to popularization of Georgian culture and literature in Europe.

Marjory Wardrop developed interest towards Georgia after the publication of his brother's book "The Kingdom of Georgia." She started learning Georgian language in England. In 1894, Marjory Wardrop visited Georgia for the first time and established close ties with Georgian writers and public figures.

The Georgian language became her second native language. Marjory Wardrop translated and published Georgian folk tales, the life of Saint Nino, Ilia Chavchavadze's poem "Hermit," Sulkhan-Saba Orbeliani's collection of fables "Wisdom of Fancy." During ten years she worked on the translation of Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin."

On the basis of her personal library, the Marjory Wardrop Georgian Fund was created at Oxford University.

გაზეთი „კვალი“ #30, 14 ივლისი, 1896

„სიღნაღი: ამ თვის 9-ს სიღნაღიდან ტფილისში გაემგზავრა ქ-ნი უორდროპი, რომელმაც სიღნაღის მახლობელ მინდორში, ერთ მუხის ქვეშ შეკრიბა ახლო-მახლობელ ყანებიდან ქართველი მუშა-მომკვლეები, გადიღო ფოტოგრაფიული აპარატით მათი სურათი, დაპატიჟა მუშები პურ-ღვინოზე, უთხრა რამდენიმე ძმური სიტყვა და დაასაჩუქრა ფულითაც. მუშებმა რომ გაიგეს ქ-ნ უორდროპის ვინაობა, გმირულ ხმაზე უმღერეს მუშური და ალტაცებული გაუმარჯოს ძახილით და ქუდების ქნევით გააცილეს ძვირფასი სტუმრები“.

THE NEWSPAPER *KVALI*, ISSUE #30, 14 JULY, 1894

“On the ninth day of this month, Ms. Wardrop left Signaghi for Tbilisi. She gathered workers in nearby fields under an oak tree in a field near Signaghi to take a photo of them and treated them with dinner. She told them friendly words and gave money too. When the workers learned the identity of Ms. Wardrop, they sang her a song of workers and saw respected guests off with exclamations, tossing their hats in the air.”

გაზეთი „მომავალი“ #84, 6 დეკემბერი, 1909

„საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა“ ამბობდა განსვენებული. ის გულმოდგინეთ სწავლობდა ქართულ ლიტერატურას და სთარგმნიდა საუკეთესო ნაწარმოებებს... აცნობდა ინგლისელებს ქართველების ცხოვრებას, აწმყოს და წარსულ ზნე-ჩვეულება-ხასიათს, ჩვენებურ ბუნებას და სხვა. ამ 14 წლის განმავლობაში ის მუდამ იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. წლის დასაწყისში შვიდ თუმანს ყოველთვის უგზავნიდა წერა-კითხ. საზოგადოებას ჟურნალ გაზეთებ წიგნებისათვის. („დრ.“)

THE NEWSPAPER *MOMAVALI*, ISSUE #84, 6 DECEMBER, 1909

“The late Marjory Wardrop used to say that Georgia is her second homeland. She diligently studied Georgian literature and translated best Georgian literary works... She acquainted British people with the life of Georgians, their past and present traditions, customs and character, et cetera. During these 14 years, she continuously subscribed for Georgian newspapers and magazines. At the beginning of every year, she sent seventy rubles to the Society for Spreading Literacy for newspapers, magazines and books.”



ეკატერინე ფორაკიშვილი- სარაჯიშვილი

EKATERINE
PORAKISHVILI-
SARAJISHVILI

1861-1911

მეცენატი, საზოგადო მოღვაწე
PHILANTHROPIST, PUBLIC FIGURE

ეკატერინე ფორაკიშვილი-სარაჯიშვილი ქართული მწიგნობრობის მოყვარულ, განათლებულ ქალბატონად ითვლებოდა. მან ადრეულ ასაკშივე შეისწავლა უცხო ენები.

ცნობილ მეცენატ, ქართული კონიაკის წარმოების დამფუძნებელ, დავით სარაჯიშვილზე დაქორწინების შემდეგ, ის მეუღლესთან ერთად ქართული კულტურის პოპულარიზაციასა და საგანმანათლებლო მოძრაობაში აქტიურად იყო ჩართული. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი თავად განაგრძობდა საქველმოქმედო საქმიანობას. მან წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატული, ეთნოგრაფიული და სხვა საზოგადოებებისა და სასწავლო და კულტურული დაწესებულებებისთვის ანდერძის სახით სოლიდური თანხები გაიღო.

Ekaterine Porakishvili – Sarajishvili was regarded as a lover of Georgian literature and educated woman. She learned foreign languages in her early years.

After marrying a famous philanthropist, founder of the production of Georgian cognac, Davit Sarajishvili, she, with her husband, actively engaged in the promotion of Georgian culture and educational movement. After the death of husband, Ekaterine Porakishvili – Sarajishvili continued charity activities herself. She bequeathed significant amounts of money to the Society for Spreading Literacy Among Georgians, dramatic, ethnographic and other societies as well educational and cultural entities.

გაზეთი „საქართველო“ #178, 11 აგვისტო, 1916

„ასეთ ადამიანთ რიცხვი ყველა ოჯახისათვის ბურჯად ითვლება, იგი დიდება არის და ჭეშმარიტი ნიშან წყალი იმ ფილოსოფიურის ლაღადების, რომელთა ძალითაც მოისმის მეუხარედ, რომ მდებრობითი სქესიც იმავე ღირსების არის და იმავე თანასწორობის, რისაც მამაკაცები არიანო...“

ეკატერინე ივანეს ასული ქართული მწიგნობრობის მოყვარე იყო და როგორც განათლებული პირი, დიდი პატივის მცემელი მწიგნობრობისა, შესანიშნავის ქართველის ნაწერების და მწერლების; ეს ადამიანი ქმართან ერთად სწევდა საერთო უღელს და რასაც დავით ზაქარიას ძე ემსახურებოდა, ადიდებდა და პატივს სცემდა, იმასვე ეს მანდილოსანიც ფაქიზად ასრულებდა.“

THE NEWSPAPER SAKARTVELO,
ISSUE #178, 11 AUGUST, 1916

“Such people are regarded as a pillar by every family. She is a proof and genuine expression of that philosophical teaching that women are full of dignity and equal to men...”

“Ekaterine Porakishvili-Sarajishvili was fond of Georgian literature and as an educated person, she respected literature, works of Georgian writers and writers themselves. This person, together with her husband, served a common cause and she accurately performed that task which Davit Saeajishvili praised and respected.”

ნინო (ჟიპო) ჰიქოძე-შარაშიძე NINO (ZHIPO) KIKODZE-SHARASHIDZE

პედაგოგი
PEDAGOGUE

პ-1912



შურნალი „განათლება“ #1, იანვარი, 1912

„განსვენებული ეკუთვნის ჩვენებურ მასწავლებელ-ქალთა იმ ჯგუფს, რომელთაც დაიწეს მოღვაწეობა მე-80 წლებში... ის დაიბადა გურიაში, სოფ. ნიგოითში თავის მამის, ივანე ნიკოლაიშვილის ღარიბ ოჯახში...

70-იან წლებში ანნა მუსხელაშვილისამ დაარსა ახალციხეში, ძველ ქალაქში, იქაურ ქართველ კათოლიკეთა უბანში, ქალთა უფასო სკოლა.

როგორც კი შეიტყო ანნამ (ანუ როგორც მას ყველა ეძახოდა ანნეტამ) თავისი კარგი მეგობრის, გერასიმე კალანდარიშვილის გარდაცვალება, მაშინვე მასწავლებლათ მიიწვია თავის სკოლაში გერასიმეს ქვრივი, მაშინდელი პატრონი პატარა ჟიფოსი. ამ გარემოების წყალობით ჟიფო მოხვდა „ანნეტას სკოლაში“... ის შეიქნა საუკეთესო და ყველასათვის საყვარელი მოსწავლე. ჟიფოს ნატვრასა და ოცნებას იმ დროში შეადგენდა რამე ნაირათ საშუალო სასწავლებელში მოხვედრა...

ის იყო პირველი გურული ქალი, რომელსაც ეღირსა საშუალო სწავლის მიღება. ამ დროს ჟიფო ოცნებობდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას და შემდეგ მასწავლებლად წასვლას. მაგრამ ნივთიერმა უსაღსრობამ შეუძლებელი გახადა მისი ნატვრის ასრულება და ჟიფომ იმ თავიდანვე აირჩია მასწავლებლობის ასპარეზი...

ერთი ყოფილი მოსწავლე განსვენებულისა ამ ნაირათ ახასიათებს კერძო წერილში თავის საყვარელ აღმზრდელს: „ჟიფო იშვიათი ადამიანი იყო! ასეთი ადამიანი განსაკუთრებით ძვირფასია ქართველ ქალთა შორის, იმ უფერულობის, უინიციატივობის და პასიურობის ფონზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენი დროის ქართველ ქალებს ახასიათებს.“

GANATLEBA MAGAZINE, ISSUE #1, JANUARY 1912

“The late Nino Kikodze-Sharashidze belonged to that group of female teachers who started their activity in the 1880s... She was born into a poor family of Ivane Nikolaishvili in the village of Nigoiti, in Guria.

“In the 1870s, Anna Muskhelashvili opened a free school for women in the old district of Akhaltsikhe, for local Georgian Catholics.

“Once Anna Muskhelashvili learned about the death of her good friend, Gerasime Kalandarishvili, she instantly invited Gerasime’s widow, the guardian of small Zhipo, to the school as a teacher. That is how Zhipo came to get in Anna’s school... She became the best student and a favorite of everyone. The desire and dream of Zhipo back then was to get to a secondary educational institution.

“Nino (Zhipo) Kikodze-Sharashidze was the first woman from Guria who obtained the secondary education. At that time, Zhipo dreamt of obtaining higher education and thereafter, working as a teacher. But lack of funds made it impossible to realize and Zhipo took up teaching outright...

“In her private letter, a former student of the late Nino (Zhipo) Kikodze-Sharashidze described her teacher as follows: ‘Zhipo was an exceptional person! Such person is especially valuable among Georgian women given the lack of initiative and the passivity which, unfortunately, is characteristic of Georgian women of our times...’



ანა ლოღობერიძე- მუსხელიშვილი

ANNA GGOBERIDZE-
MUSKHELISHVILI

1842-1890

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

ანა ლოღობერიძემ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი დაამთავრა.

Anna Gogoberidze graduated from St. Nino's educational institution for women.

1870 წელს დააფუძნა „ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის მიზანსაც ახალციხეში ქართველი ქალებისთვის უფასო სასწავლებლის გახსნა, ასევე მათთვის ხელსაქმის სწავლება წარმოადგენდა. თავდაპირველად პედაგოგიურ საქმიანობას თავადაც ეწეოდა. ახალციხის ქალთა უფასო სკოლის დაფუძნებას, სადაც ძირითადად შეჭირვებულები სწავლობდნენ, იაკობ გოგებაშვილმა „ცისკრის ამოსვლა“ უწოდა.

In 1870, Anna Gogoberidze-Muskhelashvili established the Charity Association of Akhaltsikhe designed to provide free education to women of Akhaltsikhe and to teach them vocation too. Initially, she herself engaged in pedagogic activity. The free school for women in Akhaltsikhe, which mainly provided education to poor women, was hailed as the “brightest star” by Iakob Gogebashvili.

იგი ქუთაისში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაწყებითი სკოლის დასაარსებლად შექმნილ საზედამხებდევლო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. 1885 წელს კი ახალციხეში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების დაარსებაში მონაწილეობდა.

Anna Gogoberidze-Muskhelashvili led a supervisory committee which was set up by the Society for the Spreading of Literacy Among Georgians for the aim of founding a primary school in Kutaisi. In 1885, she participated in establishing the Akhaltsikhe unit of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians.

„სულ ოც-და-ხუთი წლისა იქნებოდა, რომ ამან განიძრა ახალციხეში დაეარსებინა პირველ დაწყებითი დედათა სკოლა და თავის განძრახვა ასრულა კიდეც, მერე იმისთანა მიყრუებულ ქალაქში, როგორც არის ახალციხე. ჯერ მამაკაცისთვის საზოგადო მოღვაწეობა რა ეკლით არის მოფენილი, რომ მოღვაწე ქალისთვის რა იქნებოდა. ახალციხის დედათა სკოლა თუ არსებობს აქამდის, სულ მისი მეცადინეობით და მისი გულმოდგინე შრომით არის და ეს სკოლა ისეთს ზნეობითს საფუძველზეა დაარსებული, რომ იქედან ბევრი მშრომელი მამულის შვილები გამოსულა და ახლაც ამ გვარი სკოლების გამართვა სანატრელია...

სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის თავმჯდომარეთ იყო ამორჩეული და გულმოდგინეთ შეუდგა ღარიბი მოსწავლეების ცხოვრების გაუმჯობესებას. იმის სახლში კერავდნენ ყმაწვილებისთვის ტანისამოსს, მისივე თაოსნობით იმართებოდა საქველ-მოქმედოთ წარმოდგენები. იმ დროს დაარსდა ქუთაისში საქველ-მოქმედო საზოგადოება ეპისკოპოსი გაბრიელის თაოსნობით, რომლის თავმჯდომარეთ კიდეც ეს ქალი იყო ამორჩეული.

საცა კი წავიდოდა ანნა მუსხელაშვილისა, რაც უნდა პატარა კუნჭულში მოხდომოდა ამას ცხოვრება, იგი ყველგან ჰყენდა ნათელს, შეჰქონდა კაცობრიობის სიყვარული და თავის გონივრული გავლენებით მბადვლებს პოულობდა.

ისე არ დაარსდებოდა რაიმე საზოგადოება, ისე არ დაიბეჭდებოდა რაიმე წიგნი, რომ ამას თანაგრძნობა არ გამოეცხადებინა, შემწეობა სიტყვით თუ საქმით არ აღმოეჩინა. პირველად ამისგან იყო მიღებული თანაგრძნობის წერილი შესახებ ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოსვლისა...”

THE NEWSPAPER KVALI, ISSUE #27, 4 JULY, 1893

“She was just 25 years old when she developed an intention to establish the first primary school for women and realized this intention in such a remote city as Akhaltsikhe. When the public activity of men is full of difficulties, imagine what it would take a woman to do that. If the Akhaltsikhe women's school still exists, it is entirely owing to her efforts and tireless work. This school was built upon such moral basis that it raised many hard working compatriots and it is still desirable to have such schools established.

“She was elected the chair of committee of the school for nobility and she started to improve the life of poor students with great zeal. Clothes were made for these youth in her house; charity performances were also organized by her. At those times, a charity association was established in Kutaisi upon the initiative of Episcopo Gabriel and this woman was elected the chair of this association.

“No matter where she was and how remote a settlement she had to live in, Anna Muskhelashvili brought there enlightenment, love for mankind and always found followers thanks to her reasonable influence.

“No society would be found or book would be published without her expressing sympathy, providing assistance in words or by deeds. She was the first who expressed support with a letter of sympathy the Jejili magazine when it was published.”



ბარბარე ყიფიანი

BARBARE KIPIANI

1879-1965

ფსიქო-ფიზიოლოგი,
საზოგადო მოღვაწე
PSYCHO-PHYSIOLOGIST,
PUBLIC FIGURE

ქართველი საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, ბარბარე ყიფიანი პირველი ქართველი ფსიქო-ფიზიოლოგი ქალი იყო, რომელიც ევროპაში მოღვაწეობდა. მის ნაშრომებს ბავშვთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებზე მინიჭებული აქვს ოქროს მედლის პრემიები.

1899 წელს დაამთავრა თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელი, ხოლო 1901 წლიდან ბრიუსელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, სადაც ქართულ და რუსულ სიტყვიერებაში ლექსებსაც კითხულობდა. 1908 წლიდან ბრიუსელის უნივერსიტეტის ჟურნალ “Revue Psychologique”-ის სწავლული მდივანი გახდა.

1910 წელს მისი ინიციატივით, ბრიუსელის საერთაშორისო მუზეუმში ქართული განყოფილება დაარსდა.

ჩაბმული იყო აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქართული კულტურის ექსპონატების დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში მისი წვლილი განსაკუთრებულია. მეურვეობდა ს. დადიანისა და ა. მიურათის ოჯახის ქონებასა და არქივს, რომელიც შემდეგ იტალიაში მოღვაწე ქართველ კათოლიკე ბერს, მიქაელ თარხნიშვილს გადასცა.

ბარბარე ყიფიანის საქართველოში დაბრუნება ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, იძულებული გახდა კვლავ საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო.

Barbare Kipiani, a granddaughter of Georgian public figure Dimitri Kipiani, was the first woman psycho-physiologist who worked in Europe. Her scientific papers on issues of children's physiology and pathology were awarded golden prizes.

In 1899, Barbare Kipiani graduated from St. Nino's educational institution and in 1901 started studying at the medical faculty of the Brussels University. She delivered lectures on Georgian and Russian languages at the Brussels University. From 1908, she was a scientific secretary of the Brussels University's magazine, Revue Psychologique.

Upon the initiative of Barbare Kipiani, in 1910, a Georgian department was established in the international museum of Brussels.

Barbare Kipiani was actively engaged in public activities. Her contribution to the protection and promotion of exhibits of Georgian culture is exceptional. She was a guardian of family property and archive of Salome Dadiani and Achille Murat, which she handed over to a Georgian Catholic monk, Michael Tarkhnishvili, who worked in Italy.

Barbare Kipiani's return to homeland proved to be short because after the Sovietization of Georgian in 1921, she was forced to leave the country again.

ბარბარე ყიფიანის მიმართვა ქართულ საზოგადოებას, ბრიუსელის საერთაშორისო
მუზეუმში ქართული განყოფილების დაარსებასთან დაკავშირებით
ბრიუსელი, 1910

„ბრიუსელში 1910წ. მაისის 9, 10 და 11-ს შემდგარმა საერთაშორისო ასოციაციამ მსოფლიო კონგრეს-
მა დაადგინა, ისეთი მუზეუმის დაარსოს, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ერთა გონებრივი-
სა და ტექნიკის წარმატების რეზულტატი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში...

ყოველს ქვეყანას და ეროვნებას განსაკუთრებული დარბაზი აქვთ დათმობილი, სხვათა შორის, ქარ-
თველთაც. ეს პირველათაა, რომ საქართველოს შემთხვევა ეძლევა ევროპას დაანახვოს თავისი გო-
ნებრივი და ტექნიკის წარმატების რეზულტატი და ამ მხრით ცხადყოს, რომ ისიც საკუთარი ცხოვრე-
ბით ცხოვრობს.

ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც ამჟამად საქართველო იმყოფება, იმის მიზეზი გახლავთ,
რომ მას თავი ვერ გამოუჩენია საერთაშორისო ცხოვრებაში. ამ მხრით ქართულ განყოფილებას მუ-
ზეუმის სხვა განყოფილებებთან შედარებით ცოტა არ იყოს, განსაკუთრებული ხასიათი ექნება...

რომ საერთაშორისო მუზეუმში ქართულ განყოფილებას მუზეუმში ექნება, ეს ეჭვგარეშეა, ვინაიდან
იგი დასავლეთ ევროპას ხელს შეუწყობს მის დაახლოება-გაცნობაში. მაგრამ რომ ეს განყოფილება
მოეწყოს, ამისთვის საჭიროა თვით ქართველი ხალხის თანაგრძნობაც.“

საერთაშორისო მუზეუმის ქართული განყოფილება ბრიუსელში
თავმჯდომარე ბარბარე ყიფიანის ასული

BARBARE KIPIANI'S ADDRESS TO GEORGIAN SOCIETY REGARDING THE ESTABLISHMENT OF
GEORGIAN DEPARTMENT IN INTERNATIONAL MUSEUM OF BRUSSELS
BRUSSELS, 1910

“The world congress of international associations held in Brussels on 9, 10 and 11 May 1910, took a de-
cision to establish such a museum which will display results of mental and technical achievements of
various nations in the sphere of international relations.

“Each country and nation, including Georgians, is allocated a separate hall. This is for the first time ever
that Georgia is provided an opportunity to introduce results of its mental and technical achievements to
Europe and thus prove that it also has its own life.

“Those special conditions in which Georgia lives now, result from the fact that the country failed to show
itself in the international life. In this regard, the Georgian department, compared to other departments of
the museum, will be of somewhat distinguished nature.

“There is no doubt that the Georgian department will be a museum within the international museum,
because it will facilitate Europe to acquaint itself with Georgia. But in order to have this department
established, the compassion from Georgian people is required too.”

The department of Georgia in the International Museum in Brussels



ელენე ყიფიანი- ლორთქიფანიძე ELENE KIPANI- LORTKIPANIDZE

1855-1890

მთარგმნელი, მსახიობი,
საზოგადო მოღვაწე
TRANSLATOR, ACTRESS,
PUBLIC FIGURE

დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი, ელენე მთარგმნელობითი, სამსახიობო, საგამომცემლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით იყო გამორჩეული.

ფრანგულიდან თარგმნა ჰიუგო, მოლიერი. ტასო წერეთელთან ერთად ლიტერატორ ქალთა წრე ჩამოაყალიბა. მისი ინიციატივით, ქალთა ჯგუფმა გამოსცა კრებული „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა“. ქუთაისში დააფუძნა ალმანახი „ქართული ბიბლიოთეკა“, რომლის ავტორები თავად ელენე, ეკატერინე გაბაშვილი და ეკატერინე მელიქიშვილი იყვნენ.

იყო თბილისის თეატრალური დასის ერთ-ერთი შემქმნელი და მისი მუდმივი წევრი, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

Elene Kipiani, a daughter of public figure Dimitri Kipiani, was distinguished for her activities as a translator, actress, publisher and public figure.

Elene Kipiani translated literary works of Hugo and Moliere from French. Along with Taso Tsereteli, she established a circle of women writers. Upon her initiative, a group of women published a collection of literary works, "Translation of Pleasant Literary Works." Elene Kipiani founded an almanac, Georgian Library, in Kutaisi. Authors of materials published in this almanac were Elene Kipiani herself along with Ekaterine Gabashvili and Ekaterine Melikishvili.

Elene Kipiani was one of the founders and a permanent member of Tbilisi theatre crew. She also chaired a committee of poor students of the Kutaisi school of nobility.

გაზეთი „ივერია“ #251, 25 ნოემბერი, 1890

„ვის არ გაუგონია დიმიტრი ყიფიანის სახელთან სახელი იმის საყვარელის ქალის ელენესიც, რომელნიც ერთად მოღვაწეობდნენ ჩვენის თეატრის აღსადგენად, ჩვენის ღარიბის ლიტერატურისა და მწერლობის გასამდიდრებლად. ჩვენის წიგნისა და წერა-კითხვის გასავრცელებლად?..“

გაზეთი „ივერია“ #253, 28 ნოემბერი, 1890

გათხოვებამდე უსასყიდლოდ ასწავლიდა სოფლის გასათხოვარ ქალებს წერა-კითხვას სოფელს ქვიშხეთში. დღეს თითქმის ყველა სააბაშიოს სოფელში მოიპოვება ქვიშხეთიდან გათხოვებული ქალები, რომლებმაც წერა-კითხვა განსვენებულ ელენე დიმიტრის ასულისაგან ისწავლეს“...

გაზეთი „კვალი“ #45, 30 ოქტომბერი, 1894

„ელენე პირველი იყო, რომელიც გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე და თეატრი ფეხზე დააყენა თავისი მუდმივი ნიჭიერი თამაშობით და გულითადი თანაგრძნობით. მისი ენერგიული მეცადინეობით შედგა 1873 წ. თბილისში სათეატრო მოთამაშეთა დასი, მანვე შეადგინა პატარა წრე ქალებისა, რომელთაც აზრათ ჰქონდათ გამოცემა ნათარგმნებისა, რომ ქართველი საზოგადოება შეჩვეულიყო კითხვას. პირველი წიგნი დაიბეჭდა ელენეს თაოსნობით 1874 წელს...“

სხვათა შორის ქართულ გალობასაც ყურადღებას აქცევდა და ცდილობდა ჩვენი ხმები ფორტოპიანოზე გადაედო! ის ყოველი სწავლის მსურველთათვის გზის მაჩვენებელი და წამხალისებელი იყო, მისგან ფულის მოგროვება, თეატრის გამართვა ღარიბ მოსწავლეთათვის თითქმის მუდმივი მოვლენა იყო. ელენე დიმიტრის ასული სიკვდილამდის იყო თავმჯდომარეთ ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტისა.“

THE NEWSPAPER IVERIA, ISSUE #251, 25 NOVEMBER, 1890

“There is hardly anyone who, along with the name of Dimitri Kipiani, has not heard the name of his favorite daughter, Elene. They jointly worked for the revival of our theater, for the enrichment of our poor literature, for the spreading of our books and the literacy.”

THE NEWSPAPER IVERIA, ISSUE #253, 28 NOVEMBER, 1890

“Before getting married, Elene Kipiani taught young village women for free to read and write in the village of Kvishkheti. Today, in almost every village in Saabashio, one can find women who were taught literacy by the late Elene Kipiani.”

THE NEWSPAPER KVALI, ISSUE #45, 30 OCTOBER, 1894

“Elene Kipiani was the first who stepped onto the public arena and revived the theatre with her talented performance and generous compassion. Owing to her tireless efforts, the crew of Tbilisi theatre was established in 1873. She also set up a small circle of women who published translations in order to have Georgians get used to reading books. The first book was published under Elene’s leadership in 1874.”

“By the way, Elene Kipiani paid attention to Georgian chorals and tried to write them down for piano! She always pointed the road to those willing to learn and encouraged them. Collecting money for charity, conducting performances for poor pupils was her almost daily activity. Elene Kipiani chaired the committee of poor students of the Kutaisi school of nobility till her death.”



ნინო (ნინუტსა)
ყიფიანი
NINO (NINUTSA)
KIPIANI

1877-1920s

იურიტი, საზოგადო მოღვაწე
LAWYER, PUBLIC FIGURE

დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, ნინო (ნინუტსა) ყიფიანი რუსეთის იმპერიიდან პირველი იურისტი ქალი იყო, რომელმაც ბრიუსელში იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. მუშაობდა რეფერანტად იტალიის, ბელგიის საელჩოს წარმომადგენლობაში.

ჩართული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამ თემას არაერთი წერილი მიუძღვნა. 1907 წელს მეფის მთავრობამ მას რუსეთის იმპერიაში ყოფნა აუკრძალა, რის შემდეგაც ის საცხოვრებლად ჯერ ბრიუსელში მამასთან, ნიკო ყიფიანთან, შემდეგ კი იტალიაში გადავიდა.

მკვლევარი თამაზ ჯოლოგუა გამოთქვამს ვარაუდს, რომ 1904 წლის აპრილში ჟენევის პირველ ინტერპარტიულ კონფერენციაზე სეპარატიზმის შესახებ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გულისხმობდა, „ტეზრელის“ ფსევდონიმით წარდგენილი მოხსენების ავტორი სწორედ ნინო ნიკოლოზის ასული ყიფიანი იყო. მომხსენებელი, რომელიც კონფერენციაზე ვერ ჩავიდა, მონაწილეებს მოუწოდებდა, შეექმნათ სარევოლუციო კომიტეტი, რომელიც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას მოამზადებდა, სტრატეგიული გეგმის ფარგლებში კი რუსეთის იმპერიის სხვა ერებთან, განსაკუთრებით კი კავკასიის ხალხებთან, კავშირს დამყარებდა.

20-იანი წლების დასაწყისში იტალიიდან დაბრუნებული ნინო ჯერ თბილისში, შემდეგ კი ქვიშხეთში ცხოვრობდა. მძიმედ დაავადებული, მალე გარდაიცვალა და ის იქვე მცხოვრის აღდგომის ეკლესიის გალავანში დაკრძალეს.

Nino (Ninutsa) Kipiani, a granddaughter of Dimitri Kipiani, was the first woman lawyer from the Russian Empire, who graduated from the law school in Brussels. She was a desk officer in the embassies of Italy, Belgium.

Nino (Ninutsa) Kipiani was engaged in the liberation movement and dedicated a number of letters to this issue. In 1907, the Tsarist government prohibited her to stay in Russian Empire, after which she moved first to Brussels to live with her father Niko Kipiani, and then to Italy.

According to a hypothesis of a Georgian researcher, Nodar Jologua, Nino Kipiani was the author of a report which was presented under the penname of Tezreli at the first inter-party conference dedicated to separatism (which meant the fight for the independence of Georgia) held in Geneva in April 1904. The author who was unable to arrive at the conference, called on the conference to set up a revolutionary committee to prepared the ground for the fight for a political independence of Georgia whilst and the framework of a strategic plan, to establish ties with other nations of the Russian Empire, especially with the people of the Caucasus.

Having returned from Italy in early 1920s, Nino Kipiani first lived in Tbilisi and then in Kvishkheti. She died soon of grave illness and was buried nearby, in the yard of the Christ's Resurrection Church.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

(ნ. ყიფიანის ჩანაწერი სხვადასხვა პარტიების კონგრესის მოწვევის
აუცილებლობის შესახებ. საჰმე #34, უთარილო)

„ჩვენს, ეროვნულ წინსვლისთვის არის საჭირო პროგრამის შედგენა. ასეთ პროგრამის გა-
მორკვევა კონგრესის საშუალებით უნდა მოხდეს. კონგრესში უნდა მიიღონ მონაწილეობა
ყველა ერის, ყველა პარტიების წარმომადგენლებმა. ახლანდელ პირობებში კ' დიდ საჭი-
როებას შეადგენს. ამ ცოტა ხანში ვინ იცის, რა ცვლილება მოხდება, ჩვენ უნდა ვიყოთ მომ-
ზადებული და თუ ამ ცვლილებების დროს ვერაფერს უშველით ჩვენს თავს, მერე გვიანდა
იქნება...“

NATIONAL CENTER OF MANUSCRIPTS

(NINO KIPIANI ABOUT THE NEED TO CALL A CONGRESS OF VARIOUS PARTIES. CASE #34, WITHOUT DATE)

“Our national advancement requires the development of a program. Such a program must be designed through
a congress. The congress must be attended by representatives of all nations, all parties. The congress is a
necessity in current situation. No one knows what kind of changes will take place in the foreseeable future
and we must be ready for that and if we fail to help ourselves during these changes, it will be late to do that
thereafter...”

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

(ნ. ყიფიანის ჩანაწერი ელიზა რეკლიუსთან შეხვედრისა და საუბრის შესახებ.
საჰმე #34; უთარილო)

„მერე გვკითხავს: არის თუ არა შეგნებული თქვენს საზოგადოებაში საჭიროება ბრძოლისა
რუსეთის მთავრობასთან, რა განწყობილებაში არიან სხვადასხვა კლასები და რა მიმარ-
თულებას არიან პარტიები, რომელნიც მთავრობის წინააღმდეგნი არიან?

ჩვენც უპასუხეთ რო ახლა ჩვენს საზოგადოებაში თავად-აზნ. (უმ. ნაწ.) გლეხებიან, ყველას
აქვს შეგნებული ბრძოლის საჭიროება, მაგრამ რასაკვირველია ყოველი თავისი თავალით
უყურებს...“

NATIONAL CENTER OF MANUSCRIPTS (NINO KIPIANI ABOUT A MEETING AND CONVERSATION WITH ELIZE RECLUE. CASE #34, WITHOUT DATE)

“Then she asked: Does your nation realize the need to fight against the Russian govern-
ment? What are the attitudes of various social classes and what are the ideologies of
the parties that are against the government?

“We replied that our society now, including the nobility (majority) and peasants, have all
realized the need to fight, but, of course, everyone has their own visions...”



ქრისტინე (ჩიტო)
შარაშიძე

CHRISTINE (CHITO)
SHARASHIDZE

1889-1973

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

1905-1906 წლებში სწავლობდა ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიაში, რა დროსაც აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში. აკრძალული ლიტერატურისა და ხელნაწერი გაზეთების გავრცელების გამო, სკოლიდან გარიცხეს. აქტიურად იყო ჩართული თბილისში რევოლუციურ გამოსვლებში.

1919 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან საქართველოს დამფუძნებელ კრებაში აირჩიეს. იყო სახალხო განათლებისა და სარედაქციო კომისიების წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, 1922 წლის 25 თებერვალს, ქვეყნის გასაბჭოების წლისთავის პროტესტის ნიშნად, ჩიტო შარაშიძის თაოსნობითა და მისი მოსწავლეების მონაწილეობით, თბილისის მეათე პედაგოგიური ტექნიკუმი გაიფიცა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს, რეპრესიებში მისი ოჯახიც მოჰყვა.

ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

She engaged in a political activity when studying at St. Nino gymnasium in Kutaisi. Because of spreading illegal literature and handwritten newspapers, she was expelled from the school. Christine (Chito) Sharashidze was an active participant in revolutionary rallies staged in Tbilisi in 1905 and 1906.

In 1919, Christine (Chito) Sharashidze was elected a member in the National Assembly of Georgia from the Social-Democratic party. She was a member of the public education and editorial commissions. After the fall of the Democratic republic of Georgia, on one year's anniversary of the Sovietization of Georgia, 25 February 1922, the 10th pedagogical vocational institution, under the leadership of Chito Sharashidze and with the participation of students, went on strike in protests against the Sovietization of the country. After the Sovietization of Georgia, Christine (Chito) Sharashidze was arrested several times. Her family was also repressed.

Chito Sharashidze conducted a pedagogical and scientific activity.

შურნალი „თეატრი და ცხოვრება“, #1, 1914

THEATRE AND LIFE MAGAZINE, ISSUE #1, 1914

„ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძის ლექცია – „ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში“, რომელიც 2 მარტს, კვირა დილით, ქართულ თეატრში წაიკითხა, ფრიად შინაარსიანი გამოდგა და საზოგადოებაზე შთაბეჭდილება მოახდინა. სასურველია გამოიცეს.“

“A lecture titled “Georgian Women in New Georgian Prose,” delivered by Christine (Chito) Sharashidze at the Georgian theatre on Sunday morning, 2 March, proved quite interesting and impressed the audience. The publication of this lecture is recommended.”

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი

MARIAM
JAMBAKUR-ORBELIANI

საზოგადო მოღვაწე
PUBLIC FIGURE

1852-1941



აღიზარდა პოეტ ვახტანგ ორბელიანისა და ეკატერინე
ილინსკაიას ოჯახში.

იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების“ დამფუძნებელი და წევრი, მასწავლებელ
ქალთა საზოგადოების გამგეობის წევრი, სამუსიკო სკოლის
კომიტეტის წევრი.

1906 წელს მის მიერ მოზილიზებული სახსრებით
საქართველოში პირველი ქართული სკოლა გაიხსნა.
იყო „ტფილისის ბავშვებზე ზრუნვის საზოგადოების“
დამფუძნებელი. ეხმარებოდა საბავშვო ჟურნალებს –
„ჭიჭილა“ და „ნაკადულს“, აქტიურად იბრძოდა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთვის. 1918
წელს უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული დამხმარე
საზოგადოების წევრად აირჩიეს.

გაზეთი „ივერია“ #267, 9 დეკემბერი, 1900

„ქალაქის გამგეობას განუხილავს მასწავლებელ
ქალთა საურთიერო დამხმარებელ საზოგადო-
ების თავმჯდომარის კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორ-
ბელიანის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ
გამგეობამ ფულით შეემწეოს აღმოუჩინოს მო-
ხუცებულ და ავადმყოფ მასწავლებელ ქალთათ-
ვის თავ-შესაფარის ასაშენებლად. ქალაქის გამ-
გეობას ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია და 1000
მანეთი გადაუდვია ამ შენობის ასაგებად“.

Mariam Jambakur-Orbeliani was raised in the family of poet
Vakhtang Orbeliani and Ekaterina Ilianskaya.

She was a founder and member of the Society for Spreading
Literacy Among Georgians; a member of the board of women
teachers and a member of musical school committee.

In 1906, Mariam Jambakur-Orbeliani opened the first Georgian
school with monetary means collected by her. She was the
founder of the Association for Attending Tbilisi Children.
Mariam Jambakur-Orbeliani assisted children's magazines,
Jejili and Nakaduli; actively fought for the establishment of
Tbilisi State University. In 1918, she was elected as a member
of the supporting association established at the university.

THE NEWSPAPER /*IVERIA*, ISSUE #267,
9 DECEMBER, 1900

“The city council considered the motion of the chair of
society supporting relations of women teachers, Count-
ess M. V. Jambakur-Orbeliani, regarding the monetary
contribution by the council to the construction of a shel-
ter for elderly and diseased women teachers. The city
council upheld this motion and allocated 1,000 rubles for
the construction of this building.”

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აზიანი, ნატალია დონდაროვი, პიესები, პ/მგ. რედ.-რ. გვეტაძე ; წინასიტყვაობა კ. აბაშიძის. – [ტფ.] : ფედერაცია, 1936.
2. დაკარგული ისტორია – მესხიერება რეპრესირებული ქალების შესახებ. SOVLAB, თბილისი, 2012.
3. მთვარელიძე მურადი, „ყიფიანები“, თბილისი, 2008.
4. ნიჟარაძე მადონა, რუსაძე იზოლდა, „პოეტი ანტა კაპანაძე“, [რედ. გურამ გაბუნია]. – ქუთაისი : [აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა], 2009.
5. საყვარელიძე რ., „ქალთა პედაგოგიური განათლება მე-19 საუკუნის საქართველოში“, თბილისი 1958.
6. ხომერიკი ლელა, ჯავახიშვილი მანანა, „ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში“, თბილისი, 2005.
7. ჯოლოგუა თამაზი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, #3, 4 ოქტომბერი-27 იანვარი, 1995
8. ჭურულუაია ოთარ, „ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, სოხუმი, 1974 წ.
9. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, „50 ქალი საქართველოდან“, 2013.

ინტერნეტ პორტალები:

1. თენგიზ ვერულავა – Burusi. <http://burusi.wordpress.com/myworld/>
2. ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ვიკიპედია.

სამართმევლოს მონაცემთა ბაზაში დაცული აუდიო ხმები (CD დისკზე): SOUND RECORDINGS PRESERVED IN THE NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA (ATTACHED CD):

1. **ცაცა ამირეჯიბი, მსახიობი, 1889-1975**
„სიტყვა გ. ერისთავის გაყრის დადგმიდან 118 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე“, 14 იანვარი, 1968
Tsatsa Amirejibi, Actrees, 1889-1975
Speech by Tsatsa Amirejibi at 118 Anniversary of staging G. Eristavi's "Divorce", 14 January, 1968
2. **ვერიკო ანჯაფარიძე, მსახიობი, 1900-1987**
2.1. მოგონება ნატო ვაჩნაძეზე, 1973
2.2. მოგონება ელ. ჩერქეზიშვილზე, 1963
Veriko Anjaparidze, Actrees, 1900-1987
2.1. Remembrance of actress Nato Vachnadze, 1973
2.2. Remembrance of actress Elisabed Cherkezishvili, 1963
3. **ელენე ახვლედიანი, მხატვარი, 1901-1975**
საუბარი ვერიკო ანჯაფარიძეზე /რადიო გადაცემა – „შეხვედრა ვერიკო ანჯაფარიძესთან“, 12 აპრილი, 1967
Elene Akhvlediani, Painter, 1901-1975
Talks about Veriko Anjaparidze/ Radio program – "Meeting with Veriko Anjaparidze", 12 April, 1967
4. **ბელა ახმადულინა, რუსი პოეტი, 1937-2010**
გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მერი“, ბელა ახმადულინას თარგმნითა და შესრულებით [რუსულ ენაზე], 1976
Bela Akhmadulina, Poet, 1937-2010
Galaktion Tabidze's poem "Meri" translated and performed by Bela Akhmadulina [in Russian], 1976
5. **ლია ელიავა, მსახიობი, 1934-1998**
ქართული კინომატოგრაფიის განვითარება საქართველოში, 1958
Lia Eliava, Actrees, 1934-1998
Development of Cinematography in Georgia, 1958
6. **ნატო ვაჩნაძე, მსახიობი, 1904-1953**
საშობლოზე, 13 ივნისი, 1969
Nato Vachnadze, Actrees, 1904-1953
About homeland, 13 June, 1969
7. **ანა კალანდაძე, პოეტი, 1924-2008**
7.1. ლექსი „თქვი არაკაცილო ხვიარა“
7.2. ლექსი „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“, 7 მარტი, 1967
Ana Kalandadze, Poet, 1924-2008
7.1. Poem "Tell Arjakelo..."
7.2. Poem "I had the beautiful friend", 7 March, 1967
8. **გოგუტა კუპრაშვილი, მსახიობი, 1908-1990**
ა. წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში – მოგონება.
Gogutsa Kuprashvili, Actrees, 1908-1990
Remembrance of Akaki's travel in Ratcha-Lechkumi.
9. **ქეთევან ლომთათიძე, ენაშემცნიერი, 1911-2007**
„მისასალმებელი სიტყვა, ს. იაშვილის დაბ. 70 წლისთავი“
Lomtaditdze Ketevan, Linguistic Scientist, 1911-2007
Address on 70 years Anniversary of Sandro Iashvili.
10. **მარიჯანი – მარიამ ალექსიძე-ტყეშელაძე, პოეტი, მწერალი 1890-1978**
10.1. ლექსი „ლექსების გარდა იარაღი არა მქონია“.
10.2. ლექსი „მზითვის სარკე“, მწერალი ქალებისადმი მიძღვნილი საღამო საქართველოს მწერალთა კავშირი, თბილისი, 1 მარტი, 1967.
Marijani – Mariam Aleksidze-Tkemaladze, Poet, writer, 1890-1978
10.1. Poem "I had no weapon except of poems";
10.2. Poem "Mirror of dowry", Evening dedicated to women writers at Union of Georgian Writers, Tbilisi, 1 March, 1967
11. **ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მსახიობი, 1863 -1948**
მოგონება – როგორ დავიწყე მსახიობობა
Elisabed Cherkezishvili, Actress, 1863-1948
Remembrance – how I started to perform
12. **ვარინკა (ბარბარე) მაჭავარიანი-წერეთელი, კომპოზიტორი, 1874-1948**
სიმღერა „სულიკო“
Varinka (Barbare) Machavariani-Tsereteli, Composer, 1874-1948
Song "Suliko"
13. **თამარ წულუკიძე, მსახიობი, 1903-1991**
მოგონება რეჟისორ სანდრო ახმეტელზე, 22 აპრილი, 1967
Tamar Tsulukidze, Actress, 1896-1968
Remembrance of Sandro Akhmeteli, theater director, 22 April, 1967
14. **ცეცილია ტსუტუნავა, მსახიობი, 1892-1956**
მოგონება რეჟისორ კოტე მარჯანიშვილზე და მსახიობ ნუცა ჩხეიძეზე
Tsetsilia Tsutsunava, Actress, 1892-1956
Remembrance of Kote Marjanishvili, theater director and Nutsa Chkheidze, actress
15. **თამარ ჭავჭავაძე, მსახიობი, 1896-1968**
მოგონება: კოტე მარჯანიშვილთან პირველი შეხვედრა, 1962
Tamar Chavchavadze, 1896-1968
Remembrance: the first meeting with Kote Marjanishvili, 1962
16. **ალექსანდრა ჯაფარიძე, პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი, 1895-1974**
საახალწლო მოლოცვა საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეებისადმი, 1964.
Alexandra Djaparidze, the first Georgian mountaineer women, 1895-1974
New Year's congratulation to fellows abroad, 1964.

